

825  
1992

ISSN : 0763 - 7247



# გუგაბი

ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო

პერიოდი	№ 28	PARIS
წაფხული	1992	ETE

## დაზავებისა და დემოკრატიული არჩევნებისათვის

სანამ სადღეისო თემას შევეხებოდეთ, მანამ უნდა ითქვას: გასული წლის ორ სექტემბერს დაწყებული პოლიტიკური აქციები, რომლებიც შემდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდნენ და კანონიერად არჩეული ხელისუფლების გაძევებით დაგვირგვინდნენ, სინამდვილეში იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობისადმი ზურგიდან ჩაცემული მახვილი, იგი მამრუნებელ წყალს ასხამდა რუსულ იმპერიალიზმის წისქვილზე საქართველოში. ეს ჩვენთვის დღეს ურყევი ქეშმარიტებაა და ღრმად გვწამს, რომ, რაც მეტი დრო გაივლის, მით უფრო ნათელი და საცნაური გახდება იგი ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის.

ამ ქეშმარიტების აღიარებით ჩვენ სრულებითაც არ გვსურს, სამშობლოს მოღალატის მძიმე ბრალდება დავაკისროთ ყველა მასში მონაწილე აქტივისტს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საქართველოს ამდენი მოღალატე შვილი ჰყოლებოდეს! როგორც ერთი უმცროსი მეგობარი გვწერს, ეს სპექტაკლი იმდენად კარგად იყო დადგმული, რომ მან ბევრი პატიოსანი ადამიანიც შეაცდინა. იგივე კორესპონდენტი ასკვნის: „ჩემის ღრმა რწმენით, ასეთები ჯერ კიდევ არიან საქართველოში“. დიახაც არიან, მეგობარო! ღმერთმა ამრავლონ ისინი. ამის რწმენა გვაქვს ჩვენ და ამიტომაც არ გვიტყდება გული საქართველოს დღევანდელ თაობაზე. ის დიდი გამოცდის პირისპირ დგას. ვინძლო, რომ მან იგი დაიჭიროს!

თუ ვცდებით, ვაგვისწორეთ, თუ არა და ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხილებიან და მიტეგების აქციები პარალელურად უნდა სწარმოებდნენ. მიტეგების მიდრეკილებამ არ უნდა მიჩქმალოს სიმართლე. პირიქით, სიმართლის ფესვები კარგად უნდა იქნენ გაშიშვლებულნი, რადგანაც, ჩვენი გაგებით, ქართველი კაცის ბუნება და ხასიათი ისეთია, რომ: თუ მან სამშობლოს გულისკენ მიმავალი გზა დაადგინა და გაითავი-





საქართველოს  
ჟურნალისტთა ასოციაცია

\*\*\*\*\*

სა, მერე მას იმ გზიდან ველარავინ და ველარაფერი ვე-  
ლარ გადააცდენს. ერთი ან ორი გარეწარი ყველა ერში  
გამოერევა. ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს. უნდა გვახს-  
ოვდეს, რომ ერთი გამცემი იუდა ქრისტეს მიერ საგანგებ-  
ოდ არჩეულ თორმეტ მოწაფეშიც გამოერია.

\* \* \*

გუშაგის განცხადებაში, რომელიც წინა ნომერშია დაბეჟ-  
დილი, მოცემულია ჩვენს ქვეყანაში შესრულებული პოლიტი-  
კური მოვლენების ჩვენებური შეფასება და ჩვენი შემდგომი  
გადაუდებელი საქმიანობის მიზან-დასახულება. იგი ით-  
ვალისწინებს, რომ ჩვენი მხრით არაფერი დავზოგოთ, რათა  
მიღწეული იქნეს ორ მტრულ ბანაკად დაპირისპირებული ქა-  
რთული საზოგადოების დაზავება და მშვიდობიან ატმოსფერ-  
ოში ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

ჩვენ ვითვალისწინებდით, რომ, იმ შემთხვევაში თუ საქა-  
რთველში არ აღმოჩნდებოდენ საკმაო ძალები ამ მისიის  
განსახორციელებლად, მაშინ მის გარეთ მიგვემართა რომელი-  
მე სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ძალისთვის, რომელ-  
იც ყველაზე უფრო მისაღებია ქართველი ხალხისათვის საერ-  
თოდ. ჩვენი არჩევანი შეჩერდა ჯერ საფრანგეთის მთავრო-  
ბაზე და მერე ჩრდილოეთი ატლანტიკის (ო ტ ა ნ ი) ორგანი-  
ზაციაზე.

7 მაისის თარიღით, წერილთ მივმართე გიორგი წერეთე-  
თელმა, როგორც ჟურნალ „გუშაგის“ რედაქტორმა და ქართ-  
ველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების თავმჯდო-  
მარემ საფრანგეთში, საფრანგეთის პრეზიდენტს, ბ-ნ ფრან-  
სუა მიტერანს, რომელშიც მადლობას მოვახსენებდით ჩემს  
27 მარტის ღია წერილზე მისი კეთილად განწყობილი პასუ-  
ხისათვის, 24 აპრილის თარიღით (იხ. ფოტო-ასლი და ქართუ-  
ლი თარგმანი „გუშაგი“ №27) და ამჯერად ვთხოვდით, რომ  
საქიროების შემთხვევაში, საფრანგეთის მთავრობას ეკისრა,  
როგორც ნეიტრალურ ძალას, შუამავალ-არბიტრის და მშვი-  
დობის გარანტის როლი.

შემდგ გვერდზე გათავაზობთ საფრანგეთის პრეზიდენტის  
პასუხს.

MINISTÈRE  
DES  
AFFAIRES ÉTRANGÈRES

CABINET DU MINISTRE D'ÉTAT

Le Chargé de Mission

PARIS, LE

10 JUIN 92 001052 CM

3  
საგარეო  
აფაირთა  
მინისტროს  
კაბინეტი

Monsieur le Président,

J'ai pris connaissance avec un vif intérêt de votre lettre du 7 mai dernier à M. le Président de la République, qui m'a chargé d'y répondre.

25833  
La France se réjouit que de nouvelles élections puissent être organisées en Géorgie, qui permettront à la volonté populaire de s'exercer clairement et librement ainsi que de mettre fin aux violences que nous déplorons avec vous. Notre pays est disposé à apporter toute contribution qui semblerait utile au bon déroulement de ce scrutin, si les responsables géorgiens le souhaitent.

Je vous prie d'agréer, Monsieur le Président, l'expression de mes sentiments les meilleurs.

Jean-Michel CASA

Monsieur Georges TSERETELI  
Directeur du journal "Gouchagui"  
Président des Hommes de Lettres  
et Journalistes géorgiens émigrés  
8, rue des Marchais  
75019 PARIS



\*\*\*\*\*



წერილის თარგმანი:

საგარეო საქმეთა სამინისტრო

\*\*\*\*\*

10 ივნისი 92

001052 CM

სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი

\*\*\*\*\*

მისიით დავალებული

**ბატონო თავმჯდომარე,**

მე დიდი ინტერესით გავეცანი თქვენს 7 მაისის წერილს ბატონი რესპუბლიკის პრეზიდენტისადმი, რომელმაც დამავალა, რომ მასზე გიპასუხოთ.

საფრანგეთს უხარია, რომ საქართველოში შეიძლება ორგანიზებული იქნეს ახალი არჩევნები, რომელიც საშუალებას მისცემს ხალხის ნებას, რომ ნათლად და თავისუფლად გამოვლინდეს და აგრეთვე ბილოს მოუღებს ძალადობას, რომელსაც ჩვენც თქვენთან ერთად დავსტირით.

ჩვენი ქვეყანა მზადაა, რომ ყოველგვარი დახმარება, რასაც კი ის საჭიროდ დაინახავს, გაუწიოს არჩევნების კარგად ჩატარებაში, თუ საქართველოს პასუხისმგებლებს ეს სურთ.

გთხოვთ მიიღოთ ...

ხელს აწერს:

**უან-მიშელ კაზა**

\*\*\*

საფრანგეთის მთავრობიდან ასეთი გამამხნეველი წერილის შემდეგ, მე და კარლო ინასარიძემ (ეროვნული ემიგრაციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე) ერთობლივი წერილით მივმართეთ: დევნილობაში მყოფ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, 25 ივნისის თარიღით. ეს წერილი ბ-ნ შევარდნაძეს ფოსტითაც გავუგზავნეთ, დაზღვეული, და სწორედ იმ დროს სამშობლოში მიმავალ ქართული ნამულის გამგე მამია ბერიშვილსაც გავატანეთ უშუალოდ გადასაცემად. შემდეგ გვერდზე გთავაზობთ მის ფოტო-ასლს.

ქართულ ემიგრანტ მწერალთა  
და ჟურნალისტთა საზოგადოება

პარიზი  
Paris, Le 25 ივნისი 1992 წელი.



Association des Hommes de Lettres  
et Journalistes Georgiens emigrés  
8, Rue des Marchais; 75019 Paris  
Telephone : 42 - 41 - 89 - 31

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს პრეზიდენტს ღვენილობაში, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას,  
საქართველოს დროებით სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ბ-ნ ელუარდ შევარდნაძეს.

ბ ა ტ ო ნ ე ბ ი !

ქართული ეროვნული ემიგრაცია უაღრესად შეშფოთებულია სამშობლოში მომხდარი შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალებისა და იმ დამლუპველი შინაური ომის გამო, რომელსაც ბოლო არ უჩანს და რომლის უკანასკნელი სისხლიანი ეპიზოდები გათამამდა გუშინ, 24 ივნისს, ჩვენს დედაქალაქში.

ქართული ემიგრაციის წევრები განსხვავებული შეხედულების ვართ სამშობლოში ნომქმედი პოლიტიკოსების და პოლიტიკური ამბების შეფასებაში, მაგრამ არავინ გვეგულება ჩვენს შორის ისეთი, რომელიც სულით და გულით მოწადინებულ არ იყოს ორ მტრულ ბანაკად დაპირისპირებული ქართული საზოგადოების ურთიერთ დაზავება-მშვიდობიანი თანაარსებობისა.

ეს საერთო მიზანსწრაფვა უდევს საფუძვლად ჩვენს ერთობლივ მოქმედებას, რომ არ დაეზოგოთ თავი, რათა მივიღწიოთ იმას, რომ ქართველი ქართველის სისხლს აღარ ღვრიდეს.

ჩვენ მივგაჩნია, რომ ძალის პოზიციებიდან ხანგრძლივი მშვიდობიანობის და ნდობის დამყარება შეუძლებელია და რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები არის ერთადერთი შესაძლებელი გზა ეროვნული ერთობის აღდგენისა.

იმ საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც დროებითმა სახელმწიფო საბჭომ 11 ოქტომბრისთვის დანიშნა, მხოლოდ მაშინ მოყვება სასურველი დადებითი შედეგი, თუ მას მოაწყობს და უხელმძღვანელებს, არა ერთერთი თქვენთაგანის ბანაკი, არამედ თქვენი წინასწარი, მშვიდობიანი მოლაპარაკებით მიღწეული შეთანხმებით შედგენილი ნეიტრალური საარჩევნო კომისია.

ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ ამ პროცესს - თქვენს მიწვევას მოლაპარაკების მაგიდასთან, მოლაპარაკების განმავლობაში არბიტრაჟს და შემდეგ თვით არჩევნების წესრიგის სამეთვალყურეო - საჭირო იქნება მესამე, რაც შეიძლება მიუმხრობელი, ძალა, ასეთად ჩვენ მივიჩნევთ საფრანგეთის რესპუბლიკის სელისფუნება და მის პრეზიდენტს, ბ-ნ ფრანსუა მიტერანს კიდევაც მივმართეთ დახმარების თხოვნით. ამ უკანასკნელმა კეთილი ინება ჩვენს თხოვნის დაკმაყოფილება და საფრანგეთის საგარეო სამინისტროდან შეგვაპტუობინეს, რომ:

ჩვენს ქვეყანა მზადაა ყოველგვარი დახმარების აღმოსაჩენად, რომელიც კი ხელს შეუწყობს არჩევნების წესიერად ჩატარებას, თუ კი პასუხისმგებელი ქართველები ისურვებენ მას. -ო. (ამ ბარათის ასლს, ქართული თარგმანითურთ, ამ მომართვასთან ერთად გაახლებთ.)

ახლა ბატონებო, სიტყვა და საქმეც თქვენს გეუფებით. ამ მომართვით გთხოვთ უმორჩილესად, გადადგათ ერთმანეთისკენ ნაბიჯები და შუამავალ-მომრიგებლად მიიწვიეთ საფრანგეთის მთავრობა. თქვენ ადვილად მიხვდებით იმ დიდ სარგებელს, რასაც ოფიციალური საფრანგეთის მონაწილეობა პარლამენტის არჩევნებში, თავისთავად მოუტანს შემდეგში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზაზე შემდგარ საქართველოს სახელმწიფოებრივ განმტკიცებასა და ეკონომიკურ-კულტურულ აღორძინება-აყვავებას.

ამ იმედებით მოვმართავთ და გიძღვნით მამულიშვილურ სალამს

გიორგი წერეთელი - ჟურნალ "გუშავის" ლირექტორ-რედაქტორი, მწიარლია და ჟურნალისტთა საზოგადოების თავმჯდომარე საფრანგეთში;

ქარლ ინასარძიძე - ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ემიგრაციაში.

P. S. გთხოვთ, მხედველობაში ნუღა მიიღებთ გიორგი წერეთლის 16 ივნისის მომართვას, ეს ერთობლივი მომართვა ცვლის მას.



Paris , le 7 juin 1992

Général John SHALIKASHVILI

Commandant suprême des Forces Alliées  
 en Europe  
 Commandant en chef des Troupes Américaines  
 en Europe

Organisation du Traité de l'Atlantique Nord  
 ( O.T.A.N. )

MONS  
 Belgique

Général,

Nous tenons, tout d'abord, à vous saluer chaleureusement et à vous féliciter pour votre nomination, le 30 avril 1992, au poste de Commandant suprême des Forces Alliées en Europe et de Commandant en chef des Troupes Américaines en Europe.

Les Géorgiens vivant en émigration, ainsi que leurs descendants, sont très fiers de vous. Ils sont sûrs que tous les Géorgiens partagent ce sentiment d'autant plus que vous êtes le fils du grand patriote Dimitri Shalikashvili qui, en 1921, alors qu'il était encore élève-officier, s'est vaillamment battu contre les hordes de la Russie soviétique. La jeune armée géorgienne ayant été submergée par la supériorité numérique de l'envahisseur, votre père a préféré, lui aussi, émigrer plutôt que de se constituer prisonnier, et il a poursuivi sa carrière militaire en Pologne où il a fondé une famille dont vous êtes issu. La famille Shalikashvili est une très ancienne famille noble de Géorgie d'où sont toujours sortis de grands soldats.

Nous sommes certains qu'en tant que digne fils d'une telle lignée, vous êtes sensible au sort de la Géorgie qui est aujourd'hui au bord de l'abîme.

La société géorgienne est actuellement divisée en deux camps antagonistes: d'une part, celui du Président Gamsakhourdia, élu démocratiquement et chassé du gouvernement par l'insurrection armée; d'autre part, celui du gouvernement provisoire issu de l'insurrection, qui est désormais dirigé par M.Edouard Chevardnadzé, que vous connaissez sans doute personnellement. Il n'entre pas dans nos intentions d'apprécier qui à tort, qui a raison; mais, nous constatons que de nombreux Géorgiens n'ont pas accepté cet état de choses et que, malgré les sévères répressions, de fréquentes manifestations ont lieu en faveur du gouvernement déchu.

Les scissions et le désordre qui règnent en Géorgie, finissent de ruiner le pays déjà ravagé par 70 ans de régime soviétique, à tel point que, si elle ne se ressaisit pas rapidement et si elle ne retrouve pas sa cohésion nationale, la Nation géorgienne, dont la civilisation et les traditions remontent aux temps les plus anciens, risque de disparaître.

La tâche est difficile, mais il semble que la seule issue réside dans des élections réellement démocratiques. Le gouvernement provisoire dirigé par M.Chevardnadzé promet que des élections législatives auront lieu le 11 octobre prochain. Cela paraît acceptable.

Cependant, à défaut d'entente préalable entre les principaux protagonistes sur la composition de la Commission électorale et sur les règles relatives au déroulement des élections, celles-ci seront suspectées de partialité et donc, d'irrégularité.

Aussi, il nous paraît absolument indispensable qu'une troisième force neutre, admise par tous, intervienne pour réaliser cette entente et superviser le processus électoral. Nous savons que l'O.T.A.N. jouit d'un grand prestige auprès de tous les Géorgiens, et nous désirons solliciter son concours pour remplir cette mission d'arbitrage et de contrôle. Mais, nous ignorons si cette Organisation est susceptible d'accepter de jouer un tel rôle dans cette zone de Transcaucasie considérée comme zone d'influence russe par les puissances internationales. C'est pourquoi nous vous demandons, Général, de nous faire connaître votre avis autorisé sur cette question et, si notre souhait est réalisable, de nous préciser quelles seraient alors les démarches que nous devrions entreprendre.

Vous remerciant à l'avance pour les conseils que vous nous donnerez,

Nous vous prions d'agréer, Général, l'expression de nos sentiments respectueux.

Association Géorgienne en France,

Pour le Comité directeur, la Présidente:

Hélène VODE-GOGUITIDZE *H. Vode*

Eglise Géorgienne Sainte-Nino de Paris,

Le Diacre:

Artchil DAVRICHACHVILI *Artchil Davrichachvili*

Conseil National Géorgien en émigration,

Le Président:

Karlo INASSARIDZE *K. Inassaridze*

Bureau du Parti Social-démocrate Géorgien à l'étranger,

Le Président:

Mamia BERICHVILI *M. Berichvili*

Journal "Gouchagui",

Le Directeur:

Georges TSERETELI *G. Tsereteli*

Association Solidarité-Géorgie, organisation humanitaire

La vice-présidente:

Nicole-Ethéry TSERETELI *N. Tsereteli*

Adresse correspondance:

M. Georges TSERETELI  
8, rue des Marchais  
75019 Paris

O. ZOURABICHVILI

Ancien représentant de  
la République de Géorgie en France.

*[Signature]*  
Association France-Géorgie, le Président:  
Georges SARDJVELADZE *[Signature]*



SUPREME ALLIED COMMANDER EUROPE  
SHAPE, BELGIUM

July 14, 1992

Dear Mister President,

Thank you very much for your letter of 7 June and the kind words about my father and our family.

I share your heartfelt concern about the events in Georgia. In May of this year, I had the opportunity to visit Georgia and to meet briefly with Mr. Shevardnadze. I was impressed by his deep desire to see free elections take place on the 11th of October, and I am of the opinion that Mr. Shevardnadze will do all in his power for these elections to take place as scheduled. Regretably, as you so well know, there are others in Georgia who have other plans.

As to NATO's ability to act as a third, neutral party and supervise the elections, I don't think that NATO is the right organization for that. However, I will pursue further the idea that some other organization could perform such a function.

Meanwhile, please accept my appreciation for your letter and let me assure you that I share your concern for my father's country.

Sincerely,

JOHN M. SHALIKASHVILI  
General, U.S. Army  
Supreme Allied Commander,  
Europe

Georges Sardjveladze  
Association France-Géorgie, le Président  
8, rue des Marchais  
75019 Paris  
France

გენ. ჯ. შალიკაშვილისადმი მიწერილი  
წერილის თარგმანი



პარიზი, 7 ივნისი 1992.

გენერალ ჯონ შალიკაშვილს, მოკავშირეთა უზენაეს სარდალს ევროპაში, ევროპაში ამერიკის ჯარების მთავარსარდალს, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციისა (ნ ა ტ ო), ქ. მონს ბელგიაში.

ბატონო გენერალო,

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, უპირველესად გესალმებით და გილოცავთ ნატოს მხედრობის უზენაეს სარდალსა და ევროპაში მყოფ ამერიკის მხედრობის მთავარსარდალს მაღალ თანამდებობაზე თქვენს ახლახან დანიშვნას.

ემიგრაციაში მცხოვრები ყველა ქართველი ამყოფს თქვენით, და ვართ დარწმუნებულნი, რომ ასეთივე გრძნობითაა გამსჭვალული ყველა ქართველიც ჩვენს სამშობლო საქართველოში. და ეს მითუფრო, რომ მამათქვენი ბრძანდებოდა დიმიტრი შალიკაშვილი, დიდი ქართველი პატრიოტი, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, კადეტთა სამხედრო კურსანტი, გმირულად იცავდა ჩვენს სამშობლოს, 1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოსევისაგან. დამარცხების შემდეგ ის მტერს არ დანებდა და მთავრობასთან და მთავარსარდალობასთან ერთად უცხოეთში გამოიხიზნა და საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა პოლონეთის არმიაში გააგრძელა, სადაც მან პოლონელ ქალბატონთან ერთად შექმნა დირსეული ოჯახი, რომლის სახელოვანი შვილიც თქვენ ბრძანდებით. შალიკაშვილების გვარი ერთ-ერთი ძველი და სახელოვანი გვარია საქართველოში, რომლის წიაღიდანაც გამოდიოდენ მამულის დამცველი სახელოვანი მხედრები. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენშიც სჩქეფს მათი სისხლი, რომელიც უგრძნობელს ვერ დაეტოვებთ საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედის მიმართ.

დღეს, ბ-ნო გენერალო, ქართველობა ორ ანტაგონისტურ ბანაკადაა გაყოფილი. თქვენ გეცოდინებათ, რომ გასულ დეკემბერსა და იანვარში საქართველოში ადგილი ჰქონდა შეი-





არაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას, რომელმაც კანონიერად არჩეული ხელისუფლება და თვით აიღო ხელში ქვეყნის ძალაუფლება. ათი მარტიდან მოყოლებული ამ ძალაუფლებას ეწოდება „საქართველოს სახელმწიფო საბჭო“ და მას მეთაურობს, ალბათ თქვენთვისაც კარგად ცნობილი, ბ-ნი ელუარდ შევარდნაძე.

სახელმწიფო საბჭომ საპარლამენტო არჩევნები დანიშნა 11 ოქტომბრისათვის. არჩევნების თარიღი მისაღებია, მაგრამ დემოკრატიული არჩევნებისათვის საჭირო საზოგადოებრივი პირობები – მშვიდობიანი ატმოსფერო და პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტია – სამწუხაროდ ამჟამად არ არსებობს, და არც იმის იმედია, რომ მან იარსებოს, თუ არჩევნებამდე არ მოხდა შეთანხმება ამ ორ ანტაგონისტურ ბანაკს შორის. ამ სასურველი შეთანხმების მიღწევა ძალიან ძნელი ჩანს, მაგრამ არა შეუძლებელი. ჩვენ გვგონია, რომ ამის ერთადერთი საშუალებაა გარეშე ნეიტრალური ძალით მათი მიყვანა მოლაპარაკების მაგიდასთან, რომ ისინი შეთანხმოს შერეული საარჩევნო კომისიის შექმნაზე და არჩევნების რეგლამენტზე. ამ გარეშე ნეიტრალურმა ძალამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს შეთანხმების ცხოვრებაში გატარება და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების კონტროლი. ამრიგად ჩატარებული არჩევნების განაჩენი მისაღები იქნება ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობისათვის და ერთგულნიც იქნებიან მისი.

ჩვენ ვიცით, რომ **ო ტ ა ნ ი** საქართველოში სარგებლობს დიდი გავლენით და სიმპათიით, ამიტომ განზრახული გვაქვს, მას მივმართოთ დახმარებისთვის, თუმცა ჩვენ კარგად არ ვიცით, თუ ამ ორგანიზაციას შეუძლია სამშვიდობო მისიის წარმოება ისეთ გეოგრაფიულ ზონაში როგორც საქართველოა. ამიტომ, ბ-ნო გენერალო, თქვენ მოგმართავთ, რომ თქვენი ავტორიტეტული აზრი გაგვიზიაროთ ამ საკითხზე და იმაზედაც მიგვითითოთ: როგორ მოვიქცეთ შესაძლებლობის შემთხვევაში...

ხელს აწერენ: სათვისტომოს გამგეობის თ – რე ელენე ვოდე-გოგითიძე, წმ ნინოს ეკლესიის დიაკონი არჩილ დავრიშაშვილი, ეროვნული საბჭოს თ – რე კარლო ინასარიძე, სოც. დემ.

გენ. შალიკაშვილისადმი ადრესისა და  
მისი პასუხის თარგმანი

\*\*\*\*\*



პარტიის თავ-რე მამია ბერიშვილი, ჟურნალ „გუშაგის“ რედაქტორი გ. წერეთელი, საფრანგეთ-საქართველოს საზოგადოების თავ-რე გიორგი სარჯველაძე, საქ. რესპ. ყოფილი წარმომადგენელი ოთარ ზურაბიშვილი, საზოგადოება „სოლოდარობა-საქართველო“- ეთერი წერეთელი (თავმჯ -რის მოადგილე)

\*\*\*

გენ. შალიკაშვილის წერილის თარგმანი \*)

14 ივლისი 1992.

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარე,

დიდი მადლობელი ვარ თვენი 7 ივნისის წერილისათვის და მამაჩემისა და ჩემი ოჯახის მისამართით გამოთქმული კეთილი სიტყვებისათვის.

ვიზიარებ თქვენს შეშფოთებას საქართველოს ამბებზე. მაინის თვეში ამა წლისა მქონდა შემთხვევა ჩავსულიყავი საქართველოში და მცირე დროში შევხვედროდი ბ-ნ შევარდნაძეს. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ღრმა სურვილმა, რომ თავისუფალი არჩევნები ჩატარდეს 11 ოქტომბერს, და მე ვფიქრობ, რომ ბ-ნი შევარდნაძე ყველაფერს იზამს, რაც კი მას შეუძლია, რათა არჩევნებმა ისე კარგად ჩაიაროს, როგორც ეს განზრახულია. სამწუხაროდ, როგორც თქვენც იცით, საქართველოში არიან სხვები, რომლებსაც სხვა გეგმები აქვთ.

რაც შეეხება ნ ა ტ ო ს როლს, რომ იმოქმედოს როგორც მესამე ნეიტრალურმა ძალამ და ზედამხედველობა გაუწიოს არჩევნებს, მე არ ვფიქრობ რომ ის იყოს ამისთვის შესაფერისი. თუმცა, მე გავაგრძელებ მოფიქრებას იმაზე, რომ იქნებ არსებობდეს სხვა რომელიმე ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს იკისროს ასეთი მისია.

მანამდე კი მიიღეთ ჩემი მადლიერება თქვენი წერილისთვის და გჯეროდეთ, რომ მე ვინაწილებ თქვენს შეშფოთებას ჩემი მამის სამშობლოსადმი.

გულწრფელად

ჰონ შალიკაშვილი



## ჩვენი მოკლე ანგარიში

– ჯერ კიდევ 1991 წლის 23 ოქტომბერს, ჩემი სამშობლოში ყოფნის დროს, როცა მდგომარეობა უაღრესად დაჭიმული იყო, მაგრამ სამოქალაქო ომის მხოლოდ ნიშნები ჩანდა, რადიოთი, ტელევიზიით და პრესით მივმართე ქართველ ხალხს, მთავრობასა და ოპოზიციას, პირადად პრეზიდენტ გამსახურდიას, გაუზიარე მათ ჩემი შთაბეჭდილებები და შეშფოთებანი და, როგორც გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, მოვეუწოდე, რომ უახლოეს ხანში (არაუგვიანეს ორი-სამი თვისა) ჩატარებულიყო ახალი საპარლამენტო არჩევნები.

– წლის ბოლოს, ქართველთა შორის დაუნდობელი სისხლისღვრისა და ნგრევის ექომ ჩვენამდე მოაღწია, შეშფოთებულმა ხუთ იანვარს მივმართე შეიარაღებული აჯანყების მეთაურებს ბ. თენგიზ კიტოვანსა და ბ. თენგიზ სიგუას, მოვეუწოდე შეთანხმებისაკენ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასთან არჩევნების მოწყობის თაობაზე. მაგრამ დარჩა ხმადა მლაღადებლისათა უდაბნოსა შინა!

– 6 იანვარს პრეზ. ზ. გამსახურდია იძულებულია თბილისის სასახლეს გაერიდოს, სომხეთის შემდეგ თავი შეაფაროს ჩეჩნეთის პატარა რესპუბლიკას, რომელიც თეორიულად რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკაა, ფაქტიურად – დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საიდანაც ის აგრძელებს ბრძოლას, როგორც ის უწოდებს: „პუტჩისტების“ წინააღმდეგ – ამ უკანასკნელებმა ჯერ შექმნეს ე. წ. „სამხედრო საბჭო“, თ. კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის და თ. სიგუას მეთაურობით, მაგრამ მალე მოსკოვიდან გამოიწვიეს ბ. ელუარდ შევარდნაძე, ხელისუფლება გადაკეთდა „სახელმწიფო საბჭოდ“, რომლის თავმჯდომარედ ათ მარტიდან გამოცხადდა ბ. შევარდნაძე, პრეზიდენტობის წევრებად კი ზემოდ დასახელებული აჯანყების 3 მეთაური. გრძელდება ორი საქართველოს დამლუპველი დაპირისპირება...

– მარტის 27 დაიგზავნა ჩვენი „ღია წერილი საქართველოს ამბებზე“, რომელიც სხვათა შორის სახელმწიფო საბჭოსაც გაეგზავნა. მათგან უმუშაოდ არავითარი პასუხი არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ პრესაში გამოქვეყნებ-

\*\*\*\*\*

ეროვნული  
დემოკრატიული

ულ ჩემს ლანძღვა-გინებას. ქართველებს გვაქვს ბრძნული და  
დაზა: კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდება!  
საბედნიეროდ უურნალმა „იბერია სპექტრი“ ამცნო იგი მის  
მკითხველებს.

საფრანგეთის სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ევროპის ერ-  
თობისგან მივიღეთ მაღლობის გამოძახილები ჩვენს ღია წე-  
რილზე, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ,  
საფრანგეთის საგარეო სამინისტროდან, საფრანგეთის პრეზი-  
დენტის სახელით გამოგზავნილი პასუხი, რომლის ფოტო-პირი  
გამოქვეყნდა „გუშაგი“ №27“-ში.

- 7 მაისის თარიღით ისევე გავზედეთ და თხოვნით მივმართ-  
ეთ საფრანგეთის პრეზიდენტს, რომელშიც მოკრძალებით შეგ-  
თავაზეთ, რომ საფრანგეთის მთავრობას, ეკისრა შუამავალ-  
არბიტრის როლი წინა-საარჩევნო დაზავების საქმეში და  
ზედამხედველობა გაეწია არჩევნების ჭეშმარიტად დემოკრა-  
ტიულად ჩატარებაში.

- საფრანგეთის პრეზიდენტის პასუხის მოლოდინში, შვიდ  
ივნისს, საფრანგეთში არსებულმა ქართულმა ორგანიზაცი-  
ადაწესებულებათა წარმომადგენლებმა მილოცვის ადრესი გავუ-  
გზავნეთ ჩრდილოეთი ატლანტიკის ორგანიზაციის მხედრობის  
უზენაეს მთავარსარდალს გენერალ ჯოჰნ შალიკაშვილს (იხ.  
გვ. 6 - 7 )

- მივიღეთ 10 ივნისით დათარიღებული საფრანგეთის საგარეო  
საქმეთა სამინისტროს წერილი, რომელიც საფრანგეთის პრე-  
ზიდენტის სახელით გვატყობინებს, რომ საფრანგეთი მზად  
არის ყოველგვარი დავმარება აღმოუჩინოს საქართველოს არ-  
ჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში, თუ საქართველოს  
პასუხისმგებელი პირები ამას ისურვებენო. (იხ. ამ წერილის  
ფოტო-პირი მე-3-ე გვერდზე)

- 16 ივნისს, გუშაგის რედაქტორის სახელით მივმართე პრეზ.  
ზ. გამსახურდიას სახ. საბჭოს თავ-რე ედ. შევარდნაძეს,  
ხოლო პარიზში დაბრუნდა თუ არა ბ. კარლო ინასარიძე,  
მან ეროვნული საბჭოს სახელით და მე, 25 ივნისის თარი-  
ღით ერთად მივმართეთ იგივე ზვიად გამსახურდიას და ელუ-  
არდ შევარდნაძეს (იხ. აქვე ამ მიმართვის ტექსტის ფოტო-



ასლი მე-5-ე გვერდზე). რასაკვირველია, რომ წერილს თან ახლდა საფრანგეთის პრეზიდენტის წერილის ფოტო-ასლი. – 15 ივლისს, 15 საათსა და 30 წუთზე, მე და ჩემი მეუღლე ხანგრძლივად მიგვიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტორმა, ბ-ნმა მიშელ ტურენმა. უაღრესად თავაზიან საუბარში, ბ-ნ ტურენმა აგვიხსნა საფრანგეთის მთავრობის პოზიცია, რომ ის მზადაა ყოველი საშუალებით ხელი შეუწყოს მშვიდობის და ერთსულოვნების დამყარებას საქართველოში, მაგრამ რომ ეს არ იქნეს მიღებული, როგორც სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩარევა, საფრანგეთის მთავრობას დახმარებისთვის უნდა მიმართონ: პირველ რიგში სახელმწიფო საბჭომ, ბ-ნ შევარდნაძის თავმჯდომარეობით და შემდეგ დეგნილობაში მყოფმა მთავრობამ, პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მეთაურობით.

– თითქმის იმავე დროს მივიღეთ მაღლობის წერილი გენერალ ჯონ შალიკაშვილისაგან (იხ. აქვე მე-8-ე გვ.)

\*) როგორც ინგლისური ენის მკოდნე შენიშნავს, გენერლის ეს წერილი მიმართულია საფრანგეთ-საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნ ვია სარჯველადისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს შემთხვევით არ არის. მართლაც, მას და ჩვენი სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარეს ეკუთვნით ითავონ, რომ საფრანგეთის ემიგრაციის სახელით გააკეთონ ყველაფერი, რაც კი მათ შეუძლიათ, მშვიდობის სასარგებლოდ ქართველებს შორის და ყველა ჩვენთაგანი კი მათ განკარგულებაში ვიქნებით. მე ვიმედოვნებ, რომ ამ დიდ მისიას ისინი და ყველა ჩვენთაგანიც განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოვეკიდებით.

ამასობაში ივლისი მიიწურა. აგვისტოში პარიზელბმა საერთოდ და მათ შორის ქართველებმაც სუფთა ჰაერს, ზღვის სანაპიროებს თუ მთებს მიაშურეს. ჩვენ კი ამაოდ ველით ბ-ნ შევარდნაძის და მისი სახელმწიფო საბჭოს პასუხს. რაც შეეხება ბ-ნ ზ. გამსახურდიას, ჩვენ მოვახერხებთ მასთან ტელეფონით დაკავშირებას. მან დაგვიდასტურა ჩვენი მიმართვის მიღება, არ სწამდა ბ-ნ შევარდნაძესთან შეთანხმების შესაძლებლობა, მაგრამ ბოლოს დაგვეთანხმდა და დაგ-

\*\*\*\*\*



გპირდა, რომ უახლოეს ხანში მიმართავდა საფრანგეთის მთავრობას.

სამშობლოში მიმდინარე მთავარ ამბებს ჩვენ სხვაგან შემდეგში აღვნიშნავთ და განვიხილავთ ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში, - აქ კი ვიტყვით: მთელი ზაფხულის განმავლობაში დამშვიდების მაგივრად, სულ თანდათან იძაბებოდა მდგომარეობა და აგვისტოს თვის ბოლოსათვის, აფხაზეთში საქართველოს დროებითი მთავრობის ჯარების შეყვანის შემდეგ, ნამდვილი საომარი მდგომარეობის ხასიათი მიიღო; დაზავება, მშვიდობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, უამისოდ კი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ყოვლად წარმოუდგენელია.

შორიდან გვრჩება შთაბეჭდილება, რომ თითქოს უხილავი ძალები გააფთრებით მოქმედებდნენ, რომლებიც ხელს უშლიან, აბრკოლებენ ქართველი ერის ერთობას.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით ბატონყმობა გაუქმდა საქართველოში, ქართველი პატრიოტები მუდამ ეძებენ ეროვნულ ერთობას და ამის ყველაზე დიდი მოციქული იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც სწორედ იმიტომ მოჰკლეს, რომ ამ სანუკვარი საქმისთვის ხორცი არ შეესხა. ყველა ქართველს სისხლსა და ხორციში აქვს გამჯდარი სამშობლოს სიყვარული, ასე მგონია მე! ყველა ქართველმა იცის აგრეთვე, რომ საქართველოს ხსნა შეიძლება მხოლოდ მისი შვილების ერთობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დიდებულ შეგნებას ღრდნის და აცამტვერებს ჩვენივე ხასიათი გადაჭარბებული პატივმოყვარეობისა. ყველას უნდა, რომ ეს სანუკვარი ერთობა მისი ბელადობით, მისი უფროსობით ხორციელდებოდეს.

არადა, ძვირფასნო თანამემამულენო, ამასობაში იღუპება საქართველო, მისი ტერიტორიული მთლიანობა, მისი სუვერენობა და ხვალ შეიძლება გვიანი დარჩეს, თუ დღესვე უარი არ ვთქვით ამ ჩვენს დამღუპველ ხასიათზე: გადაჭარბებულ, ავადმყოფურ პირად ან პარტიულ ამბიციებზე, „უჩემოდ ვინ იმღეროსაზე“, თუ ერთობის უზენაეს ინტერესებს არ ვანაცვლებთ ყოველივე პირადულსა და პარტიულს, თუ ერთმანეთთან თავმდაბლად არ მივალთ, ერთმანეთს უღალატო მარჯვენას არ გავუწოდებთ და ზავსა და მშვიდობას არ შევთავაზებთ. ზავის ჩამოგდება, ეს უკვე ნიშნავს დემოკრატიის ბატონობის



დაწყებას, რაც აუცილებელი პირობაა დემოკრატიული ცვლილებებისათვის, მაგრამ არასაკმარისი. დაზავება, ეს არაა ურთიერთ ნდობისა და პატივისცემის მდგომარეობა. ეს არჩევნების შემდეგ შეიძლება დამყარდეს. ზავი კი, თუ გნებავთ, იმ სახელში შემაგალი დერეფანია. ზავი ნიშნავს ომის, სისხლისღვრის და ნგრევის შეწყვეტას, ძალის გამოყენებაზე და მუქარაზე უარის თქმას.

დაზავების ჩამოგდებისთანავე უნდა დაიწყოს მოლაპარაკება: ა) მიუმხრობელი საარჩევნო კომისიის შესაქმნელად და ბ) არჩევნების რეგლამენტის შესადგენად. ამ შეთანხმების გამოცხადების შემდეგ, საარჩევნო კომისია დამოუკიდებლად შეუდგება არჩევნების ხელმძღვანელობას. ამ მომენტიდან არჩევნების ჩატარებამდე საჭიროა სულ ცოტა ორმოცი დღე იმისათვის, რომ გაიშალოს რაც შეიძლება ფართო წინა-საარჩევნო საინფორმაციო კამპანია.

ჩვენ, მეტი რომ არ ვთქვათ, ეჭვი გვებარება, რომ 11 ოქტომბერს ჩატარდეს სახელმწიფო საბჭოს მიერ ნაბრძანები არჩევნები და რომ იგი იქნება ჭეშმარიტად დემოკრატიული. ამ მოსაზრებით იყო, რომ დახმარების თხოვნით შევაწუხებთ საგრანგეთის მთავრობა, მისი პრეზიდენტი. როცა მის პასუხს დაავიანდა, ჩვენ იგივე მოსაზრებით მივმართეთ ჩრდილოეთ ატლანტიკის ორგანიზაციის მხედრობის მთავარსარდალს, გენ. ჯოჰნ შალიკაშვილს. ჩვენ ამ პატივცემულ ბატონს პირადად არ ვიცნობთ, მაგრამ ვართ დარწმუნებული, რომ ქართველი ემიგრანტი პატრიოტის შვილი, „მამამისის სამშობლოს“ არ გასწირავს და არც საკაცობრიო დემოკრატიასა და თავისუფლებას უღალატებს.

„გუშავის“ სახელით, ჩემი პირადი სახელით, მოკრძალებით, მაგრამ პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, მივმართავთ, ერთი მხრით, სახელმწიფო საბჭოს და პირადად მის თავმჯდომარე ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს, მეორე მხრით, დევნილობაში მყოფ საქართველოს ყოფილ მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, რათა გადადგათ ნაბიჯი ურთიერთ დაზავებისაკენ და შეთანხმებისაკენ ჭეშმარიტად დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნებისათვის.

\*\*\*\*\*

არჩევნები რისთვის და რატომ? შეიძლება დაგვისვით ეს კითხვა. არის ეს ჩვენი გონების უბრალო ახირება, თუ ცხოვრებისეული აუცილებელი საჭიროება? ჩვენ დარწმუნებული ვართ მეორე აზრის მართებულობაში. რომ ქართული საზოგადოების გამთლიანებისათვის აუცილებელია დემოკრატიული არჩევნები, მაგრამ არჩევნები არა ისეთი, რომელიც გამორიცხავს ერთერთი თქვენთაგანის ბანაკს, არამედ ისეთი, რომელშიც თანაბარი უფლებებით მიიღებთ მონაწილეობას ორივე ბანაკი, რამეთუ თქვენ ორივენი ხართ ნაწილები ერთი საქართველოსი და არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველოს ჰყავს თქვენგან დამოუკიდებელი კიდევ სხვა შემადგენელი ნაწილები.

უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში თქვენს შორის აღმართული შუღლისა და მტრობის კედელი სულ უფრო და უფრო იზრდება, რის გამოც სულ უფრო მეტი და მეტი ქართველი დედა იმოსება ძაძებში, ვინ საყვარელ მეუღლეს დასტირის, ვინ კი სიყრმის, ანდა ერთადერთ ვაჟიშვილს. თქვენს შორის აღმართული კედელი ერთმანეთს კი არ გაშორიშორებთ, არამედ, პირიქით, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გაპირისპირებთ, რაც დაღუბვას გიქადისთ ორივე ბანაკს და თქვენთან ერთად მთელ საქართველოსაც. როგორც ვთქვით, ერთადერთი ხსნაა დემოკრატიული არჩევნები, თქვენი ორივე მხარის მონაწილეობით. მაგრამ სანამ აქ მივიდოდეთ, მანამ საჭიროა ომის შეწყვეტა, ზავის ჩამოგდება. თუ ამას თქვენ შეძლებთ საკუთარი ძალებით, საკუთარი საშუალებებით და არ დაგჭირდებათ გარეშე ძალის დახმარება, ამას რა აჯობებს! ამით თქვენ მსოფლიოს დაუმტკიცებთ თქვენს პოლიტიკურ სიმწიფესა და დემოკრატიობას.

ხოლო, ბატონებო, თუ ეს კედელი, რომელიც ერთმანეთთან მისგლას გიღობავთ, თქვენი ძალებისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა, მაშინ გვედრებით, უკუაგდოთ პატივმოყვარეობა, დახმარებისათვის მიმართეთ ან საფრანგეთის მთავრობას და ან ოტანის ორგანიზაციას, ან ორივეს ერთად, რომლებიც კეთილდაც არიან განწყობილნი საქართველოს მიმართ და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლიათ იმოქმედონ ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების ფარგლებში.

კიდევ ერთხელ გვედრებით დაზავებისა და დემოკრატიული არჩევნებისათვის

საქართველოს  
პარლამენტი  
ეროვნული  
გირჩი

გიორგი წერეთელი  
პარიზი, აგვისტო 92

25833





## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

## „ზავისა და დემოკრატიული არჩევნებისათვის“


ასეთია ჩვენი ამ ნომრის საბრძოლო მოწოდება და, ვფიქრობთ, რომ მასში მოცემულია ძირითადი, რაც ყველაზე მეტად ესაჭიროება დღევანდელ საქართველოს. დაზავებისა და მშვიდობის დამყარების გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ხოლო უამისოდ საქართველოს არ ეყოლება ავტორიტეტისანი ხელისუფლება, გაგრძელება შინააშლილობა, ანარქია, რაც დაღუპვით ემუქრება ქართველ ერს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ჩვენს ბრძოლას გაიზიარებს ყველა კეთილი ნების ჩვენი თანამემამულე, ისეთებიც, რომლებიც ურთიერთ მოპირისპირე ბანაკებში იბრძვიან, მაგრამ არ უნდათ ამ ძმათა შორის სისხლისღვრის გაგრძელება.

სახელმწიფო საბჭომ ბნ ედ. შვეარდნაძის თავმჯდომარეობით გადაწყვიტა: **11** ოქტომბერს მოაწყოს დემოკრატიული არჩევნები. ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს ეკვი შევიტანოთ მათ კეთილსინდისიერებაში, მაგრამ სამშობლოში მიმდინარე მოვლენები აშკარად მეტყველებენ, რომ საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდობლობას უტყბადებს სამხედრო საბჭოს და გარდა უკიდურესი რეპრესიებისა მორალური ძალა არ შესწევს მშვიდობის დასამყარებლად მას.

ბნ ედ. შვეარდნაძე, ყველა მის საჯარო განცხადებაში, ამტკიცებს მის დემოკრატიულობას. დემოკრატიულობა კი გულისხმობს, უომრად და უსისხლოდ, მოწინააღმდეგესთან მისვლას და მასთან შეთანხმების ძიებას. კერძოდ, მთავარი მოწინააღმდეგენი: ბატონები გამსახურდია და შვეარდნაძე ერთმანეთთან უნდა მივიდნენ და მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეთანხმდნენ არჩევნების ჩატარებაში. შეთანხმების შესამე ნეიტრალურ პირად და გარანტად, თუ შინაური ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა, მიიწვიონ ჩვენი ხალხის მეგობარი საფრანგეთი ან ოტანი. ორივეს შეუძლიათ იმოქმედონ ევროპის თანამშრომლობისა და უშიშროების ფარგლებში.

თუ ჩვენი ხალხის მასიური და ენერგიული მხარდაჭერა აღმოაჩნდება „ზავისა და დემოკრატიული არჩევნებისათვის“ წარმოებული ლაშქრობა წარმატებით დაგვირგვინდება.



გუშაგი ყოველ ღონეს იხმარს, რაც კი მას გააჩნია, რომ სპორტულ პარლამენტო არჩევნებმა ჩვენს სამშობლოში დაზავების ატმოსფეროში დემოკრატიულად ჩაიაროს.

ამავე დროს ვეცდებით, რომ ამ არჩევნებისთვის საჭირო ფაქტები და ადამიანები ვალაპარაკოთ. თუ იგინი მისწვდენ და დადებითი გავლენა მოახდინეს ქართველი ამომრჩევლების განაჩენზე, ჩვენ ბედნიერი ვიქნებით.

\*\*\*

### შ ე ც დ ო მ ე ბ ი თ უ წ ი ნ ა ს წ ა რ გ ა ნ ზ რ ა ხ უ ლ ე ბ ა ?

მაისში ისევ განახლდა სისხლის ღვრა ცხინვალში. რუსულ-ოსური წყაროებიდან მსოფლიოში გავრცელებული ახალი ამბები, რასაკვირველია, ბრალს სდებდენ ქართველებს. ამავე წყარომ ოც მაისს გადმოსცა შემზარავი ცნობა: ცხინვალიდან 18-20 კილომეტრის დაშორებით ქართველებმა დაცხრილეს ავტობუსი, რომელსაც ჩრდილო ოსეთში მიჰყავდა ევაკუირებული ოსები, უმთავრესად ქალები და ბავშვები. ქართული მხარე ერთხმად უარყოფს ბრალდებას. ქართული სამთავრობო ინფორმაცია აცხადებს, რომ ცხინვალის ჩრდილოეთით, იმ ზონაში, სადაც ოსების მიხედვით ადგილი ჰქონდა კრიმინელურ აქტს, ქართველ მეომრებს არ შეეძლოთ შედწევა, რადგანაც ის იმყოფება ოსი ბოევიკების სრულ კონტროლის ქვეშ. ჩასაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ ოსებს არავითარ საერთაშორისო ექსპერტისთვის არ უჩვენებიათ ეს მსხვერპლი. არ შექმნილა არავითარი სამთავრობო საგამომძიებლო კომისია. ამიტომ საეჭვოა თვით ფაქტი. ამ ეჭვის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ დროს ცხინვალში ელოდენ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას, ოსებს აგრეთვე მიზატიყებული ჰყავდათ მათი მხარდამჭერი მსოფლიო პრესის წარმომადგენლები, ატეხეს განგაში საქართველოს წინააღმდეგ, ვლადიკავკაზში გაზოდუკი გადაუტრეს საქართველოს და სხვა.

ასეთ კაფკაურ გარემოში, 26 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვკითხულობთ შემდეგ განცხადებას:

**„ცხინვალი, ბატონ ტორეზ კულუმბეგოვს**

20 მაისს, ცხინვალის მახლობლად მომხდარი საზარელი დანაშაული



\*\*\*\*\*



და ქართველების ოფიციალური სამხედრო ფორმირებები, უნდა გაუწიოს ყოფილ სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიას, 15 კილომეტრით უნდა განაშორიშოროს მეომარი მხარეები, ცეცხლის შეწყვეტის დარღვევის ყოველ შემთხვევაზე მოახდინოს უნდა ერთობლივი რეაგირება, გააკონტროლოს გატყეულთა უკან დაბრუნება და სხვა. სამშვიდობო ძალის რაობაზე მივმართოთ ქართულ პრესას, 13-19 ივლისის ყოველკვირეული „7 დღე“, მაგალითად, შემდეგ ცნობას გვაწვდის:

„ოსების სამშვიდობო ძალები ითვლიან მძიმე ტექნიკის 45 ერთეულს და დაახლოებით 950 კაცს. გასაგებია, რომ საქართველოს სამშვიდობო ძალების 250 კაცი და 4 BTP-70 (მათგან სამი თითქმის არ მუშაობს) ვერაფერს გახდება. სამშვიდობო ძალების ყველა ქართველმა ჯარისკაცმა კარგად იცის, რომ პირველი დარტყმის შემთხვევაში ისინი განწირულები არიან“ ...„ცხინვალში შევიდა 18 ათასამდე ოსი. მათგან ბევრს ცხინვალში ადრე არამც თუ უცხოვრია, არამედ გავლითაც არ ყოფილა ამ მხარეში. საქართველოს სამშვიდობო ძალების მცირერიცხოვანების გამო, ფაქტიურად, ვერ წესდება კონტროლი ვლადიკავკაზიდან ცხინვალში ავტოტრანსპორტზე, საქართველომ დღემდე ვერ მოახერხა როკის გვირაბზე მეთვალყურეობის დაწესება“, და სხვა. წერილს ცხინვალიდან ხელს აწერს ბ-ნი ირაკლი ალადაშვილი.

ამრიგად, ყოფილ სამხრეთ ოსეთში დაბანაკებული რუსი მხედრობა თუ წინად დამალულად მოქმედებდა, ახლა, დაგომისის ხელშეკრულების შედეგად მათ მიენიჭათ „სამშვიდობო“ სტატუსი და აშკარად იმოქმედებენ არა საქართველოს ინტერესების მიხედვით, არამედ რუსეთისა და ამისთვის მათ ვერ გაამტყუნებ. დაგომისის ხელშეკრულებით ბნმა შევარდნაძემ ფაქტიურად იცნო რუსეთის სახელმწიფოს უფლებები საქართველოს ამ ნაწილზე. თბილისში დაბრუნებულმა ამ ხელშეკრულების თაობაზე რიხით განაცხადა, რომ: პასუხისმგებლობას ამაზე, ის თავის თავზე ღებულობს. სახელმწიფო მოღვაწეებს არხელეწიფებათ პიროვნულად მოიქცენ სახელმწიფო მიწაწყლის საკითხში. რა გარანტია აქვს ბნ შევარდნაძეს, რომ ის დიდხანს დარჩება საქართველოს სახელმწიფოს მესაქმედ?

ინტერესს არაა მოკლებული ბნ შევარდნაძის კიდევ ერთი საჯარო განცხადება ცხინვალის კონფლიქტზე. ფრანგი ჟურნალისტების მიხედვით, სახ. საბჭოს თავმჯდომარემ უცხოელ ჟურნალისტებს მტკიცედ განუცხადა: *Ce conflit absurde doit cesser* (ეს აბსურდული

\*\*\*\*\*

ეროვნული

კონფლიქტი უნდა შეწყდეს!), ჩვენ არ გვგონია: ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი აფსურდული იყოს. ასეთი შეიძლება ის ყოფილიყო, მას რომ ოსებისა და ქართველების უფუებლობა ჰქონდეს სარჩულად. ზოგიერთ უცხოელს, რომელიც საქმის კურსში არ არის, ის მართლაც ასე ესახება. სინამდვილეში კი კარგად ჩაფიქრებული შეთქმულებაა საქართველოს წინააღმდეგ მისი ისტორიული ტერიტორიის წასართმევად. ამ კონფლიქტში ქართველი ხალხი მსხვერპლია და არა ჯალათი, როგორც მას რუსულ-ოსური დეზინფორმაცია აჯერებს მსოფლიო საზოგადოებრიობას. ქართველი რომ თავს წირავს მისი მშობლიური სამაჩაბლოსათვის, ეს აბსურდი როდი გახლავთ, არამედ მისი პატრიოტული ვალი. სახელმწიფოს მეთაურმა ეს ქემშობრიტება უნდა შეაგნებინოს უცოდინართ და არა პირიქით კიდევ უფრო დააბნიოს. სახელმწიფო კაცმა სახელმწიფო მიწა-წყალი არ უნდა გადააყოლოს ხელისუფლებისათვის წარმოებულ ქიშპობას.

### მეგრული გაკვეთილი შევარდნაძეს

როგორც ჩანს, ბნ შევარდნაძეს ეჩქარებოდა მისი შეიარაღებული ძალების ცხინვალის ფრონტიდან განთავისუფლება და მათი სამეგრელოს ფრონტზე გადასროლა, მაგრამ აქ ბნ ჯაბა იოსელიანის „მხედროინის“ ბოროტმოქმედებამ ხალხი ერთთავთ წამოშალა და ააჯანყა. არა მარტო მეგრელობა, არამედ ყველა ღირსეული ქართველი აღელდა, ბოროტი მხედროინელების სამეგრელოდან გამოყვანა და სამაგალითო დასჯა მოითხოვა.

ბნმა შევარდნაძემ მაშინ მისი ლეგენდარული უკმეხობა გამოიჩინა. განა ტყუილად შეარქვეს „თეთრი მელა!“ და გამწყრალი მეგრელების მოსახიბლავად გაეშურა. თუ როგორი მიღება გაუმართეს იქ, სიტყვას მივცემთ წლევიანდელ 31 ივლისის პარიზულ „რუსკაია მილს“:

„ქ. წალენჯიხის სტალიონზე, სადაც დაემვა შევარდნაძის ვერტმფრენი, ზვიადისტების ცდა სროლა აეტებათ. სწრაფად იქნა ლიკვიდირებული შევარდნაძის პირადი დაცვის მიერ. სტალიონზე შეკრებილი წალენჯიხელები შევარდნაძეს არ უსმენდენ და მოითხოვდნ გაძევებული ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად აღდგენას.

ქ. ზუგდიდის მისადგომებთან სამთავრობო ავტომობილების კორტეჟს გზა გადაუღობა შავებში გამოწყობილმა ქალებმა და ბავშვებმა.



\*\*\*\*\*



მეპიკეტენი აქაც მოითხოვდნენ ყოფილი პრეზიდენტის ხელისუფლების აღდგენას. ზუგდიდში მოგზაურობა ჩაიშალა. ქ. სენაკში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს შევარდნაძეს დაუშუნეს ქვები და დამპალი ვაშლები.

24 ივლისს თბილისში დაბრუნებული, შევარდნაძე გამოვიდა ტელევიზიაში და თქვა: „არც ერთი სერიოზული პოლიტიკოსი არ მივიღოდ ასეთ რეგიონში. მე მივედი დასავლეთ საქართველოში, რათა არ დამეშვა საქართველოს დაშლა და შემეწყვიტა სამოქალაქო ომი. მე არასოდეს მიოცნებია არარსებულ სახელმწიფოს „სახსაბჭოს“ თავმჯდომარეობაზე. ძნელია ჩემი გამოყვანა წონასწორობიდან, მაგრამ მე ის კაცი არ ვარ, ვისაც შეიძლება მიაფუროთხო“-ო.

როგორც ჩანს სამეგრელოს საოცარი „მიღებიდან“ ზნმა შევარდნაძემ სათანადო დასკვნა ვერ გამოიტანა: ხომ არ შეიძლება, მთელ ხალხს, საქართველოს ყველაზე დასახლებულ მთელ კუთხეს ბრალი დაედგას იმისათვის, რომ ის ერთგულია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მის მიერ რეგულიარულად არჩეულის, რომელიც ძალადობით გააძევეს ხელისუფლებიდან.

საქართველოში რომ დემოკრატიის ნასახი ყოფილიყო, ზნ შევარდნაძეს, როგორც მის მენტორს, სამართალი უნდა გაეჩინა და სასამართლოს წესიერების სამეთვალყუროდ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მეთვალყურენი მიეწვია. ამის მაგივრად მან დამწვარზე აღუღებული წყალი დაასხა.

### ესკალაცია ერის მთლიანობაზე და სუვერენობაზე

3 აგვისტოს, გაეროს მიერ, მის წილში დამოუკიდებელი საქართველოს მე-179 -ე წევრად მიღების აღსანიშნავად, საქართველოს სახელმწიფო საბჭომ გამოსცა მანიფესტი და თითქმის საყოველთაო ამნისტია, რომელიც მხოლოდ ყოფილ პრეზიდენტზე არ ვრცელდებოდა. ჩვენ არ შევეხებით აქ ამ მანიფესტის სიაკარგეს, მაგრამ მის ზუსტ შეფასებას და მასზე რეაგირებას გარკვეული დრო ესაჭიროებოდა. მანიფესტს ჯერ მელანიც არ შემორობოდა, რომ სახელმწიფო საბჭოს ბრძანებით, აფხაზეთის რესპუბლიკის ფარგლებში შეიქრენ ქართული ჯარები და თითქოს განგებ ფეხი ჩაჰკრეს კრახანებით სავსე ფულუროში. რუსეთის ანტიქართულ პროპაგანდას





არ გაჭირვებია არა მხოლოდ რუსეთის საზოგადოებრივი ხედრება, არამედ მსოფლიოსიც ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც ვითომც „აწარმოებენ პატარა აფხაზი ხალხის გენოციდს.“ აფხაზ სეპარატისტებს რუსებს ვარდა მხარში ამოუდგენ ჩრდილო კავკასიელები, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის სახით და თვით თურქეთში ოდესღაც გადახვეწილი მუხაჯირთა ნაშიერიც ააღელვა.

ქართული ჯარის შესვლა აფხაზეთში არ გამოდგა უბრალო გადაადგილება. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბამ, მის ერთგულ ჯართან ერთად, შეძლო მწყობრად უკან, ჩრდილოეთისაკენ დახევა და გამაგრება. 19-20 აგვისტოს მკაცრ ბრძოლებს იტყობინებიან გუდაუთადან, სადაც 45 მოკლული ჯარისკაციდან ორმოც ქართველს აცხადებენ.

ბ-ნი არძინბა უკვე უარს აცხადებს შევარდნაძესთან მოლაპარაკებაზე თუ წინასწარ აფხაზეთიდან გაყვანილი არ იქნება მთელი ქართული მხედრობა. პრეზიდენტი ელცინიც ამავე პირობას აყენებს და მასთან მოსკოვში მოსალაპარაკებლად იწვევს მოდავე მხარეებს.

ჩეჩენ გენერალ დუდაევის მუქარა თბილისში სერიოზულად მიიღეს. სახელმწიფო საბჭომ ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა და მთელს ქვეყანაში საგანგაშო მდგომარეობა დააწესა. რუსეთის მთავრობას ოფიციალურად მიმართა: ა) აკრძალოს ყოფილ პრეზიდენტ გამსახურდიას აქტიურობა ქალაქ გროზნოში, რომელსაც ის „ტერორისტულ ცენტრს“ უწოდებს, ბ) დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საზღვრები ჩრდილო კავკასიელთა შეიარაღებული ნაწილების შემოღწევისაგან.

აფხაზეთის ფრონტზე მთავარსარდალად ბ-ნ თ. კიტოვანის ნაცვლად ვინმე ახლად დაწინაურებული, სრულიად ახალგაზრდა (25 წლის) პოლკოვნიკი ყარყარაშვილი დაინიშნა, რომელმაც დაუყოვნებლივ ულტიმატუმი წაუყენა ვ. არძინბას: თუ 24 საათში არ გადადგები, იერიშზე გადმოვალ და გავანადგურებო. თანაც მიუყოლებია: თუ ამ ბრძოლაში ასი ათასი ქართველი დაიღუპება, 97 ათასი აფხაზიც, ე.ი. მთელი აფხაზი მოსახლეობა, გაწყდებაო. რუსულმა პროპაგანდამ ეს „გაფი“ მსოფლიოს მოსდვა. შევარდნაძემ საჯაროდ ვერ დაგმო მისი მთავარსარდალი, მაგრამ ულტიმატუმს მსვლელობა არ მისცა და სამ სექტემბერს პრეზიდენტ ელცინს ეწვია მოსკოვში. აქ ამ უკანასკნელმა მშვიდობის მტრედი გამოაფრინა მისი ქუდიდან. ბ-ნი ვ. არძინბა დაითანხმა ცეცხლის შეწყვეტაზე. შეიქმნა საზავო კომისია, რუსეთის, საქართველოს და აფხაზეთის წარმომადგენლები-

\*\*\*\*\*



საგან. კომისიას ჰყავს სამხედრო ძალა, იგივე რუსეთის საქართველო, ლოს და აფხაზეთის სამხედრო შენაერთებისაგან შემდგარი და ის უზრუნველყოფს ცეცხლის შეწყვეტას. მოსკოვის ამ ხელშეკრულობით აფხაზეთსაქართველოს ურთიერთობის საკითხი არ მოგვარებულა. აფხაზეთის თავკაცი ვლადისლავ არძინბა მისი სეპერატისტი ხელისუფლებით რჩება ადგილზე ხელშეუხებელი. რუსებმა ოფიციალურად მიიღეს უფლება აფხაზეთზე, აწი კი მათ იციან, თუ როგორ გამოიყენებენ ამ უფლებას.

ამრიგად, აფხაზეთის ომმა სიკვდილისა და უბედურების მეტი ვერაფერი მოუტანა საქართველოს. ქართველი ერის გათიშულობის დამღუპველობა კიდევ ერთხელ ცხადი გახდა ამ ფაქტით, რადგანაც აფხაზეთის ომი მარტო იმ მიზეზით კი არ დაწყებულა, რომ აფხაზეთი არ ჩამოშორდეს საქართველოს, ანდა, რომ აფხაზეთში თავშესაფარს მოულობდენ სამეგრელოს პარტიზანი რაზმები, როგორც ამას თბილისის მთავრობა იმიზეზებს, არამედ უფრო იმიტომ, რომ პატრიოტიზმში ჩაეჭრათ ზვიად გამსახურდია და მით ავტორიტეტი დაეკარგათ მისთვის ქართველი ხალხის თვალში.

ამ ძმათა შორის ჭიშპით, პრეზიდენტი ელცინი გამოვიდა გამარჯვებული ყველა დაფაზე. მასზე შეგვიძლია გავიმეოროთ:

„სხვა რაღა უნდა მსუნაგ მელასა,  
თუ მას ურჩევენ ჩიჩილაკასა!“

მამულს განშორებული

\*\*\*

ა და მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა და რ ღ ვ ე ვ ე ბ ი

მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო

„ მიმართვა რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს, პრზ. ბ. ელცინისა და მსოფლიოს თანამეგობრობის სახელმწიფოების მთავრობებისა და მეთაურებისადმი საქართველოში ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებთან დაკავშირებით.

პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო ბ ა ტ ო ნ ე ბ ი!

სახალხო დეპუტატთა მოსკოვის საქალაქო საბჭო, გაეცნო რა საქართველოში მოსახლეობისა და სახალხო დეპუტატების უკანონო და პატიმრებების, ძალადობის, მკვლელობისა და სხვა ფაქტებს, მოგმარ-

\*\*\*\*\*

გერმანიის  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

თავთ შემდეგით: 1992 წლის იანვარში მომხდარი შეიარაღებული  
ამბოხების შედეგად, ქართველი ხალხის მიერ საყოველთაოდ არჩეუ-  
ლი პრეზიდენტის გადაყენების შემდეგ, საქართველოში გაბატონდა  
ე. შევარდნაძის, ჯ. იოსელიანის, თ. კიტოვანისა და თ. სიგუას  
რეჟიმი, რომლის ძალისმიერი აქციების შედეგად ლიკვიდირებულია  
კონსტიტუციური ხელისუფლების ინსტიტუტი, განდევნილია პარლამენ-  
ტი, არ მოქმედობს კანონები. ასობით ადამიანი ნაცემი, დაპატიმ-  
რებული ან მოკლულია, დამნაშავეთ კი პასუხს არავენ მოჰკითხავს.  
ხალხის დაკავება ხდება ყოველგვარი მიზეზისა და პროცესუალური  
გაფორმების გარეშე; უკანონო შეიარაღებული ფორმირება „მხედრი-  
ონი“ ეწევა ძარცვას, ბანდიტიზმსა და ძალადობას მოსახლეობის მი-  
მართ; თვითნებურად, - ყოველგვარი სასამართლო განჩინების გარეშე  
დახურულია ყველა ოპოზიციური გაზეთი.

ზემოთქმულის გამო, მოსკოვის საბჭო აუცილებლად მიიჩნევს მიმა-  
რთოს რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს, პრეზ. ბორის ელცინს,  
მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებსა და მთავრო-  
ბებს მხარი დაუჭირონ შემდეგ მოთხოვნებს:

- მოეთხოვოს შევარდნაძეს უკანონოდ დაკავებულ დეპუტატთა და  
სხვათა დაუყოვნებელი განთავისუფლება.
- გამოეცხადოს შევარდნაძის უკანონო რეჟიმს პოლიტიკური ბლოკადა  
და შეწყვიტილი იქნას ყოველგვარი კონტაქტები მასთან.
- მოეთხოვოს შევარდნაძის უკანონო რეჟიმს გადადგეს და აღდგენი-  
ლი იქნას საქართველოს კონსტიტუცია, რესპუბლიკის კანონმდებლო-  
ბა და წარმომადგენლობითი ხელისუფლება უზენაესი საბჭოსა და  
პრეზ. გამსახურდიას მეთაურობით.
- გაიხსნას საქართველოში ადამიანის უფლებათა დამცველი საერ-  
თაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობა“ და სხვა.

ხელს აწერს: მოსკოვის საბჭოს თ - რე ნ. გ ო ნ ჩ ა რ ი

\*\*\*

**ს. ს. ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა „ვერისის“ განცხადება**

ჩ ვ ე ნ, სრულიად საქართველოს საზოგადოება „ვერისის“ წარმო-  
მადგენელთა კრების (გაიმართა 1992 წ. 15 ივლისს, ქ. თბილისში)  
მონაწილენი, მოგმართავთ შემდეგი განცხადებით:

ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, მთელი საქართველო მოწმეა სამე-  
გრელოს რეგიონში ძალადობის არნახული ესკალაციისა, რომლის მსხ-



კომკავშირის

ვერბალი გახდა მშვიდობიანი მოსახლეობა. ჩვენ ვგმობთ კრიზისს მეგრელოს რეგიონში მოთარეშე შეიარაღებულ ბანდებს, აგრეთვე იქ „ოფიციალურ ვიზიტად“ ჩასულ ზოგიერთი სამხედრო ფორმირების თარეშს. მოხდა შეიარაღებული შეჯახება ქ. წალენჯიხაში. თავისთავად ეს ტრაგიკული ფურცელი ჩვენი ისტორიისა ქართველი ხალხის საერთო გულსწყრომას იწვევს და ჩვენც, სრულიად საქართველოს საზოგადოება „ეგრისი“-ს წარმომადგენელთა კრების მონაწილენი, კატეგორიულად ვგმობთ ძმათა შორის სისხლისღვრას, ვისი მხრიდანაც უნდა მომდინარეობდეს ეს, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ მომხდარი ფაქტები ყოველგვარ ზღვარს გასცდა, რის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იძულებული გახდა დაეტოვებინა მამაპაპისეული საცხოვრებელი ადგილი. ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, შიდა ქართლის მსგავსად, სამეგრელოშიც გაჩნდნენ ლტოლვილები.

როგორც ბ-ნმა ედ. შევარდნაძემ ბრძანა, პოლიტიკურ თუ პირად ამბიციებს ნუ გადავაცოლებთ უდანაშაულო ხალხს, საქართველოს ერთიანობას. ზოგიერთი ხელმოცარული „პოლიტიკოსი“ და ვაი-მამულიშვილი ყოველ წალენჯიხელში თუ თელაველში, ზუგდიდელსა თუ თბილისელში და ა. შ. ნუ ხედავს მტერს. სრ. საქ. საზ. „ეგრისის“ წარმომადგენელთა კრება მოითხოვს:

1. გამოიყოს კომისია, რომელიც კომპეტენტურად და ობიექტიურად შეისწავლის სამეგრელოს რეგიონსა და, კერძოდ, წალენჯიხაში მომხდარ ფაქტებსა და მიმდინარე მოვლენებს, გამოავლენს დამნაშავეებს, პოლიტიკურად და ზნეობრივად შეაფასებს უკანასკნელ დღეებში მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებს;
2. რეგიონში მართლწესრიგი დაიცვან მილიციის გაძლიერებულმა ძალებმა და შინაგანი ჯარების შენაერთებმა ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. კატეგორიულად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაიყვანონ შეიარაღებული ფორმირება „მხედრონი“ აღნიშნულ რეგიონიდან, რამეთუ ამ ფორმირების ზოგიერთი ნაწილი კონფლიქტში აღმოჩნდა ადგილობრივ მოსახლეობასთან;
3. საქართ. საინფორმაციო საშუალებებმა შეწყვიტონ ინფორმაციების მიკერძოებული და ცალმხრივი გაშუქება, რადგან ეს უკიდურესად ამწვავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას;
4. ვინაიდან ჯერ არ ამოწურულა კონფლიქტის მოგვარების მშვი-

\*\*\*\*\*

დობიანი შესაძლებლობანი, საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ცალსახად განაცხადონ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ჩიხიდან გამოიყვანენ მხოლოდ დიალოგის, პოლიტიკური დიპლომატიის გზით;

5. სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოყოფილი კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულ იქნენ ადგილობრივი მოსახლეობისა და საზოგადოება „ვერისის“ წარმომადგენლები;

6. სახელმწიფო საბჭოს ვთხოვთ, ეს განცხადება გაავრცელოს პრესითა და რადიო-ტელევიზიით. აქ გვინდა განვაცხადოთ:

ჩვენი საზოგადოება არ არის და არც იქნება არანაირი პოლიტიკური მიმართულებისა. მისი მთავარ პროგრამა-მიზანია ერთიანი საქართველოსათვის რულუნება, ძმათა შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა, სიყვარულისა და ძმობის დაფუძნება. სწორედ ამ მიზნებმა გვაიძულა მოგვემართა ამ წერილით თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის. ჩვენ, თქვენთან ერთად, აღშფოთებული ვართ ადამიანთა მძევლად აყვანის, სამწუხაროდ, უკვე მრავალრიცხოვანი შემთხვევებით. უკანასკნელად ეს გაკეთდა პოლიტიკური მიზნებითაც (მხედველობაში გვაქვს ბნ სანდრო კავსაძესთან დაკავშირებული ფაქტი).

მოვუწოდებთ იმ შეიარაღებულ ჯგუფს, რომელმაც ჩაიდინა ეს საქციელი, იხელმძღვანელოს ჰუმანური პრინციპებით და უვნებლად დაუბრუნოს ბნი სანდრო ოჯახსა და საზოგადოებას. დაე, ეს იყოს პირველი ნაბიჯი ურთიერთმიმტეველობისა და შერიგების გზაზე.

(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 24.07.1992.)

\*\*\*

**ბ-ნ ზ. გამსახურდიას განცხადებები**

**24 ივნისის აქციის შესახებ**

„საქართველოში დაიწყო 1937 წლის დარი რეპრესიები და ტერორი. 24-25 ივნისის დაპატიმრებულია ასამდე ადამიანი შეთითხნილი ბრალდებებით, თუმც მოსკოვის ტელევიზია 12-ს აცხადებს. 24 ივნისის თვითმარტვია ხელისუფლების მიერ კარგად დაგეგმილმა პროვოკაციამ ნაყოფი გამოიღო. შინაგანი ჯარის ოფიცრებმა, რომელნიც შემდგომში ხუნტის აგენტები აღმოჩნდნენ, მოატყუეს მომიტინგეები, რომ მათ დაიცავდნენ ტელევიზიაში შესვლისა და მისი დაკავების შემთხვევაში. მათ მიიყვანეს ორი ტანკი ტელევიზიის შენობასთან, შემოიტანეს იარაღი. მას შემდეგ, რაც მომიტინგენი შევიდნენ ტელერადიო





\*\*\*\*\*

დეპარტამენტში და რადიოთი მიმართეს მოსახლეობას, მონაწილე ჯარის ოფიცრები მიიმალნენ, არც მათი დაპირებული ჯარი გამოჩნდა, რომელსაც უნდა დაეცვა ხალხი ხუნტის დამსჯელი რაზმებისაგან. დილით „მხედრონისა“ და ე. წ. ორგანიზაცია „პატრიოტის“ კრიმინალურმა ბანდებმა იერიში მიიტანეს ტელევიზიის შენობაზე და ანძაზე, მოკლეს 30-მდე ადამიანი, დაჭრეს და დააბატმირეს მრავალი. ამჟამად ამას ხუნტა გადატრიალების მცდელობას უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეებს არავისთვის უსვრიათ და ამით ამართლებს რეპრესიებს.

აბატმირებენ ადამიანებს, მათ შორის ქალებს და მოხუცებს, რომელთაც არაფერი იცოდნენ მომხდარის შესახებ და სახლებში იყვნენ. ხუნტის წევრები აცხადებენ, რომ გაანადგურებენ პრეზიდენტის ყველა მომხრეს, ე. ი. ქართველი ხალხის 90%-ს.

საქართველოში არსებული ორად ორი დამოუკიდებელი გაზეთი „იბერია-სპექტრი“ და „თავისუფალი საქართველო“ დაიხურა ხუნტის ბრძანებით. გრძელდება დააბატმირებები. ამავ დროს „მხედრონის“ ბანდები შეესიენ დასავლეთ საქართველოს. შემდეგ მოდის მიმართვა მსოფლიოსადმი, რომ არ დაუშვას სტალინიზმის აღორძინება საქა-ში.

26 ივნისი 1992 წელი.

დაგომისის ხელშეკრულებაზე

„24 ივნისს დაგომისში შედგა შეხვედრა შევარდნაძისა და ელცინისა, რასაც ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრას უწოდებენ, მაგრამ აშკარაა, რომ ეს იყო ოთხმხრივი შეხვედრა, ვინაიდან მას ესწრებოდნენ ე. წ. სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის დელეგაციები. ამით შევარდნაძემ ფაქტობრივად ცნო ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობაში, თუმც ოფიციალურად განცხადება ჯერ არ გაუკეთებია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთისთვის ფაქტობრივ ცნობას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ცარიელ დეკლარაციებს, ვინაიდან ეს ხელს უხსნის მას ამ ტერიტორიის თავის იურისდიქციის ქვეშ მოქცევაში. დაგომისის შეხვედრის მნიშვნელოვანი შედეგი იყო აგრეთვე ის, რომ მხარეებმა მოილაპარაკეს კონფლიქტის მონაწილეთა ე. წ. დამორიშორების ერთიანი ძალების შექმნის შესახებ. თუ რა ეროვნების ჯარები იქნება ამ ძალებში, ყველასათვის ცხადია. საქმე ეხება რუსის ჯარების შეყვანას სამხრატლოში, რომელმაც უნდა ვითომდაც დაამორიშოროს ქართული და



\*\*\*\*\*

ოსური მებრძოლი რაზმები. თუ სად მიუჩენენ ადგილს ქართველ მებრძოლებს და ქართულ მოსახლეობას იოლი მისახვედრია. ეს ადგილია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთის საზღვარი გორის რაიონთან, რომლის ჩრდილოეთით ქართველი კაცის ჭაჭანება აღარ იქნება. სამაჩაბლოს ყველა ქართული სოფელი განწირულია დასაცლელად, ამოსაწყვეტად, ხოლო ოსების უსაფრთხოებას დაიცავს რუსეთის ჯარი, რომელიც დააბრუნებს 150 ათას ოსს შიდა ქართლში. მიღებული ცნობების მიხედვით, ამ შეხვედრას მოჰყვა რუსული და ოსური აგრესიის ესკალაცია სამაჩაბლოში, ოსი ექსტრემისტები შეტევაზე გადმოვიდნენ, ქართული გვარდია განიარაღებულია ხუნტის მიერ, ქართული სოფლები საერთოდ დაუცველი დარჩა. ამრიგად, დაგომისის შეხვედრაზე შევარდნაძემ ჩაიღინა მორიგი გამცემლობა და ღალატი საქართველოსი, რუსეთს და ოსეთს დაუთმო შიდა ქართლი, ხოლო მისი ცარიელი დეკლარაციები რუსეთის აგრესიის ვითომცდა დაგმობის შესახებ მხოლოდ ნიღბავს ამ შეთქმულებას და გარიგებას“.

26 ივლისი 1992 წელი

**ჰელსინკში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეებს მი მ ა რ თ ვ ა**

„რუსეთის ფედერაცია ახორციელებს ფართომასშტაბიან აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის სნგ-ს წევრი ქვეყანა, ამ გაერთიანების ჯარები, რომლებიც რუსეთის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან, ახორციელებენ დამსჯელ ოპერაციებს საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ, კოლაბორაციონისტური შევარდნაძის დროებითი მთავრობის ძალებთან ერთად, რომლებმაც ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში სისხლიანი პუტჩისა და სამხედრო გადატრიალების შედეგად ყოფილი საბჭოთა ჯარების მხარდაჭერით. დაწყებული 6 ივლისიდან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხუთი შევეულმფრენი თავს ესხმის და ცხრილავს ქ. წალენჯიხას დასავლეთ საქართველოში, რომლის მოსახლეობა თავს იცავს ე. წ. სახელმწიფო საბჭოს დამსჯელი ძალებისაგან, რომელიც ეწევა ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ამ აქტივებმა მრავალი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეიწირა.

ერთდროულად რუსეთის ჯარები-ვითომდა სამშვიდობო ძალები, ჩრ-



\*\*\*\*\*

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

სამხრეთ-დასავლეთი

რდილოეთ ოსეთის ძალებთან ერთად შეჰყავთ ე. წ. სამხრეთ-დასავლეთ ოსეთში დამსჯელი ოპერაციების ჩასატარებლად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელთა ისედაც მძიმე მდგომარეობა უფრო გაუარესდა დაგომისში ელცინისა და შევარდნაძის გარიგების შემდეგ.

ყოველივე ეს წარმოადგენს რუსეთის ფართომასშტაბიან აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც სულ უფრო და უფრო გარდაიქმნება მეორე ავღანეთად. ეს არის გენოციდი, რომელიც მიმდინარეობს წამყვან სახელმწიფოთა ჩუმი თანხმობით.

რუსეთის ჯარების აგრესიული ქმედებანი შენიღბულია რუსეთის ხელმძღვანელობის განცხადებებით კონფლიქტების მშვიდობიანი პოლიტიკური დარეგულირების, სამშვიდობო მოღვაწეობის აუცილებლობის შესახებ.

მოგიწოდებთ მსოფლიო საზოგადოებრიობას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს მონაწილე ქვეყნებს, დაგმეთ რუსეთის ხელმძღვანელობის აგრესიული ქმედებანი საქართველოს წინააღმდეგ, აგრეთვე შევარდნაძის მარიონეტული რეჟიმის კოლაბორაციონალიზმი და მოითხოვთ საქართველოს ტერიტორიიდან ყველა უცხოური ჯარების გაყვანა, რომლებიც წარმოადგენენ დესტაბილიზაციისა და სისხლისღვრის წყაროს, საფრთხეს უქმნიან საქართველოს სუვერენიტეტს და ხელს უშლიან რესპუბლიკაში კანონიერი ხელისუფლების აღდგენას.

ს. რ. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია“ (იხ. „ქ. ა.“ №27, 68.92.)

**მძევლების აყვანის თაობაზე განცხადება**

„შევარდნაძის რეჟიმი განაგრძობს ტერორსა და გენოციდს დასავლეთ საქართველოში; ქალაქები და სოფლები დარბეულია და გაძარცვული, მოსახლეობა სტოვებს მამა-პაპისეულ სახლ-კარს და იხიზნება. უკანასკნელ ზღვრამდე მიყვანილი ხალხი იძულებულია მიმართოს უკიდურეს ზომებს თავისი სიცოცხლის გადასარჩენად; საყოველთაოდ იქმნება რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობისა და წინააღმდეგობის რაზმები, რომელთაც ამას წინად, როგორც ხალხის მიერ მსჯავრდადებული, მძევლად აიყვანეს ე. წ. სახელმწიფო საბჭოს წევრები: შინაგან საქმეთა თვითმარქვია მინისტრი და სხვა პირნი.

მე, საქართ. რესპუბლიკის პრეზიდენტი ვაცხადებ, რომ ზემოაღნიშნული აქტია ჩატარებული იქნა ჩემგან დამოუკიდებელი. სახალხო წინააღმდეგობის რაზმების მეთაურებს ამ საკითხთან მიმართებით



ეროვნული  
არჩევნების  
სამსახური

ჩემგან არავითარი მითითებები არ მიუღიათ. ვაცხადებ მხოლოდ იმის გამო, რომ რუსეთის ტელესტუდია „ოსტანკინო“ და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებები უკავშირებენ მძევალთა აყვანის ფაქტს ჩემს სახელს.“

საქართ. რესპ. პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია  
გროზნო, 1992 წლის 12 აგვისტო

\*\*\* \*\*

წ ა მ ე ბ ი ს შ ე მ ა შ ფ ო თ ე ბ ე ლ ი ფ ა ქ ტ ე ბ ი

დავიჯერო, ეს არაკაცებიც 70 წელს იბოგინებენ?

(ამ ამბის შინაარსი კერძო წერილიდანაა ამოკრებილი, სიფრთხილის მიზნით ადამიანებისა და გეოგრაფიული ადგილების სახელები შეცვლილია)

აგვისტოს პირველ რიცხვებში დავბრუნდი საქართველოდან დაღლილი და განადგურებული. ის, რაც ახლა საქართველოში ხდება ნორმალურ ადამიანს გააგიჟებს.

ოც ივნისს დილით ადრე ჩავფრინდით თბილისის აეროპორტში. მაშინვე გავეშურეთ გორისაკენ ჩემი ძმის ოჯახში. გამიკვირდა, რომ ის აეროპორტზე არ დამხვდა, მაგრამ ავტომობილში მითხრეს: ორი კვირაა, რაც ციხიდან გამოვიდა, ჯერ კიდევ თავს კარგად ვერ გრძნობსო. მე რომ მან მისი პატიმრობის დეტალები მომიყვა, ისიც მიკვირს ცოცხალი რომ იყო.

ჩემი ძმა უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი გახლავთ. მას მის სიცოცხლეში ქათამიც არ დაუკლავს. სულიერია როგორ მოგვლავო. 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში დეპუტატად იქნა არჩეული. მერე კი რაიონის პრეფექტად დაინიშნა. წლებადღეი იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ყალბი ბრალდებით დაუპატიმრებიათ. თურმე გამუდმებით ურტყამდენ, ურტყამდენ განსაკუთრებით თავში და თან დასძახოდნენ: შენ აქედან პირდაპირ საგიჟეთში უნდა გაგაგზავნოთო. აბრალებდენ განა მართო რაიონის მოწამვლას, არამედ მთელი ქართლისას. შენაო ერთი ტონა ნახევარი შხამი შემოიტანეო, როცა პრეფექტი იყავიო, ახლა კი ტერორისტული ჯგუფის წევრი ხარ, რომლის უფროსი პროფესორი იქსიძეა. გამოტყდიო.

თურმე გამუდმებით ასმენინებდენ მაგნიტოფონის ფირს, სადაც ინსცენირებული იყო მისი მეუღლისა და 13 წლის გოგონას გაუპატიურების სცენა. ასევე ასმენინებდენ დანარჩენი სამი შვილის



\*\*\*\*\*

დახვრეტის სცენას.

თურმე ნემსებს უკეთებდენ. როგორც ხმები გამოვიდა ნარკოტიკები ყოფილა. ასეთ ყოფაში ხელი მოუწერინებიათ, რომ ის მართლაც საშიშ ტერორისტთა უჯრედის წევრია და მას ხელმძღვანელობს პროფესორი იქსიძე. გონზე მოსულს აუტეხავს განგაში, მოუთხოვია პროკურორი. პროკურორი რომ შესულა საკანში, დაუღრიალებია: პროტესტის განცხადება არ გაბედო და მასაც უცემია. ვის არ უცემია, საცოდავი! ქართლში არ დარჩენილა რაიონის მილიციის უფროსი, რომ მასთან საკანში არ მისულიყოს და არ ეცემოს.

ჩემი ძმის დაეინებული მოთხოვნით, მისი მეუღლის და სხვა ახლო ნათესაეების თავდაღების წყალობით, რესპუბლიკის პროკურორის თანამშრომელი მისულა. მას ჩემი ძმის ახსნა-განმარტება მიუღია, რომ ის ტერორისტული ჯგუფის წევრი არ არის და არც პროფესორი იქსიძეა მისი უფროსი, რომ მისი „ჩვენება“ სიცრუეა. ორი კვირის წინად გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ რალა: სუნთქვა უჭირდა და დახველება, ისე უცემიათ, ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული და ცხვირის ძვალი – გატეხილი, თირკმლები დაჟეილი, ხელ-ფეხზე კიდევ ეტყობოდა სისხლჩაქცევები.

საქართველოში ახლა 1937 წელი ბოზოქრობს. დავიჯერო, ეს არაკაცებიც 70 წელიწადს იბოვინებენ! – ასე ამთავრებს საქართველოს ამჟამინდელი მდგომარეობით გულგატეხილი ჩვენი წერილის ავტორი.

ს ა კ ა ნ ი № 3

( ამერიკულმა კრებულმა „სოვიეტ ანალისტ“ ტომი 21 № 6, გამოაქვეყნა თბილისის საპატიმროს ერთი საკანიდან მოწერილი წერილი, რომლის შინაარსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ. რედ.)

საკანი №3 მდებარეობს თბილისში, ყოფილ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სარდაფებში, ამჟამად სახელმწიფო საბჭოს რეზიდენციაში, სადაც ბნ შვეარდნაძის კაბინეტიც მდებარეობს. №3 საკანიდან მოწერილ უწყებას ხელს აწერენ: ეკა ხერხეულიძე (24 წლის. წაყენებული აქვს ბრალდება 65 და 71 მუხლებით, არარსებული საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით), ხათუნა ბაქრაძე (ტელე-ინფორმაციის რედაქტორი, რომელიც მსახურობდა პუტჩის დროს), თამარა გამილადიშვილი (ავრეთვე რედაქტორი), ვინმე სტუდენტი კ ა ტ ი ა დუღუშაური და მაია მათიკაშვილი

\*\*\*\*\*



(ტელეჟურნალის მოსამსახურე). მიმართვის ტექსტი შემდეგაა:

„ჩვენ დაგვაპატიმრეს თბილისში, დიღომის უბანში, 1992 წლის 25 ივნისს, მას შემდეგ, რაც გათამაშდა პუტჩის საექტაკლი რადიო-ტელევიზიის ცენტრის წინააღმდეგ. მხეცურად დაპატიმრების შემდეგ ჩვენ მოგვათავსეს განცალკევებულ კამერებში. ამჟამად ვიმყოფებით ძველ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.-ში. ამ შენობას ახლა ეწოდება „სახელმწიფო საბჭოს სასახლე“, სადაც ე. შევარდნაძეს აქვს მისი კაბინეტი. ამ შენობის სარდაფებში მოთავსებულია საწამებელი იზოლატორები, ჯერ კიდევ ლავრენტი ბერიას მიერ მოწყობილი. № 3 საკანში სულ 16 პატიმარი ქალია. მთლად შენობაში კი -51.

ყველა დაგვაპატიმრეს გათამაშებული პუტჩის შემდეგ. ბრალად გვდებენ კრიმინელობას. სინამდვილეში დაგვაპატიმრეს მხოლოდ იმისთვის, რომ ვართ მხარისდამჭერნი კანონიერად არჩეული პარლამენტისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი.

საქართველო ახლა სრულ ქაოსში იმყოფება. ხუნტამ, რომელიც ხელისუფლებაშია, ბოლოს და ბოლოს ნიღაბი აიხადა. არავითარი ჰუმანიური მას არ გააჩნია. ჩვენ გვდევნიან, გვატყვევებენ, ჩვენ განვიცდით ძალადობასა და წამებას. ჩვენ არ გვაქვს ადვოკატის ყოლის უფლებაც კი. პრესას წაართვეს ბეჭდვის თავისუფლება, პრეზ. გამსახურდიას ყველა მხარდამჭერი, რაც თითქმის მთელი საქართველოა, განიცდის უსაზღვრო ტერორს.

ჩვენ გვგონია, ვიცავთ ჩვენი ხალხის ღირებულებებს და როცა უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტს გამოვთქვამთ, ჩვენ ამით ვაცხადებთ ჩვენი ხალხის ნებას.

თუ საქართველოს განთავისუფლება ჩვენგან მსხვერპლს მოითხოვს, ჩვენ მზად ვართ მას შევეწიროთ. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.“

ინგლისურიდან თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა ეთერი წერეთელმა  
\*\*\* \*\*

მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისადმი

ძვირფასო თანამემამულენო! იმპერიის მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა და გადატრიალებამ საქართველო უფსკრულის პირას მიიყვანეს. შევარდნაძის ნეოსტალინისტური მაფიოზური ხუნტა ყოველნაირად ცდილობს ეროვნული და კუთხური შუღლის გაღვივებას, სისხლისღვრისა და დესტაბილიზაციის პროვოცირებას აფხაზეთში და მთელს სა-





\*\*\*\*\*

ქართველოში. მხედრონის კრიმინალური ბანდები აწიოკებენ და არბევენ მთელ საქართველოს, მაგრამ განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით მოქმედობენ დასავლეთ საქართველოში. აფხაზეთში მათი მიზანია კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა განადგურება, აფხაზთა და ქართველთა შორის ეთნოკონფლიქტის პროვოცირება, რაც არას გზით არ უნდა დავუშვათ. ამისთვის აუცილებელია აფხაზეთის მთელ მოსახლეობის მობილიზირება დამნაშავე ბანდებთან ბრძოლაში, მათი განიარაღება და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მტრის მიზანია „მცოცავი“ გადატრიალების მოწყობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რათა აფხაზეთშიც იგივე დატრიალდეს, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში. აუცილებლად უნდა მოხდეს აფხაზი და ქართველი მოსახლეობის კონსოლიდაცია და დარაზმვა დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მილიციის ჯანსაღი ნაწილი მხარში უნდა ამოუდგეს მოსახლეობას.

აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ არ უნდა გააღვივოს ეროვნული შუღლი, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ შეერიგებას და საზოგადოების კონსოლიდაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განწირულია. უნდა დაჩქარდეს პოლიტიკური დიალოგი უზენას საბჭოსთან, აფხაზ ინტელიგენციასთან, უნდა დაიგმოს მონონაციონალური პრინციპი, რაც დიდ უბედურებას მოუტანს უწინარეს ყოვლისა აფხაზ მოსახლეობას! აფხაზთა და ქართველთა ერთიანობა იქნება გარანტი აფხაზეთში პოლიტიკური სტაბილიზაციისა და მშვიდობისა.“

ს. რ. პრეზიდენტი ზ. გამსახურდია (12 ივლისი 1992 )  
\*\*\* \*\*

ე რ ო ვ ნ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს 68 წ ლ ი ს თ ა ვ ი

1924 წლის მარიამობის დღეს იარაღთ ხელში აღდგა ქართველი ხალხი საოკუპაციო საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო იგი. ის სისხლი უქმად არ დადვრილა, იგი უხვად ანაყოფიერებს საქართველოს მთებსა და ველებს.

დიდება ბრძოლის ველზე დაცემულ თუ საპატიმროებში უღვთოდ გაჟლეტილ მგზნებარე მამულიშვილებს!

\*\*\* \*\*




**ძვირფასო თანამემამულენო, ძმებო, მეგობრებო!**

მართლმადიდებლურ ეკლესიაში იშვიათად თუ მიეცემა დიაკონს საშუალება, რომ მიმართოს მრევლს საკვირაო წირვის დროს, მაგრამ რადგან უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენი ძვირფასი მამა მეთოდოსი, ჩვენი მთავარეპისკოპოსის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი მეუფე იერემიას ლოცვა-კურთხევით, ამას მაგალებდა, გადავწყვიტე დღეს, ამ საყურადღებო და საზეიმო შემთხვევაში მოვმართოთ, რომ ერთად გავიხსენოთ ის პრინციპები, რითაც გაგვზარდეს ჩვენ-მა მშობლებმა.

ის, რასაც ახლა მოგახსენებთ მართალია, ჩვენთვის დაუფიწყარ მამა ილია მელიასაგან მაქვს მოსმენილი, მაგრამ ეს მხოლოდ მისი აზრი როდი იყო. ეს იყო აზრი ყველა იმ შესანიშნავი ადამიანებისა, რომლებმაც აღჭურვილმა თავდადებით, სპეტაკი, უანგარო და მხურვალე სიყვარულით სამშობლოსადმი, ჩვენამდე იმოღვაწეს ემიგრაციაში. როგორ არ მოვიგონოთ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, რომელმაც შესწირა სიცოცხლე მის იდეალს; ყველა წევრები დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისა; ყველა ისინი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1924 წლის აჯანყებაში: ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შალვა ამირეჯიბი და მათი შეფიცულები; ჩვენი ეკლესიის მოძღვრები: არქიმანდრიტი მამა გრიგოლ ფერაძე, მამა ნიკოლოზ ზამბახიძე, და რა თქმა უნდა, ჩვენი დეკანოზი მამა ილია მელია, რომელსაც ვერავინ ვერ შეცვლის; მნათეები, მედავითნეები, ყველა, ვისაც აქ უგალობია; ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარენი: დაუფიწყარი ლევან ზურაბიშვილი, შესანიშნავი ელისე პატარიძე... სამხედროები: გენერალი კვინიტაძე; ოფიცრები და ქართული სამხედრო სკოლის კადეტები, რომელთაგან ზოგიერთი განისვენებს მათ პოლონელ ძმებთან ერთად კატინის სამარხებში; ყველა ისინი, ვინც ამ ბოლო 70 წლის მღელვარე გარემოში წავიდნენ მოხალისეებად სხვადასხვა ქვეყნების ჯარში იმ მიზნით, რომ მიეღოთ მონაწილეობა სამშობლოს განთავისუფლებაში; ყველა მწერლები, პოეტები, მხატვრები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები და ყველა თავმდაბალი ქალბატონები და ბატონები, რომლებიც, შეიძლება, არ წარმოადგენდნენ დიდ საზოგადო მოღვაწეებს, მაგრამ მათი წყნარი, თავმეკაცებულო და შეუპოვარი ყოფნით ემიგრაციაში ადასტურებდნენ



თავიანთ მტკიცე განზრახვას: უარი ეთქვათ ყოველგვარ კომპრომი-  
სზე მტერთან და ინარჩუნებდნენ ხელუხლებელ იმედს, რომ აღსდ-  
გებოდა მათი სპეტაკი, ყველასათვის შესაწყენარებელი და აყვავებული  
დამოუკიდებელი საქართველო.

თითქმის ყველანი დაგვმორდნენ და ახლა განისვენებენ ლევილის  
სასაფლაოზე თუ სხვაგან. მათ, განვლილი ტანჯვით და შრომით სა-  
ვსე ცხოვრებით, მოგვცეს საშუალება ჩავრთულიყავით, და უმეტეს  
შემთხვევაში ბრწყინვალედ, საფრანგეთის ან იმ ქვეყნის ცხოვრებაში,  
რომელმაც მიგვიღო და რომელიც გადაიქცა ჩვენ მეორე სამშობლოდ.  
მათ გადმოგვცეს და ჩვენ შევისისხლხორკეთ მათი იდეალი, და, აი,  
ეს ის იდეალია, რომელიც ჩვენ მოგვიხმობს შევიკრიბოთ ხოლმე ის-  
ეთ დღეებში, როგორც დღეს ვართ შეკრებილნი. ამით ჩვენ ვიხსენ-  
ებთ ჩვენი ისტორიის ბედნიერ ან ტრადიკულ თარიღებს: **26** მაისს  
**1918** წლისა, **25** თებერვალს **1921** წლისა, **28** აგვისტოს **1924** წ.  
და ეს უკანასკნელი სამი წელია— ცხრა აპრილს **1989** წლისას.

ასე გვზრდიდნენ ჩვენი მშობლები, მაგრამ ვერ ეღიროსნენ მათი  
ოცნების აღსრულებას და ჩვენ დავრჩით გზადაბნეულები, როგორც  
ობოლო ბავშვები, მათი სულიერი და ინტელექტუალური გამოცდილე-  
ბის გარეშე. ასეთ ვითარებაში შევიტყვეთ ის მოვლენები, რომლე-  
ბმაც აამოძრავა ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საქართ-  
ველო. ჩვენ კარგად ვერ ვარკვევდით, რაც იქ ხდებოდა. ნუთუ ჩე-  
ენ იმ მითურ მოვლენას ვესწრებოდით, რომლის მოლოდინის იმედით  
ცოცხლობდნენ ჩვენი მშობლები: საქართველოს დამოუკიდებლობის და  
სუვერენობის აღდგენას, ანდა სხვა რაიმე შავნელ მაქინაციას, რო-  
მლის მიზანი იქნებოდა, რომ არსებული მდგომარეობა სხვა ფორმით  
გაეგრძელებინა და სამუდამოდ დაემკვიდრებია?

ჩვენ შევიტყვეთ უამრავი დაჯგუფებების, ასოციაციების, პოლიტი-  
კური პარტიების დაარსება. კარგად ვერ ვარკვევდით, რით განს-  
ხვავდებოდა მათი აზროვნება ერთმანეთისაგან. ყველა კი დაუჯერე-  
ბელს მოითხოვდა: საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლე-  
ბას — ჩვენი მშობლების იდეალს, რაზედ კომუნისტურ საქართველოში  
ვერავინ გაფიქრებასაც კი ვერ გაბედავდა.

ძალზე ავლელდით, როდესაც დავინახეთ თბილისის ქუჩებში როგ-  
ვორ გამოდიოდა ქართველი ახალგაზრდები იმ დროშით, რომელიც  
ჩვენ საკუთარ დროშად მიგვაჩნდა და რომლის ფერები სულ ცოტა  
ხნის წინ ჯერ კიდევ უცნობი იყო იმავე ახალგაზრდებისათვის,  
„დიდების“ სიმღერით, რომელსაც ვთვლიდით ჩვენი საქართველოს

\*\*\*\*\*



ჰიმნად და რომელიც არასოდეს არ სმენიათ ამ ახალგაზრდებს. ნი ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტი, რომელსაც არ იცნობდნენ მანამდე. ჩვენთვის ეს იყო დიდი „შოკი“. ვეცნობოდით იმ ლიტერატურას, რომელიც ჩვენამდე აღწევდა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ გულგატეხილი დავრჩით, ხშირ შემთხვევაში თავზარდაცემული და ზოგჯერ კიდევ აღშფოთებული უცნაური პოლიტიკური და ეკონომიკური თეორიებით; უკეთეს შემთხვევაში უფერული, ზოგჯერ პირდაპირ მწვალელბური თეოლოგიური აზროვნებით, ამდენი სიძულვილის, შეუწყნარებლობის და უპასუხისმგებლობის ამოხეთქვით, და ვიფიქრეთ: არა ეს არ არის, რასაც ველოდით, ჩვენ არაფერი არ გვაქვს საერთო მათთან.

შემდეგ კი დავესწართ საკმაოდ დამაიმედებელი მოვლენების მთელი რიგ სერიას: 1990 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, მართალია ტარდებოდა საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითქოს ყველა დემოკრატიული წესი დაცული იყო და შედეგადაც ხმების დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა იმ ბლოკმა, რომელიც იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეალს. დავესწართ პარადოქსალურ მოვლენას: საბჭოთა საქართველოს ძალაუფლება, უცვლელი სახელმწიფო ორგანოებით, მიიღო ისეთმა მთავრობამ, რომლის უმრავლესი წევრი დისიდენტი იყო. მათ განკარგულებაში ჰყავდათ იგივე მილიცია, იგივე ჯარი, იგივე ადმინისტრაცია, იგივე კანონები, და ყოველ საპასუხისმგებლო პოსტზე იგივე მაღალი რანგის მოხელეები, საბჭოთა ნომენკლატურის წევრები, რომლებიც მათ დევნიდნენ, რიცხავდნენ სხვადასხვა დაწესებულებებიდან და კავშირებიდან, აიძულებდნენ საზოგადოების განაპირებში ეცხოვრათ.

ამგვარ უძნელეს და მომავლისათვის დამაფიქრებელ პირობებში დაიწყო მუშაობა ამ მთავრობამ. რა თქმა უნდა, ყველაფერი რიგზე როდი იყო, პირდაპირ რომ ვთქვათ, კომუნისტების მიერ დატოვებული კატასტროფიული მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა. მოშლილმა ეკონომიკამ კიდევ უფრო გაართულა საცხოვრებელი პირობები. შეიარაღებული ბანდები, რომლებიც თავს აფარებდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, სისხლიან ბრძოლას აწარმოებდნენ ერთმანეთში და ეწეოდნენ მშვიდობიანი, უდანაშაულო მოსახლეობის ძარცვასა და უმეტესად კრიმინალობას.

ძმთა შორის, უაზრო და საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის უადრესად საშიში, სამოქალაქო ომი, დაწყებული კომუნისტ-

\*\*\*\*\*



ების დროს გრძელდებოდა და აქეზებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან ძმურად ცხოვრობდნენ, ამოეკლიტათ ერთმანეთი. ვინ შეარიგებს მათ?! ვინ დაავიწყებს როგორც ქართველ ისე ოს მოსახლეობას ამ საშინელ დაბომბვებს, ულეტას და საცხოვრებელი ადგილებიდან განდევნას?..

ასეთი ტრადიკული სიძნელების მიუხედავად, მთავრობა აგრძელებდა მის საქმიანობას და ჩვენს წინ ისახებოდა გზა, რომელიც მიიყვანდა საქართველოს მის მუღმივ და საბოლოო დამოუკიდებლობისა და სუვერენობამდე. 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე დასმულმა კითხვამ, რომელიც პირდაპირ ეხებოდა 1918 წლის 26 მაისს და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, მიიღო ერთსულოვანი თანხმობა. საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხის აღიარება მიიღო ზვიად გამსახურდიამ, დამოუკიდებლობისათვის ერთ-ერთმა ყველაზე ძველმა და მტკიცე მებრძოლმა. თითქოს ყველაფერი დასასრულს უახლოვდებოდა: მეოცე საუკუნის ისტორიის ამ მღელვარე ოკეანეში აზარტული ნაოსნობის შემდეგ აღსდგა ჩვენთვის ოდესღაც დაკარგული ჩვენი ქვეყანა, მართალია ქაოსამდე მისული, კატასტროფიულ მდგომარეობაში მყოფი, მაგრამ იმედი მაინც იყო.

კომუნისტური დიქტატურის დაცემამ ააყვავა სიტყვის თავისუფლება. გამოდიოდა მრავალნაირი აზროვნების უამრავი გაზეთები, წიგნები. რაც მთავარია, აღარ იყო საკუთარი აზრის გამოთქმის შიში. შემიძლია მე თვითონ დავდგე თავდებად და მოწმედ ყოველივე ამისა, რადგან ამ პერიოდში ორჯერ ჩავედი საქართველოში. თვითონ დავსწრებივარ ისეთ მღელვარე, აბობოქრებულ, მაგრამ ალალ კამათებს, რომლებიც კომუნისტ. დიქტატურის დროს წარმოუდგენელი იყვნენ. კონტრასტი საოცრად დიდი იყო ჩემს წინა მგზავრობებთან შედარებით.

მაშინ რაღაც უჩინარი კედელი მიშლიდა სხვებთან კონტაქტის დაჭერას. დამოუკიდებელი საქართველო თავისი დროშით, ჰიმნით, ღერბით და იდეალით მხოლოდ ჩემში თუ არსებობდა. გარემოება არაფრით არ ასახავდა ამას. მხოლოდ ძველი ქვეები, ძველი სახლები, ისტორიული ძეგლები თუ მახსენებდა იმ ცხოვრებას, რომლის შესახებ მამაჩემი ხშირად მიახმობდა. ქუჩების დასახელებაც ჩემთვის ყოველგვარ შინაარსს იყო მოკლებული: ლენინის, ძერჟინსკის, პლენანოვის, კლარა ცეტკინის... ყველგან დიდი პლაკატები იყო გაკრული, საიდანაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, მისი მიმზიდველი, ნაზი ღიმილით მაქეზებდა, რათა მედიდებინა ხან შრომა და ხან პარტია. აი, რაც



ქართველნი  
ჟიურნალისტთა

მახსოვდა!

და ახლა თითქოს ყველაფერზე ამოხეთქა. დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ ჩემში კი აღარ იყო, არამედ ყველგან ფეთქავდა. ნამდვილი საარჩევნო კამპანიის პლაკატებით იფარებოდა კედლები. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ქუჩებსა და მოედნებსაც ვცნობდი: თავისუფლების მოედანი, სოლოლაკის ქუჩა... ის, ქუჩა, სადაც ცხოვრობდა ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი უკვე მის სახელს ატარებდა გერმანელი კომუნისტის ნაცვლად. მორწმუნეთა უამრავი რიცხვი, რომლებსაც, როგორც იქნა, მიეცათ რწმენის თავისუფლება, ვეღარ ეტეოდნენ ახლადგახსნილ ტაძრებში. მცხეთის სასულიერო სემინარია საღვთისმეტყველო აკადემიად გადაქცეული თბილისის ცენტრში ფართო შენობაში გადასულიყო.

მაგრამ, რამაც ყველაზე მეტად გამაოცა, ვიმეორებ, ეს არის აზრის გამოთქმის თავისუფლება — კამათებს, რომელთაც დავესწარი, ყველანიარად მაგონებდა იმ მღვდლარე კამათებს, რომლებიც იმართებოდა ხოლმე ემიგრაციის კრებებზე ჩვენს ბავშვობაში. აღარ იყო ერთ მხარეს ქართველი ემიგრანტები და მათი ჩამომავლები და მეორე მხრივ ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა ქართველის სახე. ახლა უკვე ყველანი ერთნაირად ერთსულოვანი ვიყავით და ამ ერთსულოვნებამ დამიბრუნა ჩემი ხალხი, ჩემი ფესვები, ჩემი ქვეყანა.

მაგრამ, ეტყობა ეს მხოლოდ მოჩვენებითი სიზმარი იყო, რადგან კვლავ ტრადედია დაატყდა თავს საქართველოს. ყაჩაღების, ქურდების, რეციდივისტების ბანდამ, ისარგებლა რა სახელმწიფო ორგანოების სისუსტით, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა, გადმოაგდო ხალხის მიერ არჩეული ლეგალური მთავრობა და ჩამოიყვანა, რათა ებოძებინა მისთვის ხელისუფლება, ის კაცი, რომელიც მთელს მსოფლიოს წარმოუდგენია, როგორც ნაზი და კულტურული დიპლომატი, მაგრამ რომლის შესახებ ჩვენ ქართველებმა არ შეიძლება არ ვიცოდეთ, რომ იგი წარმოადგენს საშიშ კრიმინელს. მე, რა თქმა უნდა, ვეზები ცბიერ და ცინიკოს ელუარდ შევარდნაძეს.

როგორ შეიძლება მივანდოთ ახალი არჩევნების მოწყობა ასეთ ადამიანს, რომელმაც ეს არის შეურაცხყო თავისუფლად და დემოკრატიულად გამოთქმული ხალხის არჩევანი! რომ არაფერი ვთქვათ მისი ხანგრძლივი და მძიმე ჯალათის წარსულზე. ის ხომ პირადად პასუხისმგებელია ქართველების იმ ფიზიკური და, რაც კიდევ უფრო საშინელია, სულიერი და ინტელექტუალური ტანჯვისა, სულ ცოტა ორმა თაობამ რომ განიცადა.



\*\*\*\*\*



უნდა წავიდეს და თან გაჰყვეს ისტორიის ავ ქარს, თველ ხალხს დაუბრუნდეს მის მიერ თავისუფლად არჩეული მთავრობა. ქართველი ხალხი სრულწლოვანი და სრულიად პასუხისმგებელია. მან კარგად იცის რაც უნდა, და ყოველთვის დაამტკიცა კიდევ, როგორც კი მიეცა მაგის საშუალება.

როგორ შეიძლება ითქვას, რომ ორ ნაწილად არის გაყოფილი, როდესაც თავისუფალ არჩევნებზე გამოთქმული აზრი ამტკიცებს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის მასიურ მოთხოვნას? დაე, მიეცეს საშუალება ხალხს თვითონ უპატრონოს თავის ბედს და თვითონ შექმნას ის თავისუფალი, ლაღი, სტუმართმოყვარე და მდიდარი ქვეყანა, სადაც სურს მას ცხოვრება.

დღეს ჩვენი ხალხი უკიდურეს სასოწარკვეთილებაშია, ვინ ანუ გეშებს მას? მამა ილია მელიას ხმა სამუდამოდ ჩაჩუმდა. იგი ვედარ გაავრცელებს იმ სანუგეშო იდეალს, რომელმაც გააძლგინა ამდენი ტანჯვა საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ მორწმუნეთ. ჩვენი მშობლები და წინაპრები ამ ქვეყნად აღარ არიან, ობლად დავრჩით და, როგორც მეტისმეტად განებივრებული ბავშვები, აღარ ვიცით საით წავიდეთ და რა ვიფიქროთ.

ემიგრაციის ჩვენი თაობის ახალგაზრდებმა არ უნდა დაიხიონ მათი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის წინაშე და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენმა ასე მდიდარი წარსულის მქონე ეკლესიამ და სათვისტომომ გაავრცელოს მისი არსებობა. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის, ჩვენი ხალხისთვის, ჩვენი იქ მცხოვრებ ნათესავებისთვის, მეგობრებისთვის, და საფრანგეთის მართლმადიდებლობისათვის, რათა აქ ვმოწმობდეთ ქართველი ხალხის მტკიცე და მდიდარი სარწმუნოებისათვის; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა კი — ჩვენთვის, რომ გაავრცელოთ ჩვენი არსებობა. რომ შევძლოთ კიდევ ვილოცოთ ჩვენთვის და ჩვენიანებისთვის, მივიღოთ საღმრთო საიდუმლონი ისეთი წესებისა და ჩვეულებების მიხედვით, რომელშიც გავიზარდეთ, იქ, სადაც, „თაყვანს ვცემთ მამასა სულითა და ჰემმარიტებითა“, როგორც თვით უფალი ამბობს, როცა მიმართავს სამართელ დედაკაცს.

და რაც მთავარია, არ უნდა დავგავიწყდეს, რასაც მამა ილია დაუღალავად გვიმეორებდა: ეს პატარა სამლოცველო, რაც უნდა უმნიშვნელო ჩანდეს, და ეს ემიგრაცია, რაც უნდა მცირერიცხოვანი იყოს, „აწუხებთ“ ვისაც უნდათ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი



ხალხის ბედი გადაწყვეტიონ მათი პირადი ინტერესების და რომლებსაც უნდათ მისი ისტორიის მნიშვნელობის დამახინჯება.

ნუ შევეგუებით ჩვენ სიკვდილს! გამოვფხიზლდეთ! შევებრძოლოთ იმ სისუსტეს, რომელიც ჩვენ გვიპყრობს ნელნელა! შევერთდეთ! იესო ქრისტე, უფალი და ღმერთი ჩვენი მოგვიწოდებს, რათა გვიყვარდეს ერთმანეთი. თუ ისეთი სუსტები ვართ ჩვენი ცოდვების გამო, რომ ვერ ვაღწევთ ამას, მაშინ იმით დავიწყეთ მაინც, რომ ერთმანეთის პატივისცემა ვისწავლოთ. ვეცადოთ, დავინახოთ მოყვასში არა ვინმე ნაციონალისტი ანდა სოციალისტი, არამედ ჩვენი ნაირი ქართველი ემიგრანტის შვილი, რომელსაც ისევე როგორც ჩვენ სურს, რომ საქართველოში მათმა ნათესავებმა იცხოვრონ თავისუფლად და ბედნიერად.

ჩვენი თაობის ვალდებულებაა, გავერთიანდეთ იმ ადამიანების გარშემო, რომლებიც ავირჩიეთ ჩვენი სათვისტომოს გამგეობაში და მათ საქმიანობას მხარი დავეუჭიროთ, მითუმეტეს, როდესაც ისეთ პატიოსან და თავგადადებულ მანდილოსანზეა ლაპარაკი, როგორცაა ქალბატონი ლია გოგიტიძე. ჩვენ ყველანი უნდა ვუდგეთ მას გვერდში, რომ ჩვენმა სათვისტომომ შეძლოს მისი არსებობის გაგრძელება.

ამ მოწოდებით მოგმართავთ თქვენ სწორედ დღეს, როდესაც ვდღესასწაულობთ ქართული სახელმწიფოს არსებობის აღდგენას. დღეს, აგრეთვე, 61 წლისთავია იმ კვირა დღის, 1991 წლის 31 მაისის, როდესაც შესდგა პარიზში, ჩვენს ეკლესიაში, პირველი წირვა ქართულ ენაზე. აი, რა სიტყვებით მიმართავდა მაშინ მამა გრიგოლ ფერაძე თავის მრევლს, ჩვენს მამებს, დედებს, პაპებს და დიდედებს:

„მთელი მომავალი ჩვენი მრევლისა და ეკლესიის თითოეულის თქვენთაგანის ხელშია და ჩემი პირველი თხოვნაა თქვენდამი: დაგვეხმარეთ, რომ ჩვენ აქ უცხოეთში შევძლოთ ჩვენი საკუთარი სამლოცველოს, ჩვენი რელიგიური და კულტურული ცენტრის შექმნა.“

და ბოლოს აი როგორ ამთავრებდა მის ქადაგებას მამა გრიგოლი: „ჩვენ შეგვიძლია, თუ მოვკიდებთ ამას ხელს, თუ ყოველი ქართველი ემიგრაციაში თავის წვლილს არ დაზოგავს, თუ გვსურს არსებობა და ადამიანური არსებობა, თუ გვსურს ჩვენი ელფერის შენახვა უცხოეთში, თუ გვსურს საფრანგეთის ან სხვა რომელიმე ერში არ გავითქვიფოთ, თუ გვსურს, რომ ემიგრაციას რაიმე წარუვალაი სამსახურის გაწევა შეეძლოს ჩვენ სამშობლოსათვის და



ქართული ენციკლოპედია

მის აქ არსებობას რაიმე მიზანი დაესახოს – დაგვეხმარება. აქ ჩვენი სამლოცველოს შექმნაში. თუ ჩვენ საკუთარ თავს ვუშველით, ღმერთიც ჩვენ გვიშველის და დაგვეხმარება.

იესო ქრისტეს სახელით იქმნას ჩვენი დასაწყისი. მან უპატრონა ჩვენ ერს და დაიფარა იგი მრავალ განსაცდელიდან და ღღესაც მისი მაღლითა, წყალობითა და კაცთმოყვარებითა სუნთქავს ჩვენი ერი და ეკლესია და მის მაღლს, წყალობას და კაცთმოყვარებას, ბატონებო, უნდა შევავედროთ ჩვენი დაწყებული საქმე – კურთხევა უფლისა თქვენზედა მისითა მაღლითა და კაცთმოყვარობითა ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.“

დიაკონი არჩილ დავრიშაშვილი,  
ქადაგება. კვირა, 31 მაისი 1992 წ.

\*\*\* \*\*

“ვის უნდა ვუმადლოდეთ ბერლინის  
კედლის აღებას?”

საქართველოში მომხდარ სამხედრო გადატრიალებამდე ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე ქნი ელენე ბონერი წერდა, რომ ზვიად გამსახურდიას არსებობა კავკასიაში ნიშნავს იმას, რომ რუსეთი კარგავს კავკასიას, რომლის მნიშვნელობა რუსეთისთვის ერმოლოვს ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ესმოდაო. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ქნი ბონერის ამ მოსაზრებას, დაფუძნებ მხოლოდ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ აღებული კურსი: საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისა, არა მხოლოდ რუსეთის ინტერესებს უპირისპირდებოდა, იგი მრავალი ქვეყნის პოლიტიკური ინტერესის თანხვედრამაც განაპირობა. ამ მიზეზთა კვლევადიება დღეს ნაადრევად მეჩვენება. გავა დრო, ყოველივე გაიაზრება, შეჯამდება და ქართლის ცხოვრებაში მისი ისტორიის უმძიმესი ფურცელი ჩაიწერება.

დღეს კი მინდა შევეხო საკითხს, რომელიც ნაკლებადაა გაშუქებული დასავლეთის პრესაში. ეს გახლავთ საკითხი, თუ რამდენად შეესატყვისება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იმიჯი „ლიქტატორისა“ და „ქსენოფობის“ სინამდვილეს. რამ განაპირობა ამ იმიჯის შექმნა დასავლეთში და რა მოუტანა სადღეისოდ ქართველ ხალხს შეიარაღებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ.

1992 წ. იანვარში, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე პუტჩს

\*\*\*\*\*



თითქმის მთელი მსოფლიო ადევნებდა თვალს. მიუხედავად იმისა, რომ ყველასათვის ცხადი იყო: საქართველოში შეიარაღებული გადატრიალება მოხდა, დასავლეთმა მას თავისი სახელი არ უწოდა. პირიქით, იგი მიესალმა მას, როგორც საქართველოში დემოკრატიული ძალების გამარჯვების საწინდარს. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტის შენობა ჯერ კიდევ ცეცხლის ალში იყო გახვეული, როდესაც რუსეთის ტელევიზიით გადაიკა ინტერვიუ ე. შევარდნაძის, სადაც მან განაცხადა, რომ საქართველოში ხალხი იბრძვის დემოკრატიისათვის დიქტატურის წინააღმდეგ. ცხადი იყო, რომ შევარდნაძისეული ინტერპრეტაცია საქართველოში მომხდარი შეიარაღებული სამთავრობო გადატრიალებისა, იმ დღიდან ერთადერთი ოფიციალური ვერსია გახდებოდა დასავლეთისთვის.

რატომ დაიჯერა დასავლეთმა ასე ადვილად ეს საარაკო ტყუილი? იმიტომ, რომ იგი, დასავლეთი ამ მომენტისთვის ფსიქოლოგიურად მეტად ოსტატურად იყო შემზადებული. ამ მომენტს ხანგრძლივი კამპანია უძღოდა წინ ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი დასავლეთის პრესაში. საზოგადოდ, რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში, დასავლეთი ხშირად გამხდარა საბჭოთა პროპაგანდის მსხვერპლი. მოვიგონოთ თუნდაც რომენ როლანის მოგზაურობა საბჭოეთში, რომელსაც დიდმა ჰუმანისტმა მწერალმა აღფრთოვანებული შეფასება მისცა. 30-ანი წწ. რუსეთში მან სამწუხაროდ ვერც გულაგები შენიშნა და ვერც ადამიანთა მონური ყოფა. ან აინშტეინის ცნობილი წერილი მაქს ბორნისადმი, რომელშიც აინშტეინი ეკვს გამოთქვამს, რომ სტალინის მიერ რეპრესირებულნი, ალბათ, მართლაც ხალხის მტრები არიანო. ვინ იცის, ჯერ კიდევ 30-ან წლებში რომ თქმულიყო სრული სიმართლე საბჭოთა იმპერიაზე, კაცობრიობის ბედი სხვაგვარად წარმართულიყო! ისტორიის ამ მწარე გაკვეთილიდან გამომდინარე, დღეს ჩვენი ვალია არ ავყვეთ ცრუ ინფორმაციას, არ გავიმეოროთ საბედისწერო შეცდომები, და თავად განვსაჯოთ სად ავია და სად კარგი.

თუ მოვიგონებთ არც თუ შორეულ წარსულს, მოგვაგონდება რომ, რაც უფრო ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ლიტვასა და საქართველოში, მით უფრო მეტად უტევდა საბჭოთა პრესა ზვიად გამსახურდიასა და ვიტაუტას ლანდსბერგისს. არც არის გასაკვირი, ვინაიდან პერესტროიკით შობილ ათასი ჯურის პოლიტიკური მოღვაწიდან განსხვავებით, მხოლოდ ეს ორი



პიროვნება იყო ჭეშმარიტი ანტიკომუნისტი და საბჭოთა დიქტატორის დაუძინებელი მტერი. ბუნებრივია, რომ საბჭოთა აგიტაციის მძლავრი მანქანა, უპირველეს ყოვლისა, მათ წინააღმდეგ ამუშავდა. რა არ დაიწერა, რა არ ითქვა, რა არ გაკეთდა!

მიდიოდა დრო. დასავლეთის აქტიურმა ჩარევამ პერესტროიკის სცენარში ზოგიერთი კორექტივი შეიტანა – ნათელი გახდა, რომ ბალტიის ქვეყნებს რეალური სუვერენიტეტი ეპყრათ ხელთ, საქართველო კი, ორი საუკუნის მანძილზე მებრძოლი თავისი დამოუკიდებლობისათვის, მარტო აღმოჩნდა მტრის პირისპირა, ხოლო მისი პრეზიდენტი ახლა უკვე საქვეყნოდ „დიქტატორად“ და „ნაციონალისტად“ მოინათლა.

ფეიქრობ, რომ ზ. გამსახურდიას უარყოფითი იმიჯის შექმნის წარმატება დასავლეთში, ძირითადად, ორმა ფაქტორმა განაპირობა – ე. წ. „ეთნოკონფლიქტების“ არსებობამ საქართველოში და ქართული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის გააფთრებულმა ბრძოლამ ზ. გამსახურდიას წინააღმდეგ. ამ ბრძოლას „ინტელიგენციის ამბოხად“ წოდებულს, მომავალში ალბათ ბევრი გამოკვლევა მიეძღვნება. ეს საკითხი არ არის მხოლოდ პოლიტიკური, იგი უფრო ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება და სერიოზულ ანალიზს მოითხოვს. ახლა შევნიშნავ მხოლოდ, რომ მათ, ვინც ვერ გაარჩია თეთრი შავისგან, ერთმა ცნობილმა დისიდენტმა „ჰომოსოვიეტიკუსები“ უწოდა. ინტელიგენტი, ამ ცნების კლასიკური გაგებით, დიდი იშვიათობაა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. ინტელიგენტი, უპირველეს ყოვლისა, უკომპრომისო პიროვნებაა, ხოლო ფაშისტური, კომუნისტური რეჟიმი კი თრგუნავს პიროვნებას, სპობს მას. ეს პროცესი შესანიშნავად აისახა ბევრი დიდი ხელოვანის შემოქმედებაში – პასტერნაკის, კლაუს მანის, ბერტოლუჩის და სხვათა და სხვათა. ასე რომ, ქართული ფსევდო-ინტელიგენცია არ არის გამონაკლისი და ამდენად კანონზომიერია, რომ სწორედ იგი გახდა საუკეთესო იარაღი რეაქციული ძალების ხელში და სწორედ მის ზურგს ამოეფარა პარტოკრატია. ყოველივე კი ლოლიკური შედეგია კომუნისტური რეჟიმის სამოცდაათწლიანი ბატონობის.

რაც შეეხება „ეთნოკონფლიქტებს“, მისი ჭეშმარიტი არსი დღეს დასავლეთში ყველასათვის ნათელია. პარიზში გამოცემულ „რუსკაია მისლის“ №3941-ში ვკითხულობთ: „რუსეთის პროკურატურის მიერ კიშინიოვში გაგზავნილი „გკპჩ“-ის მასალებიდან ირკვევა, რომ



„პატარა რესპუბლიკების“ შექმნას საქართველოში (სამხრეთ-აღმოსავლეთი, აფხაზეთი), ესტონეთში (ნარვა), ლიტვაში (შაულიაჩინსკის ოლქი), მოლდავეთში (დნესტრისპირეთი, გაგაუზეთი) კრემლიდან უშუალოდ ლუკიანოვი ხელმძღვანელობდა“. ალბათ ლუკიანოვი არ იყო ამ სისხლიანი აქციების ერთადერთი სულისჩამდგმელი. ახლო მომავალში სხვა უფრო შთამბეჭდავ სახელებსაც შევიტყობთ, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ლუკიანოვის „მარჯვენა ხელი“ სამაჩაბლოში ტორეზ კულუმბეგოვი იყო. ნიშანდობლივია, რომ შინდა ქართლში სისხლისღვრის ინიციატორს კულუმბეგოვს იგივე „ინტელიგენცია“ პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა.

დასავლეთისთვის თანდათან ნათელი ხდება, რომ „ეთნოკონფლიქტები“ საქართველოში არამც და არამც არ იყო საქართველოს პრეზიდენტის „დიქტატორული“ და „შოვინისტური“ პოლიტიკის შედეგი. მეტიც, სამ სექტემბერს, ლონდონში ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ ზვიად გამსახურდიამ, რომელსაც მისი ოპონენტები „ცუდ პოლიტიკოსად“ მოიხსენიებენ, შესძლო აფხაზეთში მშვიდობის დამყარება. (დღევანდელი ომის პირობებში ეს ფაქტი კიდევ უფრო მეტად წარმოჩინდა). რა შეიძლება იყოს უფრო აფსურდული, ვიდრე ბრალდება, რომ ზ. გამსახურდიამ საქართველო პოლიტიკურ იზოლაციაში მოახვედრა. ნუ დაგვავიწყდება, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჯერ კიდევ არსებობდა საბჭოთა კავშირი, არსებობდა ახალი იმპერიის შექმნის იდეით შეპყრობილი გორბაჩოვი, „ახალი პოლიტიკური აზროვნების“ ტრუბადური ე. შვეარდნაძე და რაც მთავარია, მსოფლიოში გაბატონებული აზრი, რომელიც იმპერიის სრულ დაშლას გამორიცხავდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ლიტვის იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ქანი კაზიმირა პრუნსკინე ცივი უარით გამოისტუმრა უკლებლივ ყველა „მეზობელმა“ ქვეყანამ. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთის ახლანდელ პრეზიდენტს სეპარატისტსა და პოლიტიკურ ავანტიურისტს უწოდებდნენ, ხოლო სულ ერთი წლის წინაც კი, დიდი რუსეთის წარმომადგენელს, ელცინს, საფრანგეთის მთავრობამ ვერსალის კარი არ გაუღო. ამგვარი იყო მაშინდელი პოლიტიკური ატმოსფერო. შესძლებდა კი ასეთ ვითარებაში საქართველოს პრეზიდენტი ვეროიხისა და ამერიკის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას? რა თქმა უნდა, ვერა.

მაშ, რაში გამოიხატა საქართველოს პოლიტიკური იზოლაცია?





\*\*\*\*\*

იქნებ იმაში, რომ პრეზიდენტმა და პარლამენტმა უახლოეს წლებში ხადეს „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“ კავშირში შესვლაზე და მით საქართველოს ახალი მონობის ყულფში არ გააყოფინეს თავი?

არანაკლებ აბსურდულად მეჩვენება ბრალდება, რომ ზ. გამსახურდიამ საქართველოში პრივატიზაცია არ ჩაატარაო. განა ვინ ჩაატარა? რუსეთი, რომლის ეკონომიკური და პოლიტიკური საშუალებები გიგანტურია საქართველოსთან შედარებით, მხოლოდ ახლა იწყებს პრივატიზაციას, ისიც მეტად ნელი ტემპით. ან ვის ჩაუტარებია ძირეული ეკონომიკური გარდაქმნები საკუთარი ფულადი ერთეულის გარეშე, სხვის ეკონომიკაზე მიჯაჭვულს? მიუხედავად უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზისა, რომელიც საქართ. ძირეულ ეკონომიკურ რეფორმას ელობებოდა წინ, პარლამენტის შესაბამის კომისიებში მიწის პრივატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რამოდენიმე პროექტი იყო მომზადებული. სამწუხაროდ, მათი განხორციელება დღეს უკვე კარგა ხნის ვადით გადაიდო.

იქნებ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვინმემ იფიქროს, რომ მე იდილიურ სურათს ვხატავ სრული სიმშვიდისა და წესრიგის, რომელიც პუტჩამდის სუფევდა? რა თქმა უნდა, არა. საქართველო შორს იყო იდეალურისგან, მაგრამ იყო იმედი, იყო რეალური პერსპექტივა. ყველა ის სირთულე, რის წინაშე აღმოჩნდა ახლადარჩეული მთავრობა და პარლამენტი, ეს ის სირთულე იყო, რომელიც ყველა პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაშია და რომელთა დაძლევა მშვიდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში უთუოდ შესაძლებელი იყო. დღეს კი ... რა შედეგი მოჰყვა „დემოკრატიისათვის“ ბრძოლას საქართველოში? – ათასობით მსხვერპლი, ძალადობა, მოსახლეობის დარბევა მთელს საქართველოს ტერიტორიაზე, განადგურებული ეკონომიკა, პოლიტიკურად უმართავი სიტუაცია, ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილის სრული სულიერი დეგრადაცია, მორფინიზმი, მკვლელობები, ძარცვა და, რაც მთავარია, საქართველოს ერთიანობის დარღვევის რეალური საშიშროება.

რა მოვიგეთ? – საქართველოს ცნობა ევროპის ქვეყნების მიერო, გვიპასუხებენ. არის კი ისეთი რესპუბლიკა ყოფილი სსრკ-ის რომელიც არ ცნეს? ნუთუ ნათელი არ არის, რომ საქართველოს ცნობა-არცნობის საკითხი იაფფასიანი ფარსივით იყო გათამაშებული? საკითხავია, რატომ მიიღო დასავლეთმა ასეთი აქტიური მონაწილე-



ობა ამ ბინძურ პოლიტიკურ თამაშში? რატომ ჩასთვალა მან საძლებლად, რომ იცნოს სახელმწიფო, რომელსაც არა ჰყავს კანონიერი მთავრობა და რომელიც აპირებს თავის „დაკანონებას“ რუსეთის ჯარის გაძლიერებული კონტიგენტის დახმარებით? გავრცელებული აზრია – დასავლეთი ვალს უხდის შევარდნაძეს ბერლინის კედლის აღებისთვისო. მინდა შევახსენო მათ, ძლიერთა ამა ქვეყნისა, რომ როდესაც ბატონები სოლჟენიცინი, სახაროვი, გრიგორენკო, გამსახურდია, კოსტავა და სხვა დიდი ადამიანები, მრავალტანჯულნი და წამებულნი, ათეული წლების მანძილზე იბრძოდნენ იმ ნათელი დღისთვის, როცა აღარ იქნებოდა აღარც ომი ავღანეთში და არც ბერლინის კედელი, მაშინ ე. შევარდნაძე და ძმანნი მისნი ღღენიადაგ ამტკიცებდნენ და აღულაბებდნენ ბერლინისა და კიდევ სხვა კედლებს.

როდისღა მიუზღავს ისტორია კეისარს კეისრისას?!

მ ე დ ე ა თ უ შ მ ა ლ ი შ ვ ი ლ ი,  
საქართ. რესპუბლიკის დეპუტატი.  
პარიზი, 10 სექტემბერი 1992.

\*\*\*

ძ ვ ი რ ფ ა ს ო პ ე ტ რ ე !

[ზ-ნ ოთარ ამილახვარს ვთხოვეთ, მისი აზრი გამოეთქვა საქართველოში მიმდინარე ამბებზე. მან გამოგვიგზავნა წერილი, რომელიც მას მიუწერია ჩვენს საერთო მეგობრისთვის პეტრე ხვედელიძისთვის. ჩვენ ფრანგულიდან ვთარგმნეთ ამ წერილის სწორედ ის ნაწილი, რომელიც ერთგულად გადმოცემს ავტორის აზრს.

ჩვენ ეს მიგვაჩნია, მისი მდგომარეობის კაცისთვის, დიდ გულუბრყვილობად საერთაშორისო პოლიტიკაში. ვიცით მხოლოდ, რომ ბ-ნი ოთარი პატიოსანი და გულწრფელია. ამ „აზრის“ სხვაც ბევრია დასავლეთის მაღალ წრეებში. მისი ცოდნა არ არის ინტერესს მოკლებული და ამიტომ ვაქვეყნებთ. რედ.]

„გულწრფელად თქვენი „სოვიეტ ანალისტ“ სერიოზული არ არის! ის აგრძელებს იმ რეალობის ანალიზს, რომელიც უკვე აღარ არსებობს. იმისთვის, რომ ის გაიყიდოს, მან უნდა ამტკიცოს, რომ ის კვლავ არსებობს.

იდეები, რომელთა წინააღმდეგ მე ხმას ვიმალეებ და რომლებიც,



\*\*\*\*\*

სამწუხაროდ, ქართ. საზოგადოების დიდი უმრავლესობის წარმოდგენს, არა მხოლოდ ყალბია, არამედ მას პირდაპირ მიეყვართ დეფექტიზმში.

თუ არაფერი არ გამოცვლილა არც კომუნისტურ საშიშროებაში და მისი განხორციელების საშუალებებში (რაც ძნელი გადასაყლაპავია!) და არც რუსი ხალხის მუდმივ დაუოკებელ მსოფლიო დომინაციის წყურვილში, და იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთში არავინ არაა განწყობილი ირწმუნოს ეს ჭორები და თავში ჩაუდგეს ჯვაროსნულ ომს საქართველოს გადასარჩენად, მაშინ საქართველოს არავითარი შანსი არ გააჩნია.

რეალობა სულ სხვაა. საქართ. დამოუკიდებლობა, რომელიც, როგორც იცით, იცნო ევროპამ, არის მონაცემი ახალი მსოფლიოსი. ის არაა შედეგი დასავლეთის კეთილი განწყობილების, არც ჯილდო მისი ჰეროიკული წინააღმდეგობისა, რაც ვერასოდეს ვერ გაანთავისუფლებდა მას.

იმპერიის დამხობამ იმის შედეგად, რასაც ჯიმ ჰოვლანდმა სამართლიანად უწოდა „იმპერიის დაღლა“, გამოიწვია ეს შედეგი, რითაც საქართველოც სარგებლობს ისევე, როგორც ყველა სხვა. აღსანიშნავია თუმცა, რომ საქართველო უკანასკნელი იყო იმ რესპუბლიკებიდან, რომლებიც ყოფილ სსრკ-ში შედიოდნენ და რომლის დამოუკიდებლობაც ცნობილი იქნა. ამას დასჭირდა, რომ არჩეული პრეზიდენტი თავიდან მოეშორებიათ. ესაა არა დამაკმაყოფილებელი რეალობა ჩვენი თავმოყვარეობისათვის.

მე ერთი წუთითაც არ ვფიქრობ „დეზინფორმაციაზე“ ან „მანიპულირებაზე“, რამაც დასავლეთი თითქოს შეცდომაში შეიყვანა ბ-ნ გამსახურდიას რეჟიმის არსზე.

ფანტასტიურია აგრეთვე იფიქრო, რომ ეს რეჟიმი დამხობილი იქნა ბ-ნ ელცინის შეთქმულებით, რომ თითქოს მას „სხვა კატეზი არ ჰყოლოდეს გასაწყებლი“, თითქოს რუსეთს ესაჭიროებოდეს საქართველო!

ღვთის გულისათვის, შევწყვიტოთ თავი წარმოვიდგინოთ ასე მნიშვნელოვნად!

მე თქვენ დაგპირდით აგრეთვე გითხრათ ჩემი შეხედულება ბ-ნ გამსახურდიაზე და აი, ვასრულებ:

ზოგადად მე არ შემეძლია ვიფიქრო, რომ ყველა ქურნალისტი, დიპლომატი და სხვა სახელმწიფო მოღვაწე დასავლეთის შეცდა ამ

\*\*\*\*\*



პირობნების შესახებ და რომელიც ძალიან გაკრიტიკებულ აგრეთვე, როგორც შენც იცი, ქართული ინტელიგენციის ერთი დიდი ნაწილის მიერ.

მე თანახმა ვარ, რომ ის იყოს ღირებულების მქონე პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატორი, ლინგვისტი და ა. შ. ის დემოკრატიულად იქნა არჩეული გამსრესი უმრავლესობით და 87% გააკრიტიკალიზა ქართველი ხალხის იმედების. საუბედუროდ, დღეს აშკარაა, რომ პოლიტიკა მისი საქმე არ არის. მან მხოლოდ შეცდომები გააკეთა. ყველა ან თითქმის ყველა მისი საჯარო განცხადება იყო მარცხიანი. მისი თანამშრომლები, მისი ყველაზე მახლობლები იძულებულნი იყვნენ ეღიარებიათ, რომ:

არ ჰქონდა რა სახელმწიფო მეთაურის ქსოვილი, მას საქართველო მიჰყავდა იზოლაციისა და დაპირისპირების გზით დაღუპვისაკენ.

მისი მოშორების პირობები არ არიან სანაქებონი, არავისთვის და პირადად არც მისთვის. ის, რაც მან გააკეთა მას შემდეგ, რაც დასტოვა ეროვნული ტერიტორია, არ მეტყველებს მის სასარგებლოდ. იმის მაგივრად რომ მოუწოდოს სამოქალაქო ომისაკენ, მას უნდა ეღიარებინა მისი დამარცხება, როგორც შედეგი მისი არა კომპეტენტურობისა და არა რაღაც შეთქმულებისა, და ხელი აეღო უნდა პოლიტიკაზე, რომლისთვისაც ის ნამდვილად არ არის მოწოდებული.

ოთარ ამილახვარი  
პარიზი, 3.IV. 92.

\*\*\*

\*\*\*

თ ბ ი ლ ი ს ი ს ტ რ ა გ ე დ ი ი ს  
ზ ო გ ი ე რ თ ი ს ა კ ი თ ხ ი ს ა თ ვ ი ს

უპირველესად ყოვლისა, ნება მომეცით, თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვთქვა ჩემი განუზომელი წუხილი იმ შეუღარებელი ტრაგედიის გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ერს. მან უდროოდ სიცოცხლეს გამოასალმა ასობით ქართველი; ფეხქვეშ გათელა, ლაფი შეასხა, სამუდამოდ შეარცხვინა ჩვენი ზნეობა, ჩვენი მეობა.

მოსკოვის პრესამ საქართველოს ოპოზიცია გულში ჩაიკრა, მოწამლა ის და ბოლოს მთლიანად გააშმაგა. ამაში მას ხელი შეუწყო ქართულმა მაქსიმალისტობამ და ფიცხმა ხასიათმა – ეს ყველაფერი გაანგარიშებული იყო. მოსკოვის პრესა, რომელიც წინათ მთლიან-

\*\*\*\*\*



ად დაკავებული იყო კაბიტალიზმის კრიტიკით, იმის მოხდა თბილისში, შუა აზიის რესპუბლიკებში, ბალტიისპირეთში, ყარაბაღში, მოლდავეთში – ბევრად იყო განპირობებული პრესით, რომელიც ცბიერად, გადაკრულობით, ქარაგმულობით და ხანდახან პირდაპირაც კი მიუთითებდა ავი საქმიანობისაკენ, ერების დაჯახებისაკენ და ა. შ.

მოსკოვის პრესამ ვერ გვაპატია ის, რომ სწორედ საქართველოში მოხდა სსრკ-ში პირველი არჩევნები მრავალპარტიულობის საფუძველზე, პირველად ჩატარდა რეფერენდუმი, პირველად გამოცხადდა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, პირველად იქნა არჩეული საკუთარი პრეზიდენტი ზომავადასული ალტერნატიულობით, პირველად გავიდა საქართველო საერთაშორისო ღონეზე თხოვნით, ეცნოთ მისი დამოუკიდებლობა. ასეთი პირველობა ჩვენმა ერმა მოიპოვა მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო ძირითადში მონოლითური, მიუხედავად, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალი შეცდომისა.

აი, ეს პირველობა ჩვენ არ გვაპატიეს, აი, ამ პირველობისათვის ჩვენ დაგვსაჯეს და თანაც – სასტიკად, ჩვენივე ხელებით. მოსკოვის პრესას ბ-ნი ზვიად გამსახურდია ყელში ძვალავით ჰქონდა გაჩხერილი, შექმნა მასზე მითითური სახე დიქტატორისა და ტირანისა, რათა შემდეგ მოხერხებულად ებრძოლა მის წინააღმდეგ, ჩვენი ხალხის წინააღმდეგ.

ამ პრესამ გააგულიანა, გააბრაზა და გული აუჩუყა ქათინაურებით ჩვენს, დასაწყისისათვის, მე ვიტყვოდი, ნორმალურ ოპოზიციას, შეიტანა განხეთქილება ჩვენს ეროვნულ მოძრაობაში და იმდენად გაათახსირა ის იდეურად, რომ საკუთარი პირველი პრეზიდენტი სამარცხვინოდ განდევნეს, შემდეგ კი დაიწყეს არანაკლებ სამარცხვინოდ და ბრიყული ძიება მადიისა სამშობლოს გარეთ – ესპანეთში, იტალიაში, ლენინგრადში... ჩემი ეს სიტყვები არ არის მიმართული ბაგრატიონთა გვარის თანამედროვე წარმომადგენლების წინააღმდეგ, პირიქით, – მე მათ მიმართ უღრმეს მადლობას გამოვთქვამ და ვისურვებდი, რომ ყველა მათგანს თავი მოეყარათ საქართველოში.

ცნობილია, რომ სსრკ-ის ყურნალისტიკის ისტორიაში დასავლეთის არცერთი პოლიტიკური მოღვაწე არ ყოფილა ისეთი ენერგიული კრიტიკის საგანი, როგორც ბ-ნი ზ. გამსახურდია გახდა მოსკოვის პრესაში და იქედან გადაწერიტ კი – საზღვარგარეთაც. მე მას, წარმოდგინეთ, არც ვიცნობ. უფრო მეტად ვიცნობ ე. შევარდნაძეს, – მას ყველა ჩემს წიგნს ვუგზავნიდი მისი ხელმძღვანელობის დროს საქა-





რთველოს კომპარტიის ცკ-ში. მან ერთხელ თბილისის უნივერსიტეტის რექტორობაც შემომთავაზა, უფრო მეტიც, – ცკ-ის მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების გამგედაც მიმიწვია 1978-79 წლებში. მაგრამ მე ვერა და ვერ გავიზიარებ პრესის მიერ აბსტრაქტული მეთოდით შექმნილ საქართველოს პრეზიდენტის ესოდენ უარყოფით მითიურ სახეს.

მოსკოვის პრესა ბევრს წერს ბ-ნ გამსახურდიაზე და მასთან დაკავშირებით საქართველოზე, მაგრამ, როგორც წესი, რესპუბლიკის რთულ მოვლენებს განიხილავენ ზერეულად, ფაქტობრივი მასალის გარეშე, მცდარი განზოგადებებით, მეთოდური ცუდლუბობით, ყურნალისტისათვის შეუფერებელი არაკორექტულობით და საერთოდ დაბალი პროფესიონალიზმით. სამაგიეროდ, ამ ხარვეზს ისინი პასკვილებში ავსებენ სხვადასხვა ლინგვისტური კეკლუცობით, სიტყვიერი ეკვილიბრისტიკით, პიროვნებებზე და მთელს ჩვენს ხალხზე უშვერი იარლიყების მიკერებით, ჩვენ ვერ ვიტყვით სამძიმარს ასობით დაღუპული ადამიანის გამო, პირიქით, ამ მძიმე დღეებში ჩვენზე წერენ შეურაცხმყოფელ წერილებს, ირონიითა და ღვარძლით სავსეთ, ტელე-ხედვაზედ მიწვევით ცალმხრივი და არაობიექტურია. ეს არის გულქვაობა და სისასტიკე!

ძირითადი ორიენტირი ამ სტატიებისა არის ბ-ნი ზ. გამსახურდია და ქართველი ხალხი. აკრიტიკებენ რა პირველს ყველა პარამეტრში, მას განსაკუთრებით სდებენ ბრალს ნაციონალისტობაში, რომელიც ესაზღვრება ფაშიზმს, რის შედეგადაც განაზოგადებენ მთლიანად ქართველ ხალხს, უწოდებენ მას შოვინისტურს, თავისი ბუნებით ანუ „მენტალიტეტით“, გვიმტკიცებენ, თითქოს საქართველოში „ნაციონალისტური ვენებების დეღვა“ იყოს, რომლის გამო თითქოს ადგილი ჰქონდეს „სახალხო დაბრმავებულობას“, ნაციონალურ განსაკუთრებულობას და თანაც „მასობრივი ცნობიერების“ დაბალ დონეს, ეს „ისტერიული ბრბო“ მათ აგონებს კინოფილმს „ჩვეულებრივი ფაშიზმის“ კადრებს, იმდენად რამდენადაც საქართველო მთლიანად „მიუახლოვდა ფაშიზმს“ როგორც იდეოლოგიურად, ასევე ფიზიკურად და, თურმე ნუ იტყვით, ქართველები ისე ყოფილან დაავადებული ამ შოვინიზმით, რომ თუ ზ. გამსახურდია არა – მის ადგილზე სხვა უნდა გამოეგონებიათო, რამდენადაც „ირაციონალური პოლიტიკა შეიძლება და აღქმული ყოფილიყო მხოლოდ საზოგადოების მიერ“.

ამრიგად, ამ გაუკუღმართებული კონცეპციით საქართველოში ერთის

\*\*\*\*\*



მხრით არსებობს შოვინისტურად განწყობილი ქართველი ხალხი და მისი „უდიდესი ოცნების“ გამომხატველი ზ. გამსახურდია, მეორეს მხრივ კი – ინტელიგენცია, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ამ თავისი ხალხის შოვინიზმთან, პირიქით ის „ისტორიული ტრადიციულობით და თავისი მენტალიტეტობით კოსმოპოლიტურია“, რომელსაც მიეკუთვნება „მთავარი როლი სახელმწიფო გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში“.

ამ გამონათქვამებმა არ შეიძლება, არ აღგვაშფოთოს, რამდენადაც ავტორებს სურთ ზღვარი გაავლონ, ერთმანეთს დაუპირისპირონ ერის შიგნით მისივე ძალები – „გაუნათლებელი შოვინისტური ხალხი და მისი პრეზიდენტი“ ერთის მხრივ და „შეგნებული ინტელიგენცია“ მეორეს მხრივ. სწორეთ ამავე პრინციპით თვით ხალხშივე მისი მოწინააღმდეგის ძიებით გათულმა პრესამ დროშის ტარზე წამოაგო ჩვენი მშვენიერი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის ცნობილი ფრაზა „თუ ხალხმა აირჩია ზ. გამსახურდია მე წავალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ“, რის გამოც მას ხშირად ახსენებენ, თუმცა 99% ამის მთქმელს არაფერი გაეგება სხვა მის ფილოსოფიაში – ეს მე ვიცი.

გამოვიღვარ რა სხვადასხვა ქვეყნების ხალხების ნაცნობობის ჩემი მდიდარი გამოცდილებიდან, კატეგორიულად უარვყოფ ივანოვ-სმოლოენსკის მცდარ, მართლაც რომ შოვინისტურ პოზიციას, რომ თითქოს ქართველი ხალხი იყოს ნაციონალისტური განსაკუთრებულობის იდეით შეპყრობილი. უფრო მეტიც, მე პირადად არ ვიცი ისტორიაში არცერთი ხალხი, რომელსაც შეიძლება ვუწოდო შოვინისტი. ასეთი განზოგადება მცდარი და მავნეა. თუ ჩვენ კერძოდ ვიტყვით თუ რა არის ქართველის ბუნება და მისი „მენტალიტეტი“, ამ მხრივ მას დასაძრახი თუ საქები არაფერი აქვს. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ბევრ განვითარებულ ქვეყნებს და, საერთოდ, მსოფლიოს სამწუხაროთ, ისტორიულად ღრღნის ანტისემიტიზმის პრობლემა. ეს ავტორებს „ავიწყდებათ“. საქართველოში ებრაელები ჩვენ წელთაღრიცხვამდე V საუკუნიდან ცხოვრობენ და დღემდე (და იმედი მაქვს მომავალშიც, თუ არ დაგვაჯახებენ) ანტისემიტიზმი რა არის არ ვიცი. მე ამაში ვხედავ ქართველის მიერ სხვა ერების შემგუებლობის თანდაყოლილი ბუნების გამოვლინებას და ჩვენ ამაში სასიქადულოს არაფერს ვხედავთ, – ეს ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობაა. მოსკოვის პრესაში ამის გაგონება არ სურთ.

\*\*\*\*\*

მეორე მაგალითი: იმპერიის ინტენსიური ნგრევის შეჩერების უსუსურ მეთოდად მიიჩნევენ რესპუბლიკებში ინტერფონტის შექმნას და მის დაპირისპირებას ძირითად ეთნოსთან. საქართველოში, მაღლობა ღმერთს, ინტერფონტი არ შესდგა, რაც ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნულ სიჯანსაღეს ნიშნავს. ჩვენი ხალხის ვითომცდა ნაციონალისტური ისტერიის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მიაჩნიათ მანიფესტანტების შეძახილები „ზვიადი“. ვინც ასე ფიქრობს, ის გრძნობათა ორგანოების მონაცემებს იქით ვერაფერს ხედავს. მაშინ რატომ არის, რომ ბრესტიდან კამჩატკამდე უფრო ომახიანად გაჰყვირიან „ელცინ“ – ესეც იქაური ბრბოს ნაციონალიზმად მიაჩნიათ? ნუთუ სერიოზულ ადამიანს შეუძლია ამ ფაქტით ნაციონალიზმი დასწამოს ერს? მათ ავიწყდებათ ან არ იციან, რომ შეძახილები „ზვიადი“, „ელცინი“ არის პირველ რიგში სახელმწიფო ხელისუფლების ორატორულად შეკუმშული სამიტინგო სიმბოლიკა და არა ნაციონალისტური „სუპერერისა“ და „ზეადამიანის“ სათაყვანო კერა, ასევე, ცენტრალურ პრესაში ქართველებს თითქმის ყოველთვის ნაციონალისტებად ნათლავენ თუ ისინი ამტკიცებენ, შიდა ქართლი ისტორიულად საქართველოს ნაწილიაო, და ეს მაშინ, როცა მოედებზე და ქუჩებში მიტინგებზე გაისმის ომახიანი შეძახილები „კუთრილი ნაში“!

ეს სამართლიანია?

ზოგიერთები დიდი პათოსით მიუთითებენ ზ. გამსახურდიას ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რის გამოც თითქოს საქართველო გაპარტახდა და განიცადა „დეგრადაცია ცხოვრების ყველა სფეროში“. ამის მიზეზი, მათი აზრით, არის პრივატიზაციის, მიწის რეფორმის შენელებული განვითარება. ვინც ასე წერს, ის თავს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს რუსეთის ფედერაციაში ამ მიმართებით ყველაფერი რიგზე იყოს. პირიქით, მე ვიტყვი, რომ ამ მიმართებით რუსეთში საქართველოზე უფრო სავალალო მდგომარეობაა. რუსეთის რესპუბლიკის ფართო საზოგადოება ვერ ითვისებს კერძომესაკუთრულ ტენდენციებს. ამაში ძნელია ბრალი დავლოთ პირადად რომელიმე პრეზიდენტს. ის, რასაც ავტორები საქართველოს უკიყინებენ, არ არის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანი.

თანამედროვე ეკონომიკური დაკნინება არის საკავშირო სახელმწიფოს ტოტალური ნგრევისა და მასთან ერთად სამეურნეო და სხვა მრავალი კავშირების გაწყვეტის შედეგი. ვიდრე ძველი სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ნაცვლად არ აღმოცენდება ახალი, უფრო

პროგრესული, კვლავაც ადგილი ექნება სტაგნაციას ყველაფერში. შორის საქართველოშიც. მაგრამ გასული წლის დეკემბრამდე მონაცემების შედარებით, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე, ვთქვათ, თვით მოსკოვში. ბუნებით ქართველი ყოველთვის იყო და ახლაც არის კერძომესაკუთრული, ვიდრე რუსი ადამიანი. აბა გავიხსენოთ, თავის დროზე კომპარტიის საკავშირო ყრილობებზე, პლენუმებზე და ა. შ. საქართველო ყოველთვის იყო კრიტიკის განსაკუთრებული ობიექტი სწორეთ სოციალისტურიდან კერძომესაკუთრული გადახვევების და სოციალისტურ სექტორში კერძოს დანერგვის გამო. ამის მაგალითები ბევრია. მაგ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მისმა ნიჭიერმა დირექტორმა ხარებაძემ დიდი წარმატებით დანერგა ჯერ კიდევ 70-იან წლებში წარმოების ის მეთოდი, რომლისთვისაც მოსკოვში ახლა იბრძვიან, ამოო ბრძანებებისა და კანონების გამოცემით. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ საქართველოში არსებობდა იატაკქვეშეთის ქარხნები და საწარმოები, ხოლო წვრილი დამხმარე საწარმოები საყოფაცხოვრებო დარგში ჩვენთან ყოველთვის იყო, თუმცა მათ წინააღმდეგ, რაც ახლა დიდ მიღწევად ითვლება, საქართველოს კომპარტია საკავშირო კომპარტიის მითითებით ყოველთვის იბრძოდა. მაგ. ბ-ნმა ე. შევარდნაძემ დიდი პარტიული წონა შეიძინა საკ ცკ-ს დადგენილებების განსახორციელებლად თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, სადაც იყო პუნქტი იმ კერძომესაკუთრული გადახვევების წინააღმდეგ, რაც ახლა დიდ მიღწევად ითვლება. ასე, რომ საჭიროა მხოლოდ ლეგალიზებული იქნას ის, რაც უკვე დიდხანია დანერგილია აქ, ე. ი. დე-ფაქტო უნდა იქცეს დე-იურედ.

ვიციტ მაგალითი: ყველამ იცის, საქართველოში კოლმეურნეობა ფაქტიურად დიდი ხანია აღარ არსებობს. სოფლებში მიწები დარიგებული აქვთ ხალხს და ამუშავებენ ისე, როგორც მათ საკუთრებას. რუსეთში ეს პროცესი ახლა იწყება, ჩვენში კი ის აქტიურად დაიწყო 1970 წლიდან. სწორედ ამიტომ ელცინთან შედარებით გამსახურდიას შეეძლო არ ეჩქარა ამ მიმართულებით.

დასკვნა: გამსახურდიასთვის ბრალდების წაყენება, თითქოს სხვა რესპუბლიკებთან შედარებით ჩვენთან ეკონომიკური რეფორმები ხელოვნურად ფერხდებოდა — არ არის სწორი. თუმცა ვერც გამსახურდიას მივაწერთ იმას, რომ საქართველოში წარმოების ყველა სფეროში კე-



გეორგიული

\*\*\*\*\*

რძო სფერო უფრო მეტად არის შერწყმული ტრადიციულთან, სხვაგან. საქართველოს პრეზიდენტს ბრალს სდებენ ასევე იმაში, რომ ყოველივე ამის გამო „რესპუბლიკის საქმოსანი ადამიანები თავიანთ ენერჯიას და კაპიტალს აბანდებენ საქართველოს გარეთ“. რა არის იმაში ცუდი, თუ ეს თავისუფალ საზოგადოებაში ხდება? რა არის ცუდი იმაში, თუ ჩვენი კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები დოლარებს იღებენ საზღვარგარეთ?

თავდავიწყებით წერენ საქართველოში დიქტატურისა და ტირანიის არსებობის შესახებ, ავიწყლებათ რა ენციკლოპედიური განმარტება თუ რას ნიშნავს ტირანია. ეს არის ყოველნაირად შეუზღუდველი პოლიტიკური სისტემის ბატონობა, რომელიც დამყარებულია ერთი ადამიანის ხელისუფლების სამხედრო-პოლიციურ ძალაზე. როგორ განვსაზღვროთ ამ მხრით ზ. გამსახურდია? ის რა ტირანია, თუ მას არ ჰყავს ჯარი, პოლიცია, უშიშროების სპეცნაწილები და ა. შ. ის რა ტირანია, თუ მას არ მოუკლავს არცერთი ადამიანი? ის რა ტირანია, თუ მას აქვს პარლამენტი და თანაც სამ ფრაქციანი პარლამენტი? ის რა დიქტატორია, რომელსაც ქვეყანაში ორასი პოლიტიკური პარტია და სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები აქვს? სადაც სამოცამდე სხვადასხვა გაზეთი და სხვა გამოცემებია?

შეიძლება დიქტატორი, რომელსაც სახელმწიფოში ხუთამდე სხვადასხვა სამხედრო ფორმირება იყოს და არცერთი მას არ ემორჩილებოდეს? ეწყობა მიტინგები და მანიფესტაციები? პირიქით, მგონი, აქ ადგილი ჰქონდა იმ ზომავადასულ თავისუფლებას, რასაც ანტიკურ ეპოქაში ოხლოკრატის უწოდებდნენ და მისი ძალიან ეშინოდათ. ბერძნები ფიქრობენ (მაგ. პლატონი და არისტოტელი), რომ ის არის გზა დიქტატურისაკენ.

მოსკოვის პრესამ ბრალად დასდო ზ. გამსახურდიას „გეჩპ“-სთან თანამშრომლობა. ეს ცილისწამებაა. საქართველოს უმაღლესი საბჭოს მიმართვაში მსოფლიოს მთავრობების მიმართ, გამოხატულია თხოვნა, სასწრაფოდ იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიცვან ჩვენი რესპუბლიკა მოსალოდნელი ინტერვენციისაგან. გარდა ამისა, საქართველოში არ ყოფილა შემოდებული საგანგებო წესები, არ ჩამოუყალიბებიათ ადგილობრივი „გეჩპ“, არ მიუღიათ რაიმე დადგენილებები „გეჩპ“-ს გადაწყვეტილებების შესასრულებლად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რუსეთის მრავალ რეგიონებში, თვით სსრ კავშირის კონსტიტუციურ-ზედამხედველობის კომისიამაც კი არ გამოთქვა იმ დღეებში „გეჩპ“-სთან უარყოფითი დამოკიდებულება. რაც შეეხ-





\*\*\*\*\*

საქრებულო  
საქართველოს  
საპარლამენტო  
სამსახური

ება გამსახურდას ვერსიას „გეჩპ“ -სთან გორბაჩოვის მნიშვნელობის შესახებ, ეს ხომ ბევრ რამეს ლაპარაკობს!

ახლა საქართველოს „გეოგრაფიული მდგომარეობის მნიშვნელობა ევროპასა და აზიას შორის, ამის შესახებ ზ. გამსახურდიანზე ადრე კარგად იცოდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ხოლო რუსეთში – პეტრე პირველმაც, რომლის შემდეგ რუსეთის არცერთ მეფეს მხედველობიდან არ გაუშვია საქართველოს გეოპოლიტიკური და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობა. აი, აქ არის ძალის თავი დამარბული, ეს არის რეგიონის აწიოკების მთავარი მიზეზი და ვიდრე რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური მოღვაწეები ძველი აზროვნებით იქნებიან შებყრობილნი, ყოველთვის გამოინახება მეთოდურად გამართული ხრიკები, რათა შეიტანონ ხალხებს შორის განხეთქილება, არ დაუშვან მათი გაერთიანება, რისთვისაც ელიტარულ ერთ მუკა ინტელიგენციას თავზე ხელს უსვამდნენ, ნასუფრალს უყრიდნენ, ამრიგებდნენ, აჩუმებდნენ – საერთოდ ისე, როგორც დღეს ხდება.

რაც ითქვა საკმარისია, რათა დავასკვნათ, რომ ეს ყველაფერი არის საქართველოს სახელმწიფოს საქმეებში წინასწარგამიზნული ჩარევა მისი პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზნით. ასეთ ჩარევას აზერბაიჯანში და სომხეთშიც აქვს ადგილი, ორივე მოპირისპირე მხარეს ამარაგებენ სამხედრო ტექნიკით. ეს არის პოლიტიკა „გათიშე და იბატონე“. ქართველი საბჭოთა ინტელიგენცია კი ყოველივე ამის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის.

ამრიგად ნათელია: ჩვენი რესპუბლიკის ნამდვილი დამოუკიდებლობა მთლიანად ბლოკირებულია ძველი ცენტრის მიერ. მიმდინარეობს შევარდნაძის მეთაურობით პარტოკრატების დაბრუნება ხელისუფლების სათავეში, სადაც უკვე შემოიკრიბნენ რესპუბლიკის პრივილეგირებული წრეები.

საჭიროა ხალხის ფართო მასებმა არ დაუშვან მათი საბოლოო კონსოლიდაცია. შევარდნაძის თბილისში დაბრუნებამ ფარდა ახადა ყველაფერს, რაც ისედაც ცნობილი იყო. მან მთლიანად გამოიყენა ოპოზიციის ლიდერები, მოატყუა ისინი, აამუშავა თავის სასარგებლოდ, და მოახდინა გადატრიალება, მაგრამ მალე ის ყველას ჩამოიცილებს, ვინც მას ეხმარებოდა – ასეთია მსგავსი მოქმედების ლოგიკა.

ამიტომ მე მივმართავ ყველას, მთელ ხალხს, განსაკუთრებით პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, მათ შორის ყოფილი ოპოზიციის ლიდერებსაც: გვეყოფა სისხლის ღვრა, დავაყენოთ ერის ინტერესები ჩვენს ინტერესებზე მაღლა, დავუმტკიცოთ მთელს მსოფლიოს, რომ

\*\*\*\*\*



ჩვენ შეგვწევს უნარი გადამწყვეტ მომენტში მაინც დავდგეთ მოწოდების სიმაღლეზე, ნუ მოვიტყუებთ თავს დაპირებებით, უცნობობა და დახმარებებით.

მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება ჩვენი ერის შელახული ღირსების აღდგენა. ყველამ იცოდეს – ჩვენი ერი არ მოიტყუებს თავს და არ გაყიდის თავის ღირსებას დოლარებზე, შაქარზე და პურზე.

დ მ ე რ თ ი ი ყ ო ს მ ი ს ი მ ფ ა რ ვ ე ლ ი !

და ვ ი თ ჯ ო ხ ა ძ ე,

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

(გადამობეჭდილი „იბერია-სპექტრი“-დან, 10 აპრილი-6 მაისი 1992 წ.)

\*\*\* \*\*

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს  
მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

საქართველოს მოქალაქეო!

მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობა დიდ ნიშანსვეტს მიუახლოვდა. საქართველოს რესპუბლიკა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. საქართველო აღიარა მსოფლიოში, რითაც მისი დამოუკიდებლობა დაგვირგვინდა. შექმნილია კეთილსასურველი საერთაშორისო გარემო თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობისათვის. დასრულდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთი, მთავარი ეტაპი.

უკუგდებულია იზოლაციონიზმის დამღეპველი საშიშროება, რომლისგან თავის დაღწევა მრავალი თაობის სანუგვარი ოცნება იყო. ამ მიზანს ბევრი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოს თანამდები მათი სულები დღეს ჩვენთან ერთად ზეიმობენ.

ცივილიზებულ ერთა დიდი ოჯახის წევრობა არა მარტო პატივის მიგებაა იმ წვლილისათვის, რაც საქართველოს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეუტანია, ან მხოლოდ დიდი გარანტიაა ქვეყნის სუფერენული უფლებების განხორციელებისა, არამედ გაცხადებაც არის იმ პრინციპების ერთგულებისა, რითაც თანამედროვე მსოფლიო სულდგმულობს. საქართველო შევიდა ახალ ზნეობრივ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სივრცეში, სადაც ახალი წესი, ახალი მოთხოვნები, სხვა ნორმები და განზომილებებია.

ამ ნორმების ერთგულება როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიგნით საქართველოს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში საქართველო ღირსეულ ადგილს ვერ მოიპოვებს,

\*\*\*\*\*



როგორც ერი და დემოკრატიული სახელმწიფო, თუ იგი მოწვესრიგებული პოლიტიკური ორგანიზმი; თანამედროვე და მოძველის ცივილიზაციასთან ზიარების გასაღები ქვეყნის მთლიანობაში, მის ერთიანობაშია.

დადგა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ახალი ეტაპი, რომლის ძირითადი საზრისი საქართველოს გამთლიანება, ქვეყანაში სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრებაა. ახალი წესრიგი წინააშლილობის დაძლევის, ეროვნული თანხმობის დამკვიდრებას ითხოვს უსისხლოდ, უმსხვერპლოდ, ცეცხლისა და მახვილის გარეშე. ამით საქართველო საბოლოოდ გაემიჯნება წარსულის ყავლგასულ ნორმებსა და ცნობიერებას და თანამედროვე ისტორიის ღირსეული შემოქმედი გახდება.

ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და დემოკრატიული აღმშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება საქვეყნოდ

**ა ც ხ ა დ ე ბ ს :**

- დაწესდეს **31** ივლისი საქართველოში ეროვნული თანხმობის, სამოქალაქო და ერთაშორისო მშვიდობის, შერიგების დღედ.

- მიჩნეულ იქნეს საქართველოს ყოველი მოქალაქის პატრიოტულ მოვალეობად საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში მათი წვლილის შეტანის კეთილი ნების გამოხატულებად მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის **11** ოქტომბრის არჩევნებში, რაზეც დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ისტორიული ბედი, მსოფლიოს წინაშე მისი პასუხისმგებლობა და საერთაშორისო ავტორიტეტი. საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს უცხოეთში მყოფ თანამემამულეებს ერისა და ქვეყნისათვის ამ ძნელბედობის ყამს თანადგომისა და თანამშრომლობისაკენ დედასამშობლოს ასაღორძინებლად.

- საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგლობრივი ინტერესების შეთანხმების, ქვეყნის ყველა რეგიონის განვითარებისა და სახელმწიფო მართვაში მათი უშუალო მონაწილეობისათვის უზრუნველყოფილია ყველა რაიონისა და ქალაქის წარმომადგენლობა ხელისუფლების უზენაეს ორგანოში, გათვალისწინებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები.

- საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ადასტურებს ერთგულებას საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისადმი, ადასტურებს და უზრუნველ-

\*\*\*\*\*



ყოფს პოლიტიკური პარტიების და სხვა ასოციაციების შექმნის, კრებების, მიტინგების, დემონსტრაციების, სიტყვის, პრესის, საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლებას საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ზნეობის მოთხოვნებთან შესაბამისობით. აღიკვეთოს ისეთი პოლიტიკური ძალების არსებობა, რომლებიც ქმნიან შეიარაღებულ ფორმირებებს, აღვივებენ ერთა შორის შუღლს, მიმართავენ ძალისმიერ მეთოდებს.

– გაუქმდეს საგანგებო წესები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივისა და ღირსების, ქონების ხელყოფასთან ხელისუფლების უპირველესი მოვალეობაა, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება ჯეროვანი პირობების შექმნა ეროვნული პოლიციის საქმიანობისათვის. ქართული პოლიცია კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ქვეყნის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისათვის.

– გაერთიანდეს ყველა შეიარაღებული ფორმირება საქართველოს რესპუბლიკის ერთიან შეიარაღებულ ძალებში, რომელიც დაექვემდებარება თავდაცვის სამინისტროს და შინაგანი ჯარების სარდლობას, გაძლიერდეს სამოქალაქო თავდაცვის სამსახური. კატეგორიულად აიკრძალოს ყველა სხვა შეიარაღებული ფორმირებების შექმნა და მოქმედება.

– რეგიონებში მოქმედი არარეგისტრირებული სამხედრო რაზმების წევრებს მიეცეთ საშუალება ხელისუფლებისადმი მათი ლოიალობის გათვალისწინებით გაერთიანდნენ თავდაცვის სამინისტროს, შინაგანი ჯარების ან პოლიციის ქვედანაყოფებში. მოხდეს მათ მფლობელობაში არსებული იარაღის რეგისტრაცია ან ჩაბარება. ის პირები, რომლებიც არ შევლენ სახელმწიფო სამხედრო ფორმირებებში, თავისუფლებიან ადრე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის (ეს არ შეეხება მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილ მძიმე დანაშაულს) და დაუბრუნდებიან ოჯახებს, მშვიდობიან შრომას. დაუყოვნებლივ შესრულდეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ყველა შეიარაღებული ფორმირების თავიანთი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნების შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახური პატრიოტული ვალია.

– ეროვნული ერთობისა და თანხმობის უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე, განთავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან პირები, რომლებიც მიმდინარე წლის 6 იანვრიდან მონაწილე



\*\*\*\*\*

ეროვნული  
არჩევნების  
სამართლებრივი  
სამსახური

ობდენ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კანონსაწინააღმდეგო აქციებში, თუ მათ არ ჩაუდენიათ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

- განთავისუფლდნენ პატიმრობიდან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულობათა ჩადენაში. მხედველობაშია მიღებული, რომ მათი ქმედებანი გარკვეულწილად განაპირობა ავტორიტარულმა, დიქტატორულმა რეჟიმმა.

- განთავისუფლდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ მიმდინარე წლის 24 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების ავანტიურისტულ მცდელობაში, მიუხედავად ქვეყნისა და ხალხის წინაშე მათ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისა.

- ამიერიდან, ამ მანიფესტით გამოცხადებული დიდსულოვანი აქტების შემდეგ, სახელმწიფო იქნება გარანტი, რომ ყველა მოქალაქე, რომელიც დაარღვევს კანონს და შეეცდება ძალის გამოყენებას არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ხელყოფს პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივს, ღირსებას და საკუთრებას, დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით.

- საქართველოს ხელისუფლება გულისხმობს, რომ სხვადასხვა ძალეებისაგან მძევლებად აყვანილი პირები დაუყოვნებლივ გათავისუფლდებიან. ამასთანავე, საზოგადოება გმობს ადამიანთა უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის ფაქტებს, რა მიზეზითაც უნდა იყოს ისინი ნაკარნახევი.

- შექმნილია სამთავრობო კომისია, რომელიც შეისწავლის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ შეიარაღებული ფორმირებების მიერ ძალადობისა და სხვა უკანონო მოქმედებების ფაქტებს. დამნაშავენი დაისჯებიან. მიყენებული ზარალი ანაზღაურდება.

- დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოსთვის ბრძოლაში, შიდა შეიარაღებულ კონფლიქტებში დაღუპულთა ხსოვნა უკვდავყოფილი იქნება; შედგება მათი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესახებაც საზოგადოება სათანადოდ იქნება ინფორმირებული.

- გაგრძელდება კონსტრუქტიული დიალოგი აფხაზეთის ხელისუფლებასთან კომპეტენციათა გამიჯვნის, მყარი სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობის დასამკვიდრებლად ერთიანი საქართველოს ფარ-





გლებში.

– საქართველოს ხელისუფლება ბოლომდე მიიყვანს ცხინვალის რეგიონში დაწესებულ სამშვიდობო ღონისძიებებს, რამაც უნდა უზრუნველყოს სისხლისღვრის შეწყვეტა და ამ რეგიონში წესრიგისა და სამოქალაქო მშვიდობის აღდგენა.

– ხელისუფლება სრულიად საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით კვლავაც იზრუნებს საქართველოში ეროვნული უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის განსამტკიცებლად საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

– საქართველოს ყველა რეგიონის, ქალაქების და რეგიონების მოსახლეობა, ადგილობრივი მმართველობის და სამართალდაცვის ორგანოები არ დაუშვებენ მათ ტერიტორიაზე დივერსიულ და ტერორისტულ აქტებს, უზრუნველყოფენ რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახალხო მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ტურისტულ და საკურორტო დაწესებულებათა შეუფერხებელ მუშაობას.

– საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად მიიჩნევს უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური ღონისძიებების შემუშავებას და წარმართვას საჯაროობის პრინციპების დაცვით. საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საფუძველზე.

– ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და თანამდებობის პირნი უზრუნველყოფენ მოსახლეობისათვის ინფორმაციის შეუფერხებელ მიწოდებას.

– გზა გაეხსნას თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარებას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

– საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს ქალაქების, რაიონების, სოფლების, დაბების ხელმძღვანელობისაგან ამ მანიფესტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საშუალებათა საყოველთაო მსჯელობის საგნად გადაქცევას, იმედოვნებს, რომ ამ პროცესებში თავიანთ გავლენიან აზრს გამოთქვამენ სრულიად საქართველოს ეკლესია და სხვა რელიგიური გაერთიანებები.

საქართველოს მოქალაქენო! საქართველოს უზენაესი ინტერესებით ნაკარნახევი ეს მანიფესტი მიმტვევლობის, ჰუმანიზმის საქვეყნო განცხადება და ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერების დასტურია. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საქ. რესპ. სახელმწიფო საბჭოს თავმ - რე ე. შვეარდნაძე,

თბილისი, 1992 წლის 3 აგვისტო.

„რას ფიქრობთ მანიფესტისა და  
11 ოქტომბერს დანიშნული არჩევნების შესახებ?“



ასეთი კითხვით მიმართა „გუშაგმა“ რამდენიმე უცხოეთში მცხოვრებ ადამიანს. ზოგმა არ უპასუხა და ეს მათი უფლებაა,

ღია წერილი საქართველოს სახელმწიფო საბჭოსადმი

1992 წლის 31 ივლისს, ჩვენ წერილით მივმართეთ გაეროს გენერალურ მდივანს ბ-ნ ბუტროს-ბუტროს გალის, რომელშიც კმაყოფილება გამოვთქვით საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიღებასთან დაკავშირებით, მაგრამ, იმავე წერილში, ჩვენ ვთხოვდით გაეროს გ. მდივანს და გაეროს შესაბამის კომისიას, შეესწავლა საქართველოში ასობით პოლიტიკური პატიმრის მდგომარეობა და გამოეთქვა აზრი საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ.

სულ რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციამ ამნისტია გამოაცხადა.

ცხადია, ნებისმიერი ცდა ქვეყანაში კანონიერების დაცვისა და სიმშვიდის დამყარებისა კმაყოფილებას უნდა იწვევდეს, მაგრამ მანიფესტის ტექსტის გაცნობამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ეს დოკუმენტი დასავლეთის საზოგადოების თვალისახვევადაა შექმნილი და რომ მას, ახლო მომავალში, კიდევ უფრო დიდი სისხლისღვრა და რეპრესიები მოჰყვება. საქმე ის არის, რომ მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერს „მთავრობა“, რომელიც აგერ უკვე ნახევარი წელია ვერ ახერხებს საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის შექმნას, რომელსაც საკუთარ ხალხთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებად რუსული ტანკი და „კალაშნიკოვი“ მიაჩნია, ვერა და ვერ იქნება ქვეყანაში მშვიდობისა და თანხმობის გარანტი. მანიფესტის შემქმნელ საქართველოს დღევანდელ ადმინისტრაციას ჯერ არა აქვს ხალხის ნდობის მანდატი, ჯერ-ჯერობით ხალხი მას იცნობს, როგორც მისი ნების უგულვებელმყოფელსა და მოძალადეს.

ან რას ნიშნავს ამნისტია? ამნისტია ჩვეულებრივ, დანაშაულის პატიებას გულისხმობს. რამოდენიმე ასეული პოლიტიკური პატიმარი კი ციხეში ყოველგვარი გასამართლების გარეშე აღმოჩნდა. მათ შორის არიან ქალები, მოხუცები, დეპუტატები, რომელთა ხელშეუხებლობა ყველა ცივილიზებული ქვეყნის სამართალშია ჩაწერილი. ისინი არც არავის გაუსამართლებია და არც არავითარი მუხლი მიუყე-



\*\*\*\*\*

კომუნისტური პარტია

ნები მათთვის ვინმეს. ამდენად, ტერმინი „ამნისტია“, ვაში ნონსანსია. რომელი მანიფესტი დაგვიბრუნებს სისლიანი პუტჩის დროს დაღუპულ ადამიანთა სიცოცხლეს? რომელი მანიფესტი მოუშუშებს ქართველ ხალხს ჭრილობას, ხალხს, რომელსაც ძალით წაართვეს უფლება ჰყავდეს თავის მიერ არჩეული პარლამენტი და მთავრობა? არა გვგონია, რომ დღეს საქართველო ყალბი კომუნისტური პათოსით დაწერილმა ცრუ დოკუმენტმა გადაარჩინოს.

დღევანდელი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მიერ 1984 წელს სიკვდილმისჯილმა მამა თევდორემ (ჩიხლაძე) ასე მიმართა „მსაჯულთ“: „მაღე მოედება ბოლო კომუნისტურ პარტიებს და ცენტრალურ კომიტეტებს და ქართველი კაცი ღმერთისკენ შემობრუნდება.“ აღსრულდა მამა თევდორეს წინასწარმეტყველება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ, გრძელი აღმოჩნდა ღმერთისკენ მიმავალი გზა.

14 აგვისტო 1992.

ჩარლზ ჩხოტუა – ლონდონი

რენო სირაძე – ჰელსინკი

მედეა თუშმალიშვილი – პარიზი

( წერილი გაიგზავნა მიუნხენის რადიოსადგურ „თავისუფლებაში“ )

\*\*\*

\*\*\*

ჩ ე მ ი პ ა ს უ ხ ი „გ უ შ ა გ ი ს“ კ ი თ ხ ვ ა ზ ე

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს გაეროში გაწევრიანება მეტად ბედნიერი და ისტორიული მომენტი იყო ქართველი ერის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური მრწამსი აქვს თითოეულ ჩვენგანს, ეს მაინც სასიხარულო მოვლენად იქცა ჩვენთვის და ნიუ-იორკის ქართველობა ამ მომენტს შეესწრო, რაც ბევრ ჩვენგანს სიამაყის გრძნობით ავსებს.

გფიქრობ, რომ სამი აგვისტოს მანიფესტი ნამდვილად არ არის საღმარცხვალს მოკლებული დოკუმენტი, თუ კი ის მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩება და რეალურად შეისხამს ფრთებს, ალბათ მდგომარეობა უკეთესობისაკენ წავა. არჩევნებში კი შეძლებს გვარად ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. დემოკრატია ფართო არჩევანს გულისხმობს და არა შეზღუდულს.

მე პირადად მივესალმები ყველა ისეთ ქართულ მთავრობას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას რეალობად აქცევს.



ამისათვის აუცილებელია ეროვნული ერთიანობის მიღწევა. ნება მიბოძეთ, პატარა სკეპტიციზმის ნოტა შემოვიტანო. მე მაინც მგონია, რომ ელუარდ შვეარდნაძე რუსეთის ინტერესების გამომხატველი პოლიტიკოსია და იგი არაფრით არ დაუშვებს რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანას. საქართველოს დღეს ძლიერი თავდაცვა სჭირდება. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ფაქტორით მანიპულირებს დღეს ე. შვეარდნაძე. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე. მაგრამ ასეთი ეჭვის საფუძველი ნამდვილად მაქვს. უკვე ეჭვისი თვება, რაც ბ-ნი ელუარდი საქართველოს დაუბრუნდა და ჯერ-ჯერობით არ გადადგმულა რაიმე სერიოზული ნაბიჯები ჩრდილო-ატლანტიკის ბლოკთან და იზრავლთან კავშირების გაუმჯობესებაზე.

ჩემის აზრით, წინა-საარჩევნო სარტალ-მარტალი ყოველნაირი პოლიტიკოსისათვისაა დამახასიათებელი. ასე, რომ მაინც და მაინც დიდი ნდობით არ ვეკიდები არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გაკეთებულს დიდსულოვანს საჩუქრებს, მით უმეტეს, როდესაც მათ სამხედრო ვადატრიალების გზით მოსული ყოფილი კომუნისტები აკეთებენ.

მაგრამ ვფიქრობ, რომ, ამავე დროს, საქართველოში პოლიტიკური ბრძოლა უნდა მიდიოდეს არა იარაღის, არამედ სიტყვის საშუალებით და ამ მხრივ აუცილებელია, რომ არჩეული იქნას ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანო. არა მგონია სწორი იყოს არჩევნების ბოიკოტის იდეა.

ყველა ქართველს უნდა მიეცეს საშუალება მაქსიმალურად მოახმაროს საკუთარი ნიჭი და გამოცდილება სამშობლოს. არ უნდა ვიყოთ უაზროდ ჯიქურნი. ჩვენთვის მთავარია ჩვენი დამოუკიდებლობის იდეა და უკვე შემდეგ მოდის ჩვენი პიროვნული სიმპათია თუ ანტიპათია.

აზრთა ჭიდილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეწყდეს. თუკი ქართულ საზოგადოებას განვითარების პრეტენზია აქვს - აზრთა და პირისპირება ამისი აუცილებელი პირობაა, მაგრამ ამავე დროს ყოველად დაუშვებელია ის უკანონო, კრიმინალური სიტუაცია, რომელიც ამჟამად საქართველოში სუფევს. ჩემის აზრით, არჩევნები სტაბილიზაციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, მაგრამ ეს არჩევნები არაფერს მოგვტანს, თუკი არ ამოქმედდა სამართლებრივი კონსტიტუცია და კანონმდებლობა.

კანონი უნდა გახდეს უმაღლეს ღირებულებად!

\*\*\*\*\*



დამოუკიდებელი საქართველო უნდა დარჩეს ჩვენს ხატულაში  
ჩვენ გვჭირდება ერთიანობა საქმის ირგვლივ და არა მხოლოდ  
ლიტონი სიტყვებით. საზღვარგარეთ მყოფმა ქართველობამ კი ყვე-  
ლაფერი უნდა გააკეთოს ამ იდეის ხორცშესხმისათვის.

გიორგი ივერიელი  
ნიუ-იორკი, 1992 წ. აგვისტო.

\*\*\*

\*\*\*

ა ი , რ ა ს ვ ფ ი ქ რ ო ბ მ ე

მანიფესტის კითხვა ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ სახსაბჭოს  
განაგებენ ბრეჟნევის თავლაში გამოზრდილი საბჭოთა ბიუროკრატები.  
აღბათ ამიტომაცაა, რომ მანიფესტის ენა ზოგჯერ გასაგები არაა  
ჩვენისთანა ჩვეულებრივი მომაკვდავისთვის. მაგალითად, მე ვერ გა-  
ვიგე, რას გულისხმობს მანიფესტი, როცა ამბობს:

„უკუგდებულია იზოლაციონიზმის დამლუპველი საშიშროება, რომლ-  
ისგან თავის დაღწევა მრავალი თაობის სასუქვარი ოცნება იყო. ამ  
მიზანს ბევრი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა“, და  
სხვა. რა არის „ეს იზოლაციონიზმის დამლუპველი საშიშროება“,  
რომლის უკუგდებასაც ზეიმობს მანიფესტი? ამის გასაგებად აღბათ  
გრაკალის მკითხავი უნდა იყო.

იქნებ, ჩვეულებრივ ქართულზე ეს ნიშნავდეს რუსეთის მპყრობლო-  
ბიდან თავისდაღწევას. თუ მათი „იზოლაციონიზმი“ ესაა, მაშინ გა-  
ეროში მიღებით საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა დიდად  
არ უნდა შეიცვალოს. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინა და ბელორუსია  
გაეროს დამფუძნებელი წევრები იყვნენ, მაგრამ ამით მათი მდგომარე-  
ობა ოდნავადაც არ შეცვლილა, ისინი ისევე დაუღლულები და-  
რჩენ ბოლომდე საბჭოთა უღელში, როგორც ცამეტი სხვა საბჭოთა  
რესპუბლიკა.

– თავის მოტყუილებაა თქმა, რომ გაეროში მიღებით დასრულდა  
„ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთი, მთავარი ეტაპი.“  
ერთი – შეიძლება, მთავარი –კი მაშინ იქნება, როცა რუსეთის სა-  
ოკუპაციო ჯარები დასტოვებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვ-  
რებს და საქართველოს ეყოლება დემოკრატიულად არჩეული ხელისუ-  
ფლება.

– 6 იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ განდევნილი  
მთავრობის წევრების, თანამშრომლების, თუ დამცველების დაპატი-  
მრება. იყო დანაშაული, საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის





\*\*\*\*\*

უფლებების უხეში დარღვევა. მათი განთავისუფლება ჩუმიად, ბო-  
ლიშის მოხდით უნდა მომხდარიყო და არა მყვირალა მანიფესტით,  
არა ამნისტიით. როგორ შეიძლება, შეწყალებული იქნენ პატიმრე-  
ბი, რომლებიც გასამართლებული არ ყოფილან და სასჯელი არ მი-  
სჯიათ?

– ამ მანიფესტის დანიშნულება არის პროპაგანდა შინ და გარეთ,  
რათა თავი მოიწონოს მისი ჯერ არ არსებული ღირსებებით და  
არა სურვილი ეროვნული დაზავების, ერთობის და თანხმობის და-  
მკვიდრებისა, რობორც ამას მანიფესტი აცხადებს.

– ასეა თუ ისე, მანიფესტი სიტყვებია და საჭიროა გარკვეული  
დრო მის ცხოვრებაში გასატარებლად და მის საწამებლად, განსა-  
კუთრებით ისეთი ხელისუფლებისათვის, როგორც სახსაბჭოა.  
საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უკანასკნელმა თვითვე არ  
მისცა დრო მის მანიფესტს, რომელსაც ჯერ კიდევ მელანი არ შე-  
შრობოდა, რომ „მხედრონის“ რაზმები მიუსია სამეგრელოს, აწი-  
ოკეს, არბიეს, ძარცვეს ბრალიანი და უბრალო, მოთმინებიდან გა-  
მოიყვანეს მთელი კუთხე და ააჯანყეს. ნათქვამია: ჭამაში მოღის  
მადაო. ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დევნაში, სახსაბჭოს ჯარე-  
ბმა სამეგრელოდან აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც შეიჭ-  
რენ 14 აგვისტოს; თუმცა, 6 აგვისტოს გამოქვეყნებულ მანიფესტში  
ნათქვამია: „გაგრძელდება კონსტრუქტიული დიალოგი აფხაზეთის ხე-  
ლისუფლებასთან“-ო. სიტყვის ერთგულებაც ასეთი უნდა!

– მანიფესტი გრძელმეტყველია და შინაარსით მეტად მწირი.  
და ბოლოს, საბჭოური ტრადიცია აღდგენილია – მანიფესტი მოუწო-  
დებს საქართველოს მხარეების, ქალაქების, რაიონების, სოფლების  
ხელმძღვანელებს, სრულიად საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის  
და სხვა რელიგიების წარმომადგენლებს, რომ გაშალონ მანიფესტის  
ფართო სახალხო განხილვა და მათში თავიანთი „გავლენიანი“ აზრი  
შეიტანონ.

**რ ა ც შ ე ე ხ ე ბ ა ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ს**, ჩემი აზრი ცნობილია:  
არჩევნებამდე საკმაოდ ადრე უნდა მოხდეს შეთანხმება ყველა  
პოლიტიკურ მომდინარეობის, განსაკუთრებით დაპირისპირებულ  
ძალებს, შორის დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და მი-  
სთვის სათანადო საშუალებებისა და პირობების შესაქმნელად.

გიორგი წერეთელი



## არჩევნები და კანონის უზენაესობა

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოში ადგილი ჰქონდა დიდ უბედურებას— იანვარს ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ჩამოგდებულ იქნენ და სახელმწიფო ძალაუფლებას დაეპატრონა, კანონის უზენაესობის დარღვევით, შეიარაღებული ოპოზიცია. მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლიდანაც სათავეს ღებულობს დღევანდელი ე. წ. „ს. რ. სახელმწიფო საბჭო“, რომლის პრეზიდენტის თანამდებობაზე ბ. ნი. ე. შევარდნაძე ამ ხელისუფლებას არ გააჩნია სახალხო ლეგიტიმაცია და ამის მიღებას ცდილობს მომავალ 11 ოქტომბერს დანიშნული საკანონმდებლო არჩევნებით.

მაგრამ იბადება კითხვა: შეუძლია კანონის უზენაესობის უგულბებლად სახელმწიფო საბჭოს, არჩევნების გზით, კანონიერების ისევ დამყარება? მდგომარეობა, უთუთო, რთულია, მაგრამ თვით ცხოვრება მოითხოვს გამოსავალი გზის მონახვას; და ამგვარ გზად მესახება „მორიგება“, ვიმეორებ „მორიგება“ და არა შეერიგება საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასა და დღევანდელ დე ფაქტოდ არსებულ ძალაუფლებას შორის მხოლოდ ერთ საკითხში: დემოკრატიული არჩევნების ერთად მოწყობა-ჩატარებაში. მოვლენები ადასტურებენ, რომ უამისოდ დემოკრატიული არჩევნების ჩატარება შეუძლებელი იქნება.

მანიფესტ-ამნისტის მიზანი, რომელიც 3 აგვისტოს თარიღით გამოცხადდა, ალბათ, საპატიო იყო და მას სარჩულად ედვა ეროვნული მშვიდობისა და ერთობის მიღწევა. მაგრამ მან იმედი ვერ გაამართლა, რისი მაჩვენებელიცაა ის ფაქტი, რომ დაზავების პოლიტიკა, რომელსაც წარმოადგენს მანიფესტი, სულ მალე შეცვალა კონფრონტაციისა და ძალისმიერმა პოლიტიკამ.

თუ 1992 წლის 11 ოქტომბერს განზრახული არჩევნები არ ჩატარდება, როგორც ვთქვით, ორივე მხარის მორიგების გზით, და არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოს ყველა პარტია, მაშინ საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ცხოვრების სტაბილიზაცია შეუძლებელი გახდება, რაც გზას უხსნის ყოველი ჯურის ავანტიურისტებს და ცდას, რომ საქართველო ისევ მოაქციონ ფერშეცვლილი უცხო ბატონობის ქვეშ.

ამიტომაც ჩვენი დედა-ლოზუნგი უნა იყოს: **მორიგება, რაც არ უნდა დაჯდეს!**



კ ი დ ე ვ ა მ დ ე ნ ი,  
ბ ა ტ ო ნ ო ა პ ო ლ ო ნ!

სურათებზე: გვერდით ასწლოვანი  
ბატონი აპოლონ ანთაძე,  
დაბლა (მარცხნიდან მარჯვნივ):  
შალვა ხახანაშვილი, აპოლონი და  
ნიკოლა (თათრახან) ანთაძენი და  
შემდეგ ტარასი წულაძე.  
რესტორანი „ოქროს საწმისი“  
13 ივნისი 1992 წელი.



ჩვენს დროში ას წლიანობით ვედარავის გააკვირვებ, ისეთი ჰარმავი, მკვირცხლი, გონებამახვილი, როგორც ბატონი აპოლონ ანთაძეა, არა მგონია, მეორე მოიძებნებოდეს, მე, ყოველ შემთხვევაში, სხვას არ ვიცი. თვით ამ სურათებიდანაც ჩანს მისი უბერებლობა. მაგრამ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს მასთან გასაუბრება, მისი ცინცხალი იუმორი, გონებამახვილობა ხალასი, ტკბილმოსასმანი გურული კილო.

აპოლონი დაბადებულა 1892 წლის 13 ივნისს, სოფელ ლესაში, ჩიბათის საზოგადოებაში, ბრძანებს იუბილარი, მარკოზ და მართა (დაბადებული ჭყონია) ანთაძეების ოჯახში. მამაჩემი პირველი გილდის ვაჟარი იყო, ბრძანებს.

სწავლა ჯერ მშობლიურ სოფლის სკოლაში დაუწყია, შემდეგ ბათუმის გიმნაზიაში გაუგრძელებია, რომლის დამთავრების შემდეგ შესულა კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ომის დროს ელექტროტექნიკური სამხედრო სკოლა დაუმთავრებია და როგორც ავიაციის ტექნიკოსს პირველ მსოფლიო ომის დროს გალიციის ფრონტზე მიუღია მონაწილეობა.

1920 წელს, აპოლონ ანთაძე ბრუნდება საქართველოში და ჩაირიცხება ახლადშექმნილ ქართულ ავიაციაში, რომლის უფროსი პოლკოვნიკი მიხეილ მაჭავარიანი იყო, ახსოვს ბნ აპოლონს.

ჩვენი ქვეყნის დამარცხების თანავე გამოხიზნულა. ერთ ხანს სტამბოლში უცხოვრია, 1923-ში კი პარიზში დასახლებულა და ტაქსისტობას ეწეოდა საკუთარი ტაქსით. 1930 წელში დაოჯახებულა საქართველოში დაბადებულ რუს ჭნ ეკატერინე გავრილოვაზე, რომლის მამაც ყოფილა ამიერკავკასიის რკინიგზის საინჟინერო საქმეთა უფროსი. ახალგვარდაწერილები დასახლებულან ხმელთაშუა ზღვის ქალაქ ანტიბში. შეეძინათ სამი ვაჟი: მიხეილი, ვლადიმერი და გივი და ერთი ასული-ელენე.

1972 წლიდან ბნი აპოლონი ისევ დაბრუნდა პარიზში, ახლად გახსნილ რესტორან „ოქროს საწმისში“ უნტროს ძმა თათრახანთან ერთად სამოღვაწეოდ. თათრახანი ვიზით ჩამოვიყვანე 1925 წელში. ამჟამად მათ რესტორანი გაყიდული აქვთ, მაგრამ ამ შენობაში ცხოვრობენ და რესტორნის მიმართაც მათი დამოკიდებულება თითქოს არც შეცვლილა, ბნი აპოლონი მუდამ მაგიდის თავში თამადის ადგილას ზის. ერთხელ კიდევ ვწევთ შამპანიურით სავსე სასმისებს და კვლავ მრავალ უამიერს ვუსურვებთ ბნ აპოლონს.

ლენინი ისტორიის ტრიბუნალის  
წინაშე



საბჭოთა კომუნისტური პარტიის და კ.გ.ბ. არქივები მას  
წარმოაჩენენ როგორც სტალინიზმის ნამდვილ მამამთავარს.

[კონსტიტუციურმა სასამართლომ გუშინ (3 აგვისტო 1992.) შეწყვიტა განუსაზღვრელი დროით მუშაობა, დაწყებული ა. წ. 7 ივლისს, საბჭოთა კავშირის კომპარტიის კონსტიტუციურობაზე და პრეზიდენტ ბ. ელცინის დეკრეტების კონსტიტუციურობაზე, რომლითაც გაუქმდა ამ პარტიის არსებობა. მოსამართლეები დებატებს გააგრძელებენ სექტემბერში მას შემდეგ, რაც შეისწავლიან 65 ექსპერტის, იურისტის, უნივერსიტეტელის დასკვნებს, რომლებიც, ღრმად განსხვავებულნი აღმოჩნდნენ აღნიშნული კანონების განმარტებაში (AFP) ]

რუსეთის კონსტიტუციური ტრიბუნალი, რომელიც შეიქმნა 1991 წ. 12 ივლისს, მისი ერთ წელზე ნაკლები არსებობის განმავლობაში, წააწყდა ჭეშმარიტად ისტორიულ გამოწვევას. მას მიმართა ორმა ურთიერთ შეურიგებელმა მხარემ: კომპარტიამ და ხელისუფლებამ. და მასზე იქნება დამოკიდებული, თუ რა შეხედულება ექნებათ მომავალში ლენინზე და მის მიერ დაარსებულ პარტიაზე. მის მუშაობაზე იქნება დამოკიდებული, ზგრეთვე, ამ დაწესებულების მორალური ავტორიტეტი, რადგანაც აქამდე მას მოუხდა აზრის გამოთქმა მხოლოდ რელატიურ საკითხებზე.

ტრიბუნალს პირველმა მიმართა კომუნისტურმა პარტიამ, ლენინის პირში, რომლის მოქმედება შეწყვიტა ბორის ელცინმა და კონფისკაცია მოუხდინა მის ქონებას 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ; ხოლო ექვს ნოემბერს დაშლის ბრძანება გასცა. კომპარტიამ ტრიბუნალს თხოვა, რომ ეს ბრძანება გამოაცხადოს არაკონსტიტუციურად.

ქონებას მოკლებულს – და იგი მნიშვნელოვანი იყო – პარტიას აღარ შეუძლია არსებობა, თუნდაც იტაკქვეშ. მას აღარ შეუძლია სტრუქტურების შენარჩუნება, გადახდა კადრების ხელფასის, გამოცემა ჟურნალ-გაზეთების. გაზეთ „პრავდას“ გაჭირვება, რომელიც 70 წლის განმავლობაში ნამდვილი ოფიციალური გაზეთი იყო საბჭოთა სახელმწიფოსი და რომელიც იძულებული გახდა შეეწყვიტა პუბლიკაცია, მერე კი სცადა გამოეშვა დროგამოშვებით შეზღუდული ტირაჟით, მოწმობს ბ. ელცინის ბრძანების გამანადგურებელ ზემოქმედებას. მისი თეზისის დასაცავად კომუნისტური პარტია ეუ-



რდნობა 1990 წლის კანონს პოლიტიკური პარტიების შექმნის შესახებ რომელიც მხოლოდ სასამართლოს აძლევს უფლებას, შეაჩეროს ან გააუქმოს პარტიების მოქმედება. პრეზიდენტს, აცხადებს ის თავდასაცავად, შეეძლო ამის გაკეთება მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ჰქონებია.

### კრიმინალური პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი

#### ორგანიზაცია

რუსეთის მთავრობის სარჩელი, რომელიც დებატების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოცხადდა, იყო ძალიან ეფექტური კონტრ-შეტევა, რადგანაც სასამართლომ მიიღო ის და გადაწყვიტა გაესამართლებია კომპარტია, როგორც ამას რუსეთის მთავრობა თხოულობდა.

კომპარტიის საწინააღმდეგოდ რუსეთის მთავრობა აყენებს უბრალო არგუმენტს: კომპარტიას არ შეუძლია, პოლიტიკური პარტიების უფლებების მფარველობა მოითხოვოს, რადგანაც იგი არასოდეს, დღიდან მისი დაფუძნებისა 1917-ში, არ ყოფილა ასეთი პარტია, - არამედ - „პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კრიმინალური ორგანიზაცია“.

ამ ბრალდების დასამტკიცებლად რუსეთის მთავრობამ სასამართლოს გადასცა კომპარტიისა და კავების არქივები.

რა შეუძლიათ ამ დოკუმენტებს, მოუტანონ სასამართლოს? ისინი შეეჩებებიან, ერთსა და იმავე დროს, საბჭოთა სახელმწიფოს დაფუძნებას, მის ისტორიას „პერესტროიკამდე“ და იმ ეპოქას, როცა გორბაჩოვი მეთაურობდა ქვეყანას. წარსულზე ეს საბუთები დაადასტურებენ მას, რაც უკვე ცნობილია, დესტალინიზაციიდან და აგრეთვე სულ უკანასნელ წლებში, გამოქვეყნებული „რევლასიონების“ წყლობით. სტალინის ხელისუფლების ისეთ კრიმინალურ ბუნებაზე, რომლებსაც ჯიუტად უარყოფდა ყველა ხელმძღვანელი, მაგალითად, როგორიც იყო განგებ გამოწვეული შიმშილობა უკრაინაში, 30-ანი წწ. დასაწყისში, ანდა კიდევ კატინის ქლეტა, რომელთა შესახებაც რუსის ხალხს ბევრი რამ აღარ დარჩა გაუგებელი.

### ს ტ ა ლ ი ნ ი, მ ო რ ჩ ი ლ ი მ ი მ დ ე ვ ა რ ი

მაგრამ, რასაც ეს საბუთები გამოაშკარავებენ, იქნება საბჭოთა სახელმწიფოს ორი უკიდურესი პერიოდი. ლენინის პიროვნების როლი სისტემის კრიმინალიზირებაში, და 1985 წლის შემდეგ გარკვეულ პერიოდში ლენინიზმის პრაქტიკის გაგრძელება.



\*\*\*\*\*

1956 წლის დესტალინიზაციიდან მოყოლებული, ყველა საბჭოთაო სტალინიზაციის ლმძღვანელი გააფთრებული ცდილობდა ლენინის „გადარჩენას“, გაემართლებია სტალინური კრიმებიდან. ის, რაც არქივიდან გამომდინარეობს, პირველ რიგში, ესაა თვით ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების ბუნება, სახელმწიფო გადატრიალება მოწყობილი გერმანიის ლოგისტიკური და ფინანსიური დახმარებით, აღმოსავლეთის ფრონტის მოშლის მიზნით 1917 წელს; სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც 1918 წელს, იანვარში, დაამხო არა იმპერიული რეჟიმი — ის თვითვე დაემხო რამდენიმე თვის წინ — დემოკრატიულად არჩეული დამფუძნებელი საკრებულო, რომელშიც ბოლშევიკები უმცირესობას შეადგენდნენ. მათ მიიღეს ხმების მხოლოდ მეოთხედი.

ბოლშევიკებმა რომ რუსეთს მოუსპეს დემოკრატიული გარდაქმნების შესაძლებლობა, ეს რუსეთის მოქალაქემ მხოლოდ ამ უახლოეს პერიოდში გაიგო და ეს აღმოჩენა მისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ეს მას უდასტურებს აზრს, რომ დემოკრატია მთლად უცნობი არ არის რუსეთისთვის, რომ მას იქ უკვე ჭონდა გამოღებული კვირტი, თუმცა მან გაშლა ვერ მოასწრო. მოსყიდული გერმანიისგან, რომელთანაც მისი ქვეყანა და ევროპის ყველა დემოკრატიული ქვეყანა საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, გააფთრებული, ხელთ იპყრას ძალაუფლება ახლად შობილ დემოკრატიის წინააღმდეგ, ლენინი, არქივების მიხედვით, რომლებიც სასამართლოს განკარგულებაშია, წარმოგვიდგება, როგორც კემშარიტი მამამთავარი სტალინიზმისა.

მისი მიმოწერიდან, მისი ბრძანებებიდან, რომლებიც ხანგრძლივად საიდუმლოდ ინახებოდა, და რომელთაგანაც არცერთი არ შესულა ე. წ. „ლენინის სრულ ნაწარმოებთა ტომებში“, რომლებიც კომპარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ გამოიცნენ, — წარმოდგება კაცი, რომელსაც შეუძლია ძრწოლვა მოგვგაროთ. „დახვრიტეთ“, „მოსაეთ პარტიის მტრები“ „გლეხები, მათი ახლობლები“, „მოჰკალით, რათა აიძულოთ დაჩუმდეს და დაემორჩილოს საზოგადოებას,“ „ძველები შემთხვევით აყვანილი დახვრიტეთ“, „გადაასახლეთ“ ასეთია ლენინის მუდმივი მითითება.

როგორც ვხედავთ, სტალინს არაფერი გამოუგონია, არამედ ის იყო მხოლოდ ერთგული მიმდევარი. რით განსხვავდება ეს პოლიტიკური სისტემა შობილი დემოკრატიული წესწყობილების ნანგრევებზე და რომელიც პირველი წუთებიდანვე ემყარება მკვლელობასა და ტერო-

\*\*\*\*\*

ეროვნული

რს, იმ სისტემისგან, რომელიც თექვსმეტი წლის შემდეგ შეიქმნა და გერმანიაში?

### ორი განსხვავებული პროცესი

საბჭოთა ისტორიის მეორე კიდეში ესაა პერესტროიკა, რომელიც უნდა ცხადყო ტრიბუნალისადმი გადაცემულმა საბუთებმა. უდავოა, რომ ძალადობასა და მკვლელობებს ადგილი აღარა აქვთ საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკაში ამ წლების განმავლობაში, მაგრამ ხელისუფლების ხასიათი, რომელიც უგულვებლყოფს საზოგადოებას, მას სიმართლეს არ ეუბნება და იმავდროს განუწყვეტლად ლაპარაკობს სიმართლეზე, და განსაკუთრებით საერთაშორისო აქტიურობა, რომელიც სრულ წინააღმდეგობაშია გორბაჩოვის „ახალ აზროვნებასთან“ და მის მიერ ხელმოწერილ სსრკ ხელშეკრულებებთან, უჩვენებენ, რომ სსრკ სრულ დაშლამდე კომუნისტური პარტია, რომელიც დარჩა მისი ტვინი, ერთგული იყო მისი ბუნების.

ამ თეზისის დასამტკიცებლად საბუთები გამოაშკარავენ, რომ კომპარტია აფინანსებდა ტერორისტულ ორგანიზაციებს, კერძოდ ახლო-აღმოსავლეთისას და ყველგან მსოფლიოში შეინარჩუნა საჯაშუშო ქსელი ინფორმაციის საფარქვეშ.

საბუთების ეს დასტა, ცოტა არ იყოს არაჩვეულებრივი, გვაფიქრებინებს, რომ ტრიბუნალმა შეიძლება ორი ერთმანეთი სგან განსხვავებული პროცესი მოაწყოს. მას შეუძლია, და აქ არის მისი საშიშროება, საშიშროება მისი იმიჯის – იქცეს მ. გორბაჩოვისა და მისი თანამშრომლების საწინააღმდეგო საომარ მანქანად (იარაღად).

ცხადია, რომ მათ თავიდანვე ვერ მოიშალეს წინამორბედთა პრაქტიკა, ცდილობდნენ შეენახათ მათი ქვეყნის გავლენა მსოფლიოში და იმავე დროს ეთამამნათ მშვიდობის კოზირი. მაგრამ ვინაიდან მათ უნდოდათ, რომ პატივცემული პარტნიორები ყოფილიყვნენ მსოფლიო სახელმწიფოების, ისინი იძულებულნი იყვნენ უარი ეთქვათ იმ ფაქტორებზე, რომელმაც შექმნა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი (დახვევა ავღანეთიდან, აფრიკიდან, შესუსტება დაწოლის აღმოსავლეთ ევროპაზე ...). ასეთ პირობებში მაცდუნებელი იყო შენარჩუნება საილუმო პრაქტიკისა. ძალიან ცოტა სახელმწიფო მოღვაწე, სხვათაშორის, მსოფლიოში გულწრფელად თანხმდება ხელი აიღოს მისი ქვეყნის სიძლიერეზე და ამის გულისთვის არავინ არ გაამტყუნებს გორბაჩოვს. მაგრამ პარტია რომ უცვლელი დარჩა ბოლომდე უდავოა. მიუხედავად ამისა სასამა-



რთლო შორს ვერ წავა პარტიისა და ბოლო ეტაპზე მისი ხელმძღვანელების დაგმობის საქმეში ისე, რომ მან არ მიიღოს სახე საბრძოლო იარაღისა გამარჯვებული ხელისუფალის ხელში, ბორის ელცინისათვის მისი საშინელი მოწინააღმდეგეების ჩამოსაშორებლად.

წინააღმდეგ ამისა, პროცესის მეორე მხარე, რომელიც ეხება ლენინს, საბჭოთა სისტემის საფუძვლებს, არის დიდი ისტორიული მნიშვნელობის. თუ სასამართლომ ყურადღება აქეთ გაამახვილა, ის იქნება ნამდვილი ნიურენბერგის პროცესი, რომელიც ჩატარდება მოსკოვში. არქივი, რომელიც ტრიბუნალს გადაეცა, შეიცავს იმაზე მეტ მასალებს, ვიდრე საჭიროა დამტკიცდეს ურყევად, რომ ლენინის მიერ დაფუძნებული რეჟიმი იყო უკანონობისა და ძალადობის ნაყოფი საზოგადოების მიმართ და დაფუძნების შემდეგაც ის მუდამ დარჩა კრიმინალური.

ს ა მ ი მ ი ზ ა ნ ი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცნებამ კრიმი ადამიანის წინააღმდეგ, ჩადენილი საერთაშორისო თუ შინა ძალების მიერ, მოქალაქეობის უფლება დაიმკვიდრა. ეს ასეთი შეხედულების, რომელიც სახელმწიფოთა კანონებზე უმადლესია, რომ ისტორიამ დაგმო ნაციონალ-სოციალისტური სისტემა. ეს ასეთი მიდგომით, ასეთი კონცეპტითაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მისი საფუძვლების ჩამყრელი ლენინი წარდგენილი არიან მოსკოვის ისტორიის სამსჯავროს წინაშე. თუ სასამართლო გაპყვა ამ გზას, მას შეუძლია სამი მიზნის მიღწევა. ახლო მომავლისთვის ის ჩარაზავს კარს კომპარტიის აღორძინების შესაძლებლობისას. პარტია, რომელიც კრიმინალია ბუნებითაც და მისი აქტიურობითაც, ვერ მოითხოვს ისარგებლოს წესით, რომელიც ვრცელდება პოლიტიკურ პარტიებზე.

უფრო ხანგრძლივად კომპარტიის კრიმინალურობამ შეუძლია რუსეთი იხსნას ყოველგვარი უტოპიური ან ტოტალიტარული ცდუნებებისაგან. და ბოლოს, ასეთი ორიენტაცია დაამკვიდრებს შეგნებას, რომ არსებობს უზენაესი კანონი ადამიანებისათვის საყოველთაო, რომელიც არცერთ ხელისუფლების ფორმას, არავითარ პროექტს, არავითარ მდგომარეობას არ შეუძლია უგულვებელყოს.

რუსეთის ტრიბუნალის მოსამართლეებს, რომელთა გამოცდილება ჯერ მცირეა, თავს აწევთ სასტიკი პასუხისმგებლობა. მათზეა დამოკიდებული, რომ რუსეთმა განიცადოს ნამდვილი პოლიტიკური პროგრესი, ანდა ლამაზმა დაწესებულებამ კიდევ უფრო არ დააბნიოს საზოგადოება.



\*\*\*\*\*

ლოება, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუწახავს მისი ახალი ტერიტორია.

ყოველ შემთხვევაში, ის, რაც უდავოა, ეს ისაა, რომ მოსკოვის ეს პროცესი ერთ დიდ მსხვერპლს გამოიწვევს, ლენინს, რომლის სახელი შერცხვენილი დარჩება სამუდამოდ.

ელენ კარერ დ'ანკოსი

[ გაზეთი „ფიგარო“ 4 აგვისტო 1992. ]

\*\*\* \*\*

ვ ი ნ დ ა რ ო ლ ი ს ი ც ნ ო საქართველო

[ს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, ინფო. „საქ. რესპუბ.“]

- 1991 წელში: 1. რუმინეთმა 27.VIII., 2. მოლდავეთმა 27.VIII., 3. აზერბაიჯანი- 30.VIII., სომხეთმა -13.IX., 5. უკრაინამ -16.XI., 6. თურქეთმა- 16.XII., 7. მონღ. - 20.XII., 8. ლიტვა - 20.XII. 9. კანადამ -25. XII., 10. ამერიკის შ. შ. - 25.XII., 11. ბრაზილია -30.XII., 12. კუბა - 26.XII., 13. ტაილანდი - 26.XII., 14. ინდოეთი - 26.XII., 15. ვიეტნამი - 27.XII., 16. ბელორუსია -27.XII., 17. ეგვიპტე - 27.XII., 18. ალჟირი - 27. XII., 19. ჩინეთი -27.XII., 20. სლოვენია - 27.XII., 21. იორდანია - 28.XII, 22. ხორვატია - 28.XII., 23. ლიბანი - 30.XII., 24. პაკისტანი -31.XII., 1992 წელი: 25. ლაოსი - 2.I., 26. ერაყი - 2.I., 27. ეთიოპია - 2.I., 28. ბურუნდია - 6.I., 29. ჩრდილო კვიპროსის თურქული რეს.-8.I. 30. ბულგარეთი 23.I., 31 ჩეხო-სლოვაკ. 24.I. 32. ირანი- 25.XII. 1991.

6 იანვარს პრეზ. ზვიად გამსახურდიას შთავრთვამ დასტოვა თბილისის სასახლე, როგორც ზემოდ ვხედავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მიმდინარეობდა, მიუხედავად კრემლის დამუხრუჭებისა, თბილისის ავიოტაეისა და ბოლოს, დეკემბრის ძმათა სისხლისმღვრელი ომისა, ნორმალურად. სახელმწიფო გადატრიალებამ ეს პროცესი შეწყვიტა და იგი განახლდა მხოლოდ ბ-ნ ე. შევარდნაძის ჩადგომით ძალაუფლების სათავეში. 23-სა და 24.მარტს

დასავლეთმა თითქმის ერთად იცნო საქართველო. 24-შივე საქართველო მიღებული იქნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრად, ელცინის რუსეთმა მხოლოდ 2 ივლისს იცნო ოფიციალურად, ხოლო 7 ივლისს გაეროს საბჭომ ერთხმად მიიღო მის წევრად საქართველო, რაც მისმა საერთო კრებამ დაადისტურა 31 ივლისს, რითაც მართლაც დასრულდა ერთი ეტაპი დამო-





უკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე, მაგრამ, როგორც ითქვამოდა, წევრობა დამოუკიდებლობის ნავთსაყუდელს არ წარმოადგენს. საქართველოს დამოუკიდებლობას წინ აქვს კიდევ ხანგრძლივი და მძიმე გამოცდის დრო. მსოფლიომ რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ირწმუნოს, საქართველოს მთავრობას, საკმაოდ ხანგრძლივად, უნდა ჰქონდეს კემპარიტად დამოუკიდებელი პოლიტიკა, დამოუკიდებელი პოლიტიკა განსაკუთრებით რუსეთის მიმართ, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში მიეჩვია „ნაშა გრუზია“, „ნაშა გრუზინის“. რასაკვირველია, ეს გამოორიცხავს მასთან კონფროტაციას, ეს საქართველოს ინტერესში სრულებითაც არ შედის.

\*\*\*

**პოლიტატიმრების სია,**

**1992 წ. ივლისის თვის რევიუ „სოვიეტ ანალისტის“ მიხედვით**

გურამ აბსანიძე (ფინანსთა მინისტრი) და ირინე ტალიაშვილი პატიმრობაში იმყოფებიან 6 იანვრიდან მოყოლებული;

92 წ. თებერვლიდან: ტარიელ გალანტია, ჟულიეტა მილდიანი (კულტურის მინისტრი), ტატიანა ებრალიძე (პროფესორი), ზაური მეტრეველი (პროფესორი), მორის მუსერიძე (პროფესორი), ნელი მიქაძე,

92 წ. 16 მარტის შემდეგ: ბიმურსა აფრასიძე, შუქრი აბსანიძე, სანდრო არაბული, ალიკო ქვაბუაშვილი, მამფორია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ზურაბ ფრანგიშვილი, დავით ტაბიძე, 92 წ. აპრილი: თამაზ კალაძე (ფიზიკოსი, დოქტორი), რევაზ ურუშაძე (პროფესორი), ბიძინა დანგაძე, დალი სურგულაძე, დალი სურგულაძე, თათია გულბანი, გიორგი კორაჩაშვილი, დავით კაციტაძე, გიორგი გერაძე, გელა დავითაია (ეს შვიდი უკანასკნელი ყველა სტუდენტია), ნანა სვანიძე, დარეჯან წიგნაძე, ანა ჩერქეზიშვილი, მადონა ნაცვლიშვილი, ნანა რუხაძე, აივინა ბახტაძე, ვაჟა მაისაშვილი, 1992 წლის მაისი: პაატა ბარათაშვილი, ნემო ბურჭულაძე, ბიძინა გიორგობიანი, გივი თაქთაქიშვილი, მარია აბაიშვილი (რედაქტორი), ბ. გუაძე - ქ. ვანის მოსამსახურე, თეიმურაზ ჯანელიძე - ქ. სამტრედიის მოსამსახურე, ეთერი მგალობლიშვილი (სამტრედიიდან), სოსო ცირიკიძე, ბ. ტურაშვილი, ავთო ადეიშვილი, მურამ (?) მიდგინეიშვილი (მღვდელი), თინა იმნაძე, ვაჟა ხორავა, თემურ დანელია, ნუგზარ ჯოხაძე, ვახტანგ ცხადაძე, იზა გიგოშვილი, ანნა ჭავჭავაძე, რამინ რიგავა, კახა კვარაცხელია, თიმურ კალაძე, ნიკო ედიბერიძე; **შენიშვნა.** უმრავლესი მათგანი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული უმიზეზოდ

\*\*\*\*\*



და მერე განთავისუფლებული და კიდევ დაპატიმრებული რამდენიმე დღის შემდეგ, დაპატიმრებათა ახალი ტალღა მოყვა 24 ივნისს ე. წ. „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას“. ქვემოთ დასახელებული დეპუტატები დაპატიმრებული იქნენ მთელი ოჯახის შემადგენლობით: ნიკა კილასონია, ვახტანგ ცაგარეიშვილი, ზურაბ წულაია, ბიძინა დანგაძე, ბიძინა ჩოლოყაშვილი (ივლისის დასაწყისში მიღებული ცნობით, წამების შედეგად ამ უკანასკნელმა დაკარგა მეტყველება).

**თბილისის ტელე-სტუდიოს დაპატიმრებული თანამშრომლები**

ლელა ქათამაძე, მია მათიკაშვილი, თამრიკო გამილალდიშვილი, ხათუნა ბაქრაძე თუ ბაგრაძე, ირაკლი დოგვაძე მთელი ოჯახით, დალი შენგელია, ნაზი ჩხეტიანი - TV-ის ახალი მოსამსახურე. სხვა დაპატიმრებულები: ბ. გუჩუა - დეპუტატი, რეზო გვარამია - სოხუმის გაზ. „აღდგომის“ გამომცემელი და მისი ვაჟი ლაშა გვარამია, პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის მთელი ოჯახი, თვით პროფესორი გაქცეულია, დაპატიმრებულია აგრეთვე რამდენიმე მილიციის თანამშრომელი, რომლებიც მიემხრენ აჯანყებულებს, მათ შორის ზურაბ ირემაძე ცოლით და ორი შვილით, ერთი ცხრა წლის, მეორე ოთხი თვის; სტუდენტმა გოჩა კელენჯერიძემ მოახერხა გაქცეულიყო, დაპატიმრებულებში არიან: მარინა ჯიმშელიშვილი და ირინე ფიფია.

აქ დაახლოებით აღნუსხულია 80 პირი, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამდივნო იტყობინება 250 -ზე მეტ დაპატიმრებულს.

**„მხედრონის“ სიკვდილის „ესკადრონები“**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოება - თბილისი-ფრანკფურტი-ლონდონი, 1992 წ. 10 სექტემბერს

**ი ტ ყ ბ ი ნ ე ბ ა :**

„მხედრონის“ შეიარაღებული რაზმები აშინებენ ამომრჩევლებს, ემუქრებიან მათ, თუ ისინი არ მისცემენ ხმას „სახელმწიფო საბჭოს“ კანდიდატებს. მაგალითად, კახეთში პირადობის მოწმობები ჩამოართვეს ამომრჩევლებს და გააფრთხილეს, რომ მათ ისინი უკან მიიღებენ, თუ ხმას მისცემენ „სახელმწიფო საბჭოს“ დეპუტატებს.

სექტემბრის პირველ დღეებში რეჟიმის ორი ცნობილი კრიტიკოსი იყო მოკლული თბილისში, ორივე - ტყვიით. პროფესორი ვახტანგ დოგვაძე და პროფ. თენგიზ კიკაჩიშვილის, „საქართველოს თავისუფლების“ მოძრაობის თავმჯდომარე-ვაჟიშვილი ითვლებიან „მხედრო-



ონის“ სიკვდილის ბატალიონის მსხვერპლებად. დაკრძალვის ადგილის დიდალი საზოგადოება დაესწრო. შეიარაღებულმა პირებმა სცადეს ელიზბარ ჯაველიძის და სტუდენტთა ლიდერ გოჩა კელენჯერიძის -ორივე მოძრაობა „საქართველოს თავისუფლებისათვის“ ცნობილი აქტივისტი, - დაბატიმრებას, მაგრამ ხალხმა არ დაანება. ყველგან მიმდინარეობს რეჟიმის მოწინააღმდეგეთა დაბატიმრება. შეუმოწმებელი ცნობებით, მათი რიცხვი სამასს აღწევს. მასალები თარგმნა და დასაბეჭდად მოამზადა

გიორგი კახელმა

\*\*\*

ს. რ. პრეზიდენტის წარმომადგენლის განცხადება

თბილისში

დაზარალებული ზაზა წიკლაურის მდგომარეობა მეტად სავალალოა. იგი სიკვდილის პირსაა მისული სამედიცინო მკურნალობის არ აღმოჩენის გამო. მას ხელფეხი დამსხვრეული აქვს და შინაგანი ორგანოები დაზიანებული. მისი სახე დაფუფქულია მღუღარე წყლით.

ყვარელში

11 სექტემბერს დააბატიმრეს ყვარელის ყოფილი პრეფექტის ოჯახის წევრები: აბრამ, მიხეილ, როინ, თემურ და ნუკრი იორამიშვილები.

თ ბ ი ლ ი ს ი

იმავე დღეს თბილისში „მხედრონის“ წევრების მიერ, რომელსაც განაგებს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა იოსელიანი, დაბატიმრებულნი იქნენ: ნოდარ მჭედლიძე, ზეზვა ფირცხალიშვილი, ზვირა ჯობაძე, დათო მიქიაშვილი, გელა ტოგონიძე.

თბილისის 22-ე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვახტანგ გოგაძე მოკლულ იქნა „მხედრონელთა მიერ.

სამთავრობო გაზეთ „საქართ. რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ორგანიზაცია „თბილისელის“ განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ყველა „ზვიადისტი“ უნდა იქნას გაგდებული სამსახურიდან, გაძევებული სამსახურიდან და განწირული შიმშილით სიკვდილზე.

ეს ორგანიზაცია შეიქმნა 1990 წელს კომუნისტ გურამ მგელაძის მიერ, რომელიც ცნობილია ელუარდ შევარდნაძის „შავ გენერლად“. მასვე ბრალდება საქ. ლეგალური მთავრობის დასამხობლად პუტჩის დაფინანსება.

12 სექტემბერს „მხედრონმა“ დაარბია დამოუკიდებელი გაზეთი

\*\*\*\*\*



ეროვნული  
არჩევნების  
სამსახური

„იბერია-სპექტრის“ რედაქცია. რედაქტორს ბ-ნ ირაკლიმ ციციშვილს კვლავ არა აქვს შესაძლებლობა იღონოს რამე. საქართველოს უკანასკნელი დამოუკიდებელი გაზეთი დახურულია.

**ა ფ ხ ა ზ ე თ ი**

რომ დამალონ დალუბულთა ნამდვილი რაოდენობა აფხაზეთში, კიტოვანის გვარდიელები შვეულმფრენებიდან ყრიან დაზოცილთა გვამებს დასავლეთ საქართველოს ტყეებში, რის გამოც ეპიდემიის გავრცელების დიდი საშიშროებაა ამ რეგიონში.

რენო სირაძე,

ჰელსინკი, 14 სექტემბერი 92.

\*\*\*

**„გ უ შ ა გ ი ს“ გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

„ასეთი საინფორმაციო უზრუნავი ნებისმიერ დიდ ერს დაამშვენებდა. ღირსეული პრესა ჩვენ გვესახება სიმართლისა და სიკეთის სამსახურში, სუსტა, დავრდომილთა და დაბრძვებულთა ერთგულ, მოუბეზრებელ მსახურად, რომელსაც მხოლოდ საკუთარი სინდისი უნათებს გზას.

ასეთად გვიცვნია ყოველკვირეული გაზეთი „ი ბ ე რ ი ა ს პ ე ქ ტ რ ი“, რომლის სულისჩამდგმელს ბატონ ირაკლი გოცირიძეს ღრმა პატივისცემით ვესალმებით და ვუნატრით კიდევ ხანგრძლივ მოღვაწეობას ჩვენი ერისა და კაცობრიობის სამსახურში“.

ასეთი განცხადების გამოქვეყნება გვქონდა განზრახული, სანამ ბატონ რენო სირაძის აღმამფოთებელ ცნობას მივიღებდით, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა წყაროებითაც დასტურდება.

საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების წინ თავისუფალი და, თუნდაც, ხელისუფლების წინააღმდეგი პრესიის დარბევა-განადგურება, ბარბაროსობაა, რომლის ავტორებიც მკაცრად უნდა დასაჯოს ხელისუფლებამ და დაგმოს, როგორც ქართულმა, ისე მსოფლიო საზოგადოებებმა.

„გ უ შ ა გ ი ს“ სახელით

გიორგი წერეთელი

P. S. ეს განცხადება გაეგზავნება საქ. რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბ-ნ ე. შვეგარდაძეს, თბილისში, „გ. ე. ო.“-ის აღამიანის უფლებათა დაცვის კომისიას, „უნესკოსა“ და სხვა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს. გ. წ.

14 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ჯარის ნაწილები შევიდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

17 აგვისტოს დილით რადიოთი გამოვიდა საქ. რესპ. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ე. შევარდნაძე, რომელმაც ამ კონფლიქტის შესახებ შემდეგი ბრძანა:

„აფხაზეთში იძარცვებოდა მატარებლები, ფეთქდებოდა ხიდები, ამასთან მოხდა ისე, რომ ტერორისტებმა მძევლად აყვანილი სახელმწიფო მოღვაწენი იქ გადამალეს. საქ. ეროვნული ჯარი ტერორისტებთან საბრძოლველად, ტერორისტული აქტების აღსაკვეთად და რკინიგზის დასაცავად ჩავიდა და არა აფხაზებთან საომრად. აფხაზ ხალხს არავითარი საფრთხე არ მოეღის.“

იმავე დღეს სახელმწიფო საბჭოს პრესცენტრმა გაავრცელა: „სამახსოვრო ბარათი „აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ამბების შესახებ“. „რამ განაპირობა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდუმის გადაწყვეტილება?“ დასმულია კითხვა და გაცემულია შემდეგი პასუხი:

„1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდუმის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა ნაწილობრივ შეიცვალეს დისლოკაცია მის ტერიტორიაზე. ამ ღონისძიების აუცილებლობას განაპირობებს შემდეგი მიზეზები და გარემოებანი: 1. ერთადერთი რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც საქართველოსა და სომხეთს აკავშირებს რუსეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან, ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების მიერ ბლოკირებული აღმოჩნდა. მოქმედებდნენ რა დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელზეც გადის მაგისტრალის მეტი ნაწილი, ფაქტობრივად მოშალეს მისი მუშაობა და რესპუბლიკას წაართვეს მისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი არტერია. ხიდების, რკინიგზის ვაკისის, სხვა ობიექტებისა და ნაგებობათა აფეთქების, შემადგენლობებიდან დატაცებათა შედეგად მიყენებულია 12 მილიარდი მანეთის ზარალი. მეზობელმა სომხეთმა ვერ მიიღო მისთვის განკუთვნილი 6 მილიარდი მანეთის ღირებულების ტვირთი.

2. ბანდებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში, თბილისსა და სხვა ქალაქებში, მოახდინეს ტერორისტული აქტები, რომლებსაც მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.





ნ ა რ ა რ ე ნ ე უ ლ ი

2025 წლის მარტი

ამა წლის 24 ივნისს მათ ხელთ იგდეს თბილისის ტელევიზორულ ცენტრის შენობა და სცადეს მოეხდინათ შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება. ა. წ. ცხრა ივლისს მათ მოიტაცეს საქ. მთავრობის ვიცე-პრემიერი სანდრო კავსაძე, რომელიც განაგებს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებს. ჩვენი ცნობების მიხედვით იგი დაპატიმრებული ჰყავთ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ა. წ. 12 აგვისტოს ერთ-ერთ ბანდა ქ. ზუგდიდში თავს დაესხა მთავრობის დელეგაციას, რომელიც რეგიონში ჩავიდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის ოთხ აგვისტოს ს. რ. სახელმწიფო საბჭოს მიერ ეროვნული შერიგებისა და თანხმობის შესახებ მიღებული მანიფესტის დებულებათა საფუძველზე. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი რ. გვენცაძე, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეროვნული უშიშროების საკითხებში დ. სალარიძე და სხვა პირნი დაატყვევეა ბანდამ და მიიყვანა ბაზაში, რომელიც ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზეა განლაგებული.

3. თავისი შექმნის მომენტიდან მოყოლებული, საქ. რესპ. სახელმწიფო საბჭო ახორციელებს საერთო-ეროვნული და ეროვნებათშორისი დიალოგისა და კომპრომისის პრინციპებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. აქ არ მოვიხსენიებთ ძალისხმევას ქართველთა და ოსთა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ვიტყვით იმას, რომ გაიმართა 14 შეხვედრა ექსპრეზიდენტის მომხრეთა ჯგუფების ხელმძღვანელებთან და დაიდო ამდენივე შეთანხმება. ყველა ისინი ვერაგულად და არღვიეს. სავსებით ცხადია, რომ ყველა ეს აქცია, რომელიც ხელს უშლის საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესს, მიზნად ისახავს ამა წლის 11 ოქტომბრისთვის დანიშნული პარლამენტის ჩამოშლას და თავისი ხალხისა და მსოფლიო გაერთიანების წინაშე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევას.

ამოწურა რა ყველა ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის საშუალებათა არსენალი, რესპუბლიკის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებანი დესტრუქციული საქმიანობის აღსაკვეთად.

4. საქ. რესპუბლიკის და აფხაზეთის ა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობას შორის წინათ მიღწეული მორიგებით აფხაზეთის ხელისუფლებმა ვალდებულება იკისრეს აღეკვეთათ მის ტერიტორიაზე მოქმედი დანაშაულებრივი უკანონო ფორმირებების საქმიანობა, თავიანთი



\*\*\*\*\*

ძალებით უზრუნველყოთ უსაფრთხოება სარკინიგზო და საჰაერო მიწის ბილო მაგისტრალებზე და დაეცვათ ისინი დივერსიული აქტებისაგან. ეს ვალდებულება არ შესრულდა.

აფხაზეთის ავტონომიის ხელმძღვანელობას ეცნობა აფხაზეთის ფარგლებში, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების შეყვანის შესახებ. მას განუმარტეს ამ ღონისძიებათა მიზნები და ამოცანები, შესთავაზეს თანამოქმედება და თანამშრომლობა. პასუხად ააფეთქეს ენგურზე გადებული ხიდი, წარმოიშვა რუსეთთან საქართველოს დამაკავშირებელი ხიდის მოსპობის საფრთხე. მონოეროვნულ საფუძველზე ჩამოყალიბებულმა აფხაზეთის ეროვნულმა გვარდიამ ცეცხლი დაუშინა საქართველოს არმიის ქვედანაყოფებს.

ყოველივე ეს გახდა იმ პოლიტიკის კანონზომიერი შედეგი, რომელსაც ახორციელებდა აფხაზეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი, უწინარეს ყოვლისა, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა. ისარგებლა რა რთული სიტუაციით, რომელშიც აღმოჩნდნენ საქართველოს ხელისუფალნი, რომლებიც იძულებული არიან ერთდროულად გადაჭრან ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მოწესრიგებასთან და დესტრუქციული ძალების მოგერიებასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა, მას საქმე იქითგენ მიჰყავდა, რომ მოეწყვიტა აფხაზეთი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოსაგან. ამაში მას ხელს უწყობდა დისკრიმინაციული საარჩევნო კანონი, რომელმაც საშუალება მისცა უგულვებლყო აფხაზეთის ამომრჩეველთა მეტი ნაწილის ნებასურვილი და აზრი და განეხორციელებია მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება. საკმაოდ ცნობილი ჯგუფის „სოიუზის“ წევრ არძინბას მხარს უჭერდნენ და ახლაც უჭერენ რუსეთის ის რეაქციული ძალები, რომლებიც ისწრაფვიან შეაჩერონ დემოკრატიულ ცვლილებათა კურსი და უკან დასწიონ საქმე. ამავე დროს აფხაზეთის პარლამენტის ყველა მოქმედება და საქციელი ობიექტიურად უკავშირდება ექსპრეზიდენტის მომხრეთა ანტიხალხურ საქმიანობას.

დამახასიათებელი მაგალითი. მან განიზრახა უკანონოდ გადაეყენებინა პოსტიდან არასასურველი აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, და მისდამი დაქვემდებარებულ აფხაზეთის გვარდიის ბატალიონს მოუწოდა იერიში მიეტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაზე. უცნაური დამთხვევით შტურმი დანიშნული იყო 24 ივნისს-

იმ დღეს, როცა ექსპრეზიდენტის მომხრეებმა სცადეს სახელმწიფო გადატრიალება და ხელთ იგდეს თბილისში ტელერადიოდეპარტამენტის შენობა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ორგანიზაციას უწევდა რესპუბლიკის დედაქალაქში წესრიგის აღდგენას და ამბოხების ლიკვიდაციას, დარეკა სოხუმში და სთხოვა აფხაზეთის პარლამენტის მეთაურს არ გადაედგა ეს ნაბიჯი, რომლის შედეგობისათვის მთელი პასუხისმგებლობა დააკისრა ვ. არძიბას.

მიუხედავად ამისა, ეს ნაბიჯი გადაიდგა, ეტყობა, იმ ანგარიშით, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგენი მიაღწევდნენ დასახულ მიზნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა შტურმით იქნა აღებული, მინისტრს მიაყენეს ფიზიკური და სხვა შეურაცხყოფა და იგი საავადმყოფო საწოლზე აღმოჩნდა. შედეგად მკვეთრად გამწვავდა პოლიტიკური სიტუაცია აფხაზეთში და მის ირგვლივ, რომელმაც უკიდურესობამდე გაართულა ეროვნებათმორისი ურთიერთობა.

თურქეთში მოგზაურობის დროს ვ. არძიბას არაერთგზის გამოუთქვამს აზრი, რომ ჯერ არცერთ ქვეყანას არ მიუღწევია დამოუკიდებლობისათვის კონსტიტუციური გზით, რომ აფხაზეთს საკმარისად აქვს იარაღი, რათა „მოიპოვოს“ „თავისუფლება“, რომ მის დასახმარებლად მზად არიან „გარკვეული ძალები“.

აფხაზეთის პარლამენტის თავმჯდომარემ და მისმა გარემოცვამ, რომლებმაც, ამგვარად, პროვოკაციულად გამოიწვიეს კონფლიქტი რესპუბლიკასა და რეგიონში, 27 ივლისს გადადგეს სამართლებრივი თვალსაზრისით აღმასფთვებელი ნაბიჯი – აღადგინეს 1925 წ. აფხაზეთის კონსტიტუციის მოქმედება, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ავტონომიის თვითგაუქმებას, საქართველოს არსებული საზღვრების გადასინჯვას და მისგან საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ჩამოცილებას.

ამ ნონსენსში უპრეცედენტოა არა მარტო სამართლისა და ნორმალის უგულვებელყოფა, არამედ თვით მოქმედების წესი. 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო შეკვეცილი შემადგენლობით, ხმების უბრალო უმრავლესობით.

კონსტიტუციის შესწორებები, მით უმეტეს კი მოქმედი ძირითადი კანონის გაუქმება, ახალი წყობილების დამყარება შეიძლებოდა მხოლოდ მოქმედი პარლამენტის წევრთა ხმების ორი მესამედით. ხმების ასეთივე უმრავლესობით უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილე-



\*\*\*\*\*

ბა რეფერენდუმზე ამგვარი საკითხების გამოტანის შესახებ წინადადებას  
ლივე ეს ჩაწერილია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში და შესაბამის  
კანონებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ საარჩევნო კანონმა,  
რომლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მოქმედი პარლამენტი, 28 ადგილი  
მიეცა აფხაზებს (მოსახლეობის 18 პროცენტი), 26 ქართველებს  
(მოსახლეობის 46 პროცენტი) და 11 სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს,  
ცხადი ვახდება, რომ ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება მოკლებულია  
როგორც იურიდიულ, ისე მორალურ საფუძველს და წარმოადგენს  
ხელისუფლების უზურპაციას პროცესის დამთავრებისა და მონოეთნიკური  
დიქტატურის დამყარების ცდას.

ჩვენ უკვე აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ 1925 წლის კონსტიტუციის  
რეანიმირების ცდა, რომელიც, სხვათა შორის, არასოდეს არ ამოქმედებულა,  
უგულუბელყოფს იმ ფაქტს, რომ ე. წ. აფხაზეთის სახელმწიფოებრივ  
რესპუბლიკის შექმნა, რომელიც საქ. მეშვეობით დაკავშირებულია  
უკვე არარსებულ ამიერკავკასიის ფედერაციასთან, იყო ბოლშევიზმის  
ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც ნერგავდა  
ანექსირებულ, მაგრამ ფორმალურად სუვერენულ საქართველოში  
ნახევრად სახელმწიფოებრივ ფორმირებებს, რომლებსაც შეეძლოთ  
საჭიროების შემთხვევაში გამხდარიყვნენ საქართველოს ტერიტორიული  
მთლიანობისათვის ძირის გამოთხრის იარაღი.

ახლა ეს და მათი მსგავსი „შენელებული მოქმედების ნაღმები“ მოქმედებს,  
თანაც – არა მარტო საქართველოში. ყოფილი კავშირის ტერიტორიაზე  
წარმოშობილ მრავალ ქვეყანაში ჩაღდება შინაგანი კონფლიქტები,  
რომელთა ფესვები ღრმად არის გადგმული ტოტალიტარიზმის  
ნიადაგში, მისი დღევანდელი მომხრეები რომ ასაზრდოებენ.  
ყველა ეს კონფლიქტი განსხვავდება გარეგნული გარემოებებით,  
მაგრამ მათ აქვთ საერთო „დრამატურგია“ და „რეჟისურა“ და ყველა  
ისინი თანაბრად ქმნიან ერთიან ჯაჭვს, რომელიც გარს ერტყმის  
აფთქებასაშიში სიტუაციების რეგიონებს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო  
მშვიდობასა და უშიშროებას.

შავი ზღვის რეგიონში დანთებულმა კონფლიქტურობის ახალმა კერამ  
შეიძლება ძირი გამოუთხაროს აქ განლაგებული სახელმწიფოების  
ძალისხმევას, რომლის მიზანია თანამშრომლობისა და უშიშროების  
რეგიონული სისტემის შექმნა.

აღვნიშნავთ რა ამ ფაქტს, ვაცხადებთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი  
ჩავაქროთ კონფლიქტი სათავეშივე.

(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 19 აგვისტო 1992 წ.)



**ბ-ნ ზ. გამსახურდიას განცხადება,  
აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით**

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ამ ბოლო დროს, ავრცელებენ ცნობებს, რომლებიც ძირფესვიანად აყალბებენ ჩემს დამოკიდებულებას აფხაზეთსა და სხვა რეგიონებში მიმდინარე მოვლენებისადმი. კერძოდ, ამბობენ, თითქოს, მე ვხელმძღვანელობდე პარტიზანულ სამარ მოქმედებებს აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში, ამ რეგიონში მოხალისეთა გაგზავნასა და სხვა.

ამდაგვარი დეზინფორმაცია ვრცელდება თითქოსდა ჩემს მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

საჭიროდ ვთვლი შევახსენო ყველას, რომ საქ. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და შემდგომ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას, მე ყოველ ღონეს ვხმარობდი აფხაზეთში ცენტრის მიერ პროვოცირებული კონფლიქტის მშვიდობიან, პოლიტიკური ხერხებით თავისგართმევას, ჩაქრობას, რასაც უდაოდ პოზიტიური შედეგები მოჰყვა.

დღეს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს მე ვაფასებ, როგორც საქართველოს არაკანონიერი „მთავრობის“ კანონსაწინააღმდეგო აქციებს, რომელთა მიზანია მოსახლეობის დაშინება, საყოველთაო ტერორი შევარდნაძის ხუნტის მიერ გამოცხადებული, კარსმომდგარი „დე-მოკრატიული არჩევნების“ ჩატარების მიზნით.

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ მთიელი ხალხების კონფედერაცია თავად ღებულობს გადაწყვეტილებებს და მოქმედებს კიდევ ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად, რაშიც მე არანაირი წვლილი არ მიმიძღვის. თუმცადა, ქართველი და აფხაზი ერების ისევე, როგორც სხვა კავკასიელი ერების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ნო-კომუნიზმის წინააღმდეგ, ფრიად საშურ, წმინდა მოვალეობად მივიჩნევ.

კიდევ და კიდევ ვაცხადებ, რომ შევარდნაძის ხუნტის მიერ გაჩაღებული ძალადობა და ტერორი, გენოციდი საკუთარივე ხალხისა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. ასევე მოვითხოვ, შეწყდეს ჩემი სახლის დისკრედიტირების ყოველგვარი მცდელობები.

**ს. რ. პრეზიდენტი**

**ზვიად გამსახურდია  
გროზნი, 1992 წ. 29 აგვისტო.**





\*\*\*\*\*

ქართული  
საქმიანობა

ს. რ. პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის  
მჯდომარის განცხადება

საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის მიერ აფხაზეთში ჩატარებული სამხედრო მოქმედება ჩვენს მიერ შეფასებულია, როგორც მორიგი პოლიტიკური ავანტიურა, რომლის მიზანია საქართველოში სამხედრო ტერორის გაძლერება და მზადება მომავალი „დემოკრატიული“ არჩევნების ჩასატარებლად, რუსული ტანკებისა და „კალაშნიკოვების“ მეშვეობით.

„ახალი პოლიტიკური აზროვნების“ მებაირახტრემ, ე. შევარდნაძემ, მიმართა კომუნისტური რეჟიმის ნაცად ხერხს – ძალისმიერ პოლიტიკას, რომელიც, ვითომც, საქართველოს ერთიანობის იდეით არის ნაკარნახევი. სინამდვილეში კი, მისი შედეგი საქართველოში კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური დესტაბილიზაცია შეიძლება იყოს!

ჯერ კიდევ პერესტროიკის პირველ წლებში, ყოფილი სსრკ-ის ცენტრის მიერ, აფხაზეთში პროვოცირებული იქნა ანტიქართული მოძრაობა, ე. წ. „ეთნოკრიზისი“, რომლის მსგავსი იმავ დროს ბევრი წარმოიშვა ყოფილ ს. კავშირის რესპუბლიკებში (ლიტვა, მოლდავა, სომხეთი-აზერბაიჯანი და სხვა. პრეზ. ზ. გამსახურდიასა და პარლამენტის ძალისხმევით, მრავალი მოლაპარაკების შედეგად, მდგომარეობა აფხაზეთში შეძლებისგვარად დამშვიდდა. ცხადია, საბჭოთა პრესაში ეს ფაქტი არ აღნიშნულა.

ს. რ. საგარეო საქმეთა კომისიას მიაჩნია, რომ პოლიტუკურად ყოვლად გაუმართლებელი აქცია აფხაზეთში სამხედრო ძალის გამოყენებისა, უკიდურესად გაამწვავებს ისედაც მეტად დაძაბულ ვითარებას კავკასიის რეგიონში, რითაც მთელ კავკასიას მუდმივი სამხედრო, პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტის კერად აქცევს.

მედია თუშმალისვილი  
23 აგვისტო 1992.

\*\*\*

ვიდგეთ იქ, სადაც საქართველოა

როცა საკითხი ეხება ეროვნული ტერიტორიის მთლიანობის დაცვას, ყოველგვარი პიროვნული და პატიზანული ხმები უნდა დადუმდენ, შინა კინკლაობა შეწყდეს და ერის მთელი ენერჯია უნდა ჩადგეს ერ-

\*\*\*\*\*



თი ავტორიტეტის განკარგულებაში და თუ ვერაფერში მას ხელი მაინც არ შეუშალოს.

დიდი სიფრთხილეა საჭირო იმისთვისაც, რომ მტრის მიერ გათხრილ უფსკრულში, დამფრთხალი ცხვრის ფარასავით, ერთად არ გადავშვით.

დამლუბველ უფსკრულად მოჩანს აფხაზეთში გაჩაღებული ხანძარი, განსაკუთრებით ამ მომენტში, ასეთ პირობებში. ნუთუ ბნი შეევარდნაძე ფიქრობს, რომ ის ამ აქტიდან საარჩევნო ან სხვა სარგებლობას მიიღებს?

უკანონო ხელისუფლებისაგან კანონიერების დაცვის მოთხოვნა, მეტი თუ არა, სასაცილოა.

აფხაზეთის ავტონომია 70 წელია არსებობს, იგი ცოტასაც მოითმენდა. საჭირო იყო დროებით გაგრძელებულიყო პოლიტიკური დიალოგი, როგორც ეს სამი აგვისტოს მანიფესტშია ნათქვამი.

ჯერ, უწინარეს ყოვლისა, უნდა განუხრელად გაგრძელებულიყო ეროვნული თანხმობის პოლიტიკა დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად. საყოველთაო არჩევნებით შობილი ხელისუფლება გაცილებით უფრო ადვილად მოაგვარებდა აფხაზეთის პრობლემასაცა და სამხრეთ ოსეთისასაც.

ვის აძლევს ხელს საქართველოს აშლილობა, ვინ მოაწყო აფხაზეთის პროვოკაცია? აი, კითხვები, რომლებიც საფუძვლიანად უნდა გამოვიძიოთ, სანამ ბრძოლაში გადავეშვებოდეთ.

გიორგი წერეთელი

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო    გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი  
და ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი


ელიზბარ მაყაშვილის დაუფიწყარ ხსოვნას

მაგონდება 1982 წლის ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნას“ ფურცლებზე დაწერილი მისი სიტყვები: „მშვიდობით ჩემო სიყრმის მეგობარო, ერთგულო ძმაო საშა, შენ პირნათლად შეეასრულე შენი ვალი და ალბათ იმ ქვეყანას ხელებ გაშლილნი დაგხვდებიან საქართველოსთვის დაღუპულნი გმირნი და მამაშვილურად ჩაგიკრავენ გულში. ერთი სინანული დამრჩა რომ: პირადად ვერ მიგაცილე შენს უკანასკნელ ბინაზედ და უკანასკნელად ვერ ვეამბორე შენს გაციე-

ბულ გვამს“. მეც, ასეთივე გულის სიღრმიდან ამოსული სიტყვებით აღვნიშნავ ელიზბარის ხსოვნას.

კარგად მახსოვს ელიზბარის ახალგაზრდობა: დაახ. ჩემზედ ოთხი წლით უფროსი იყო, იყო ცქვიტი, მოძრავი, ენერგიული. მოიბრუნდა ხოლმე მამაჩემის სახელოსნოში და გზიდანვე დაუწყებდა მამაჩემს ლაპარაკს: „ძია ილო, გინდა ჩარხი დაგიბრუნო?“ მამაჩემს ყოველთვის უხაროდა ხოლმე მასთან საუბარი.

ეს იყო 1924 წლის წინა პერიოდი. ჩვენი სახლის პირდაპირ, ქ. თელავში, ქუჩის მეორე მხარეს, ცხოვრობდნენ გიგო და ნუცა ჭავჭავაძეები. როგორც ელიზბარისგან ვიცი, ნუცა იყო მისი დეიდა. ამიტომ იყო რომ: ელიზბარის მამას და მის უფროსს ძმა ბიძინას, ხშირად ვხედავდი ხოლმე ჭავჭავაძეების სახლიდან გამოსულებს. ისე კი ცხოვრობდნენ ორი შენობის ქვევით, ციციშვილების სახლში.



1924 წ. აგვისტოს აჯანყების ერთ-ერთ ღამეს მოვიდნენ „ჩეკადან“ მამაჩემი ილიკოს დასაპატიმრებლად. სახლში არ დახვდათ, სხვაგან მუშაობდა. მეორე დღეს ამოატარეს დაჭერილი. თურმე რა მოხდა იმ ღამეს: დაიჭირეს აგვისტოს აჯანყებაში მონაწილე საეჭვო პირები, მათ შორის თვით ელიზბარიც, მისი მამა და ძმა ბიძინა.

ერთი ახალგაზრდა კომკავშირელი, გვართა ჯორჯაძე, მივიდა თურმე ჩემს უფროს ჯაფარიძესთან და სთხოვა: „მამაჩემიც არის დაპატიმრებული, გთხოვთ, მე მაპატიოთ და მამას ნუ მომიკლავთო“. ამის შესახებ კითხვაც კი ვაგუზავენე აქ, ემიგრაციაში ელიზბარს: იცოდა თუ არა, რა მოხდა იმ ღამეს ჩეკაში? 1986 წ. მან ასე მიპასუხა: წავიკითხე რამდენჯერმე შენი წერილი და გულში ნაღვლიანად და მწარედ გამეცინა. მკითხავ: ჩემს უფროს ჯაფარიძის მოკვლა ჯორჯაძის მიერ თუ გამიგონია. მე თვით დამსწრე ვარ ამ ამბის და სასწაულით გადარჩენილი სიკვდილს. მე ვიყავი იმ დასახვრეტად გამზადებულ სიაში, თელავის პოლიტბიუროს სარდაფის კედლებში დამწყვდეული. სრული სიმართლე არის, რომ ახალგაზრდა კომკავშირელ ჯორჯაძის მამა იყო დასახვრეტად გამზადებულთა რიცხვში, მივიდა ჯაფარიძესთან და სთხოვა მამამისის პატიება. ჯაფარიძის



\*\*\*\*\*

პასუხი იყო: თუ შენ ნამდვილი კომუნისტი ხარ, შენვე უნდა იქნები შენის ხელით მამაშენსო. ამ პასუხზე ჯორჯაძემ იძულებული გახდა რევოლუციური და დაახალა ჯაფარიძეს, რომელიც მოკვდა ორი დღის შემდეგ. სროლის ხმაზე შემოცინდნენ ჩევისტები, ჯორჯაძე იქვე მოჰკლეს და დაუწყეს ხოცვა პატიმრებს. ორმოცი კაციდან სამნილა დავრჩით ცოცხლები. თურმე ეს ამბავი აცნობეს თბილისში და იქიდან დილით ადრე მოვიდა ბრძანება: „დახვრეტები შეაჩერეთო.“

მეორე დღეს გადამიყვანეს ციხეში, თელავში, და იქ მოიყვანეს მამაშენიც დაჭერილიო, იწერება ელიზბარი და აგრძელებს: გადავრჩით რალაც არაჩვეულებრივი იღბლით დახვრეტას, მაგრამ ჩემს საწყალ ძმა ბიძინას და მამას ეს ბედი არ ჰქონდათ და ორივენი დახვრეტეს. დედამ რომ გაიგო მათი დაღუპვა და ჩემი დახვრეტილთა სიაში ყოფნა თავი მოიკლა. იძულებული ვიყავ დამეტოვებინა სამშობლო და საზღვარგარეთ გამოვიქეციო, დასძენს ელიზბარი.

მეორე მსოფლიო ომის დროს შემთხვევა მქონდა კიდევ მენახა ელიზბარი, მგონი 1944 წ. ზაფხულში, ქ. ნიკოლაევში. გავიგე, ქართველების ეშალონი ჩამოდგაო. წავედი მაშინვე. დავინახე ერთი ქართული იერის ახალგაზრდა კაცი პირს იბანდა. შევეკითხე: ქართველები ხართ? მან კითხვაზე კითხვითვე მიპასუხა: საიდანა ხარ? თელავიდან მეთქი. რა გვარი ხარ? საყვარელიძე. რა ხარ ილიკოსი? მამაჩემი არის, იყო ჩემი პასუხი. ძალიან გაუხარდა ელიზბარს, რომ დიდი ხნის მერე კიდევ მნახა აქ. საუბარი იყო მეტად საინტერესო და შეიძლება ყოფილიყო დაუსრულებელი, მაგრამ ამდენი დრო არც მას ჰქონდა და არც მე. დავშორდი ერთმანეთს სამუდამოდ.

მაგრამ ომის შემდეგ წერილობით აღვადგინეთ ურთიერთობა. ის მწერდა: ბევრი ტანჯვის შემდეგ ჩამოვედი საფრანგეთში. აქ ვიპოვე ჩემი უფროსი ძმა, წამოსული საქართველოს დამოუკიდებლობის დროს და დარჩა აქ სასწავლებლად. ვმუშაობდი შავ სამუშაოზე და იმავე დროს ვსწავლობდი ფრანგულ ენას. ცოლად შევირთე ჩემი ფრანგულის მასწავლებლის ქალიშვილი. ძალიან ერთგული და კარგი ოჯახიშვილი გამოდგა. შეგვეძინა ქალიშვილი, რომელსაც დედაჩემის სახელი დავარქვი. თავს ბედნიერად ვგრძნობდი ...და დაიწყო ომი. სამი წელი გავატარე ფრონტზე. ომის შემდეგ საფრანგეთის სასამართლომ გამასამართლა. ბრალმძებელი მოითხოვდა ჩემს სიკვდილით დასჯას, მაგრამ სასამართლომ არ მიიღო პოლიკოვნიკ პროკურორის მოთხოვნა და გამანთავისუფლა. დაუბრუნდი ოჯახს. სახლში აღარაფერი გვქონდა. ჩემმა ცოლმა გადადო თავი ჩემს პრო-



\*\*\*\*\*

ცესზედ და რაც კი ოჯახს ებადა სულ მას შესწორა. დავიწყეთ მუშაობა ქალაქში, მაგრამ ცხოვრება გაგვიძნელდა. ჩემს ცოლს ერთი ძველი სახლი დაუტოვა თავისმა დედამ სოფლად და იქ ვარჩიეთ გადასვლა. ის იყო მოვითქვით სული, რომ ჩემი მეუღლე დაავადმყოფდა და ერთი წლის მერე გარდაიცვალა. ჩემი ქალიშვილიც გათხოვდა და შორს გადავიდა საცხოვრებლად. მეც თანდათან სიბერე შემეპარა და დაავადმყოფდი კიდევო, ასე ნაღვლიანად ამთავრებს მის წერილს ელიზბარი. სხვა დროს მწერდა: „ჩემი ყველაზე უფროსი ძმა დაიღუბა ომში, „რუსის ჯალათებმა მოჰკლესო“.

ვისურვებდი, რომ არსებობდეს შეხვედრა „იმ“ ქვეყანაშიც, მაშინ მე შენ თავს აღარ დაგანებებ, ჩემო ელიზბარ, სულ შენთან ვიქნები...

**ვახტანგ საყვარელიძე**

სანტა ბარბარა—ა. შ. შ. 6 აგვისტო 1992.

**მინაწერის სახით.** ელიზბარ მაყაშვილი დაიბადა 1904 წლის

26 მაისს სოფელ იყალთოში ანა და გიორგი მაყაშვილების ოჯახში. საფრანგეთში ჩამოვიდა 1927 წ. 1929 წ. დაქორწილდა მადმუაზელ ანდრე ვიოლზედ (VIEULES), შეეძინათ ერთი ქალიშვილი ანი (ანა). ელიზბარის მეუღლე გარდაიცვალა 1971 წ. 17 ნოემბერს. ელიზბარი გარდაიცვალა 1991 წ. 8 ივნისს და დასაფლავებულია სოფელ კალვისონში (გარდის დებ.) მეუღლის გვერდით.

აწგანსვენებულს კალამიც ემარჯვებოდა. უკანასკნელი ომის შემდეგ ის წერდა თითქმის ყველა ემიგრანტულ პრესაში. „კავკასიონში“ აქვეყნებდა საყურადღებო მოგონებებს, ამბებს შეფიცულებზე, პატარ-პატარა მოთხრობებს. ვფიქრობ, რომ მას დარჩა მდიდარი არქივი, რომელიც ექიმ რეზო ნიკოლაძისთვის დაუტოვებია. ღრმად მჯერა, რომ ბატონი რეზო თავის დროზე დაუბრუნებს სამშობლოს.

დიდი დავალებული ვიყავი და დავრჩი ელიზბარ მაყაშვილის. სწორედ მისი გარდაცვალების დროს ვიყავი მეც მძიმე ავადმყოფი, არამც თუ უკანასკნელი ვალი ვერ მოვიხადე, ღიძნანს ვერც კი გავიგე მისი გარდაცვალების ამბავი. ნამდვილად ღირსეულო მამულიშვილო, შენისთანები არ კვდებიან, აჩირალნებენ მამულს.


გიორგი წერეთელი.





ვ ა ნ ო ლ უ დ ლ უ შ ა უ რ ი ს გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე რ ი

ულმობელმა სიკვდილმა კიდევ ერთი დიდებული მამულიშვილი გამოგვაცალა ხელიდან—გარდაიცვალა ვანო ლუდლუშაური.



ვანო იყო ყაზბეგის მხრიდან. ყაზბეგში მიიღო მან დაწყებითი განათლება. იქ გაატარა ბავშვობა და მას იგი ძლიერ უყვარდა. ყაზბეგიდან სასწავლებლად მშობლებმა ის თბილისში გადაიყვანეს. აქ ის ნათესავთან ცხოვრობდა და დარჩა ბოლომდე, ე. ი. უცხოეთში წამოსვლამდე. რაც იზრდებოდა და ცხოვრების გაგება ემატებოდა, ვანო ვერ ურიგდებოდა, რომ სამშობლო მტრის ხელში იყო. ამით აიხსნება მისი პირველი ნაბიჯები სამშობლოს განმათავისუფლებელ ჭერსჭევემა ორგანიზაციისაკენ, სადაც ის მალე დაწინაურდა, როგორც გამბედავი და უშიშარი მებრძოლი. ორგანიზაციაში ზედმეტსახელად მას „თერგი“ უწოდეს“. ვანო ორგანიზაციის დავალებით ეწეოდა საბოტაჟს, ახალ-ახალ მებრძოლებს აბამდა ბრძოლაში, ავრცელებდა პროკლამაციებს. ერთ-ერთი მათგანი ჩემი თვალით მინახავს და წამიკითხავს უნივერსიტეტის კედლებზე. ვანო ორჯერ იყო გაგზავნილი ორგანიზაციის მიერ ქაჭუცა ჩოლოყაშვილის რაზმთან საგანგებო დავალებების გადასაცემად. ვანო ხშირად იგონებდა პოლკოვნიკ სიმონ წერეთელს, რომელიც იმ დროს თავისი ჯარით ყაზბეგში იდგა და დაახლოებული იყო ვანოს ოჯახთან. ვანოს ძაგდა ბოლშევიკური რეჟიმი. ასეთი სულისკვეთება მთელს ხევში იყო ფეხგადგმული. ამიტომაც იყო, რომ სანამ საქართველო მთლიანად არ დაიპყრეს, ბოლშევიკებმა ვერ შეძლეს დარიალის კარის აღება.

ქართველი ერი არასოდეს შერიგებია მომხდურ მტრის ძალადობას, არამედ მუდამ იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ასე იქნება ეს მუდამ მომავალშიც. ეს ტრადიცია შენახულია ქართველ ხალხში. ეს არის ქართველი ერის ღვთიური სარწმუნოება და ვანოსაც ფართოდ გახსნილი ჰქონდა გული საქართველოს დიდებისათვის. ის უცხოეთშიაც არ კარგავდა იმედს და ამბობდა: „თავისუფლება ღვთიური სულია, მის ჩაქრობას ვერავინ შეძლებს, ამიტ-



\*\*\*\*\*

ომ ვიყავთ დაიმედებული საქართველოს აღდგენის საკითხებზე. ღრმად ჰქონდა გამჯდარი მოხევის სიტყვები, რომლებიც ილიას ათქმევინებდა: „მივიხვდი ჩემო, რა ნექტრით ხარ ნაჩხვლეტი, ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუნდესო“.

ჩეკისტებმა მიაკვლიეს ვანოს კვალს. მისი გაჩერება აღარ შეიძლებოდა და იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადმოხვეწილიყო. მე მას შევხვდი ოსმალეთში, საიდანაც ის საფრანგეთში ჩამოვიდა. საფრანგეთშიც ვანომ მისთვის ჩვეული ენერჯია გამოიჩინა. შეერთო მშვენიერი ფრანგი მეუღლე, შექმნეს მშვენიერი ოჯახი, კარგად აღზარდეს შვილები, რომლებიც დღეს საფრანგეთის ღირსეული მოქალაქენი არიან. ვანო კი ერთგული დარჩა მისი სამშობლოსი. მახსოვს: ომის დროს ვანო ფრანგების ჯარში იმყოფებოდა. მას შესთავაზეს გაფრანგება, მაგრამ უარი თქვა.

ვანო გადავიდა სამარადისო სამყაროში. დაე, მისი ხსენება ღირსად გახდეს მისი უკვდავებისათვის.

„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“  
გიორგი ტოგონიძე  
მონტროი 1992.

\*\*\*

მ ჩ ქ ე ფ ა რ ე პ ა ტ რ ი ო ტ ი

მიუნხენის მახლობლად კიხჰაიმში, წელს 26 მაისს გარდაიცვალა ფილოლოგიის დოქტორი ილია კუჭუხიძე. იგი დაიბადა 1906 წელს სოფელ აბასთუმანში, ხობის მდინარის სანაპიროზე, ვასილ და ქრისტინე (დაბადებული ქარდავა) კოჭუხიძეების ოჯახში. იქვე მიუღია პირველდაწყებითი სწავლა, გადასულა ქუთაისში და მერე ბათუმში, სადაც 1924 წელში დაუმთავრებია ჰუმანიტარული ტექნიკუმი. იმავე წელს ჩარიცხულა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტზე, 1925 წ. კი პარალელურად სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზეც. 1930-31 წლე-





ბში ილ. კუჭუხიძეს უსწავლია მოსკოვის პროფკავშირების უმაღლესი სასწავლებლის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუმთავრებია. საქართველოში მისი მდიდარი ცხოვრებიდან აღსანიშნავია, რომ ის იყო არასრული საშ. სკოლის დირექტორი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა—26 წლის, მივიღებთ თანამშრომლობდა დიდოსტატ კოტე მარჯანიშვილთან, თეატრის სამხატვრო საბჭოში და სხვა. ომის დაწყებისას გაიწვიეს წითელ არმიასში. ჩავარდა ტყვედ. გახდა ლეგიონერი, ე. ი. გერმანიის ვერმახტის ჯარისკაცი. 1943 წ. მიავლინეს სამუშაოდ ბერლინში ქართულ გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში. ომის შემდეგ დარჩა გერმანიაში და განაგრძობდა მწერლურ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას. 1953 წლიდან მუშაობდა მიუნხენში რადიო „თავისუფლების“ რედაქციაში, საიდანაც პენსიაში გავიდა 1971 წელს, მაგრამ მისი მოღვაწეობა, როგორც ლიტერატურული კომენტატორის არ შეწყვეტილა სიკვდილამდე.

ილია კუჭუხიძე იყო მწერალი, ჟურნალისტი მთელი მისი მჩქეფარეფეთქადი არსებით, რაც მის ყოველ, განსაკუთრებით, ჟურნალისტურ ნაწერებში იგრძნობა. მისი ყოველი სიტყვა, რადიოური დიქცია მართლაც რომ დაჰიმულ შვილდ-ისარს მაგონებდა, რომელიც მსმენელის გულს ისეთი ინტენსიურობით ხვდებოდა, რომ მასში პატრიოტულ ნადვერდალს მძლავრად აღვივებდა. იგი უყვარდათ და აფასებდენ

მისი მსმენელები და მკითხველები, რასაც ცხადყოფს მრავალი წერილი მიღებული „თავისუფლების“ რედაქციაში. ამ წერილებში აღტაცებით იხსენიებდენ „ალეკო ლორიას“ საუბრებს, რომელიც იყო ილია კუჭუხიძის ერთ-ერთი დსევდონიმი.

ილია კუჭუხიძის ნაწერების — მოთხრობები, ნარკვევები, სტატიები თუ რადიოური საუბრები — ჩამოთვლა შორს წავგიყვანდა. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მისი ნაწერების რაობა მან ერთ წიგნში შეაჯამა, რომელსაც „ქართული სული“ უწოდა და გამოსცა მიუნხენში არჩილ მეტრეველის სტამბაში. ამ წიგნით ილია კუჭუხიძემ თითქოს ათეული წლებით ადრე განსჭვრიტა ქართული სულის ვარამი, როცა 1991 - 92 წლების მიჯნაზე ქართველებმა ქართველების სისხლი დაღვარეს. ვაიგო რა ეს ამბავი მისი სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, მისი დამშვიდება შეუძლებელი გახდა. მას არ სჯეროდა, რომ ქართული სული ამდენად შეიბღალებოდა.

ილია კუჭუხიძემ მრავალი წერილი და ნარკვევი მიაწოდა ევროპის სხვადასხვა გამოცემებსა და ენციკლოპედიებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესახებ. მიუნხენის უნივერსიტეტში ასწა-



\*\*\*\*\*

ვლიდა ქართულ ენას. ამ ხნის განმავლობაში არაერთ დიდი რომლებიც საქართველოს და ქართულ კულტურის შესახებ წერდნენ დისერტაციებს, დიდი სამსახური გაუწია რჩევა-დარიგებებითა და საჭირო მასალების გერმანულად თარგმნითაც.

საქართველოში ილის დარჩა ორი შვილი, რომლებთანაც, როგორც ჩანს, მან კავშირი ვერ დაამყარა. გერმანიაში ომის შემდეგ მან შეირთო გერმანელი ცოლი. ანელიზემ მას შეესძინა ქალიშვილი ბაბი, რომლებმაც დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს მასზე, რადგანაც ის უკანასკნელ წლებში ხშირად ავადმყოფობდა, რის შედეგადაც ერთი ფეხის მოჭრაც კი გახდა აუცილებელი.

ილია კუჭუხიძის არქივი და ბიბლიოთეკა, რომელსაც მისი მეუღლე და შვილი უფლის, უთუთო შესწავლას მოითხოვს. და ბოლოს, უნდა აღვნიშნო, რომ ილია კუჭუხიძემ, თავისი მჩქეფარე ცხოვრებით და ღვაწლით, მისი წვლილი შეიტანა 26 მაისის იდეების ქადაგების პატრიოტულ საქმეში და ამ სიკვდილით ის შეუერთდა ჩვენს სახელოვან წინაპართა პანთეონს.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

დრ კარლო ინასარიძე  
მიუნხენი, ივნისი 92.

\*\*\*

გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი მ ა ნ ი ა  
ყაველაშვილი ევგენი გეგეჩკორის ასული

ამ დიდად სამწუხარო ამბავს ადგილი ჰქონა პარიზში, სადაც ის ცხოვრობდა უკანასკნელ წლებში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 27 აგვისტოს.

თანახმად განსვენებულის ანდერძისა, მოხდა მისი გვამის ფერფლად ქცევა, რასაც ადგილი ჰქონდა პარიზის „პერ-ლაშეზის“ კრემატორიუმში 3 სექტემბერს.

აწ განსვენებულის ტყუბის ცალს, ქ-ნ მართა სტურუასას და მის ქალიშვილებს რუსუდანსა და ნანოს ღრმა დამწუხრებულ სამძიმარს მოვახსენებთ. საუკუნო იყოს ქ-ნ მანიას ხსენება!



\*\*\*\*\*

ლონდონიდან ჩვენი მეგობარი ავთანდილ ფარჯანაძე გვამცნობს, და ჩვენც მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ წელს ლონდონში გარდაიცვალენ: **ს ა ნ დ რ ო ბ ო კ ე რ ი ა, ჟ ო რ ჟ ი კ ა**

**( გ ი ო რ გ ი ) ფ ა შ ა ლ ი შ ვ ი ლ ი და მ ი ხ ე ი ლ გ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი,** სამივე ღრმად მოხუცებულები. მიხეილ გიგოლაშვილი დაიკრძალა წელს 20 მარტს, ხოლო ჟორჟიკა ფაშალიშვილი 1991 წ. მაისში.

\*\*\*

წელს 12 მაისს იტალიის ქ. აბანოში გარდაიცვალა ქალბატონი ვიოლეტა შათირიშვილი, დაბადებული ბალცერ. დაიკრძალა 22 მაისს ქ. სტრასბურგში.

\*\*\*

1991 წლის ნოემბერში არგენტინის ქ. კომოდორო რიგადავიაში 73 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ირაკლი მაჭარაშვილი.

\*\*\*

წელს 19 იანვარს არგენტინის ქ. კომოდორო რიგადავიაში, 86 წლის ასაკში, გარდაიცვალა ქალბატონი მარია ჯაფარიძე, დაბადებული გვარჯალაძე.

\*\*\*

წელს 19 აგვისტოს კალიფორნიის შტატში გარდაიცვალა შ ო თ ა დ უ მ ბ ა ძ ე. განსვენებული დაბადებული იყო 1918 წელში

\*\*\*

წელს პარიზში, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა თავადი ქალბატონი ბ ა ბ ო წ უ ლ უ კ ი ძ ე. და დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზედ 7 სექტემბერს.

\*\*\*

ღრმად დამწუხრებული სამძიმარი მათ ჭირისუფალთ.

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

გ უ შ ა გ ი ს ფ ო ნ დ ი

ავთანდილ ფარჯანაძე	1 000
გივი კობახიძე- 100 დოლარი	443
ქათევან ბარნოვი	500
შაქრო ციმაკურიძე -80 დოლარი	375
ელზა ცომაია- 50 დოლარი	250
ნიკოლა თოფურია - 50 დოლარი	250
აკაკი შავგულიძე -	500





თეო ჯაფარიძე-პოპისა — 30 დოლარი  
 ვახტანგ საყვარელიძე—100დ. „ელიზბარ მაყაშვილის  
 კეთილად მოსაგონრად“— 445  
 პეტრე ხვედელიძე — 300 დ. 100 - 100 თემო თაქთაქი-  
 შვილის, ილია კუჭუხიძის და შოთა  
 დუმბაძის კეთილად მოსაგონრად“—1.350

**ჯ ა მ ი**

5.262

უღრმეს მადლობას ვწირავთ „გუშავის“ ერთგულ ამბგდართ.  
 \*\*\* \*\*

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა „ოლონდ ჩეკი გადაუგზავნეთ“**

სრულიად შემთხვევით სწორედ შესაფერის ადგილას—შემოწირულება-  
 თა რუბრიკის შემდგომ— მოხვდა ეს ჩემი კომენტარი და აქვე უნდა  
 შევნიშნო, რომ ალ. სულხანიშვილის ამ ბრიყვულ სიტყვებს დიდი  
 გახშიანება ხვდათ წილად სამშობლოში.

წელს, დამოუკიდებელმა გაზეთმა „იბერია სპექტრმა“ პატივი და-  
 გვდვა „ილია წერილი საქართველოს ამბებზე“-ს გამოქვეყნებით,  
 რამაც, როგორც ჩანს, ზოგიერთის უკმაყოფილება გამოიწვია. გამო-  
 ქვეყნებულა ბევრი ლანძღვა ჩემი პიროვნებისა და არა ჩემი მტკიცები-  
 სადმი. გარდა ერთის ჩემამდე არ მოუღწევიათ და მეც მხოლოდ ამ  
 ერთზე მომიწევს პასუხის გაცემა.

მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვინმე გურამ ბა-  
 დრიძემ 13 მაისის თარიღით გამოეხმაურა „იბერია სპექტრის პუბ-  
 ლიკაციას, სათაურით: „ოლონდ ჩეკი გადაუგზავნეთ“. ამ წერილით  
 ოფიციალური კალმოსანს გადაუწყვეტია ჩემი პიროვნების განადგურე-  
 ბა და ამ მიზნით მას ჩემი ნაწერებიდან ერთი ადგილიც მოყავს,  
 ის, სადაც მე ვცდილობ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზა-  
 ციის ბრალდება ავამორო ნოე ჟორდანიას, საქ. სოც. დემოკ. პარ-  
 ტიის ლიდერს და მერე დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს,  
 და პასუხისმგებლობა დავაკისრო მეფის რუსეთის ობრანკას. აქ, თუ-  
 რმე კომენტარი ზედმეტი ყოფილა. კარგი და პატიოსანი, მაშინ  
 მკითხველი გაუკეთებს კომენტარს და იტყვის გიორგი წერეთელი  
 როგორი კაცი ყოფილა და როგორი ქართველი?

მაგრამ გურამ ბადრიძის მთავარი ურო გიორგი წერეთლის პირო-  
 ვნების გასასრესად, ალექსანდრე სულხანიშვილის ყბადაცებული წი-  
 ვნია: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და

\*\*\*\*\*



ქართველი  
წიგნწერეთა  
კავშირები

1924 წლებში და ილიას მკვლევობის სინამდვილე“. თავის დროზე, მე ამ ავეყა და გამოჩერჩეტებულ მოხუცს, ლაკონიური პასუხი გავეცე. ახლა საქართველოს ჟურნალისტებს ვურჩევ, ცოტა ჩაუტვირდნენ, როცა მისი ნაწერებით სარგებლობენ. ალ. სულხანიშვილი ყოჩაღი ყაჩაღი ყოფილა. ის ისე კლავდა ადამიანებს, რომ ხელი არ აუკანკალდებოდა, მაგრამ ის არ ყოფილა ჯაბუცა ჩოლოყაშვილის არც მესაიდუმლე, არც მარჯვენა ხელი. ქაქუცა მას თურმე „შუშუს“ უძახოდა. ალ. სულხანიშვილი შუშუ იყო და არა სოკრატე, არა პლატონი, არა ლიკურგე, არა სოლონი, ან კიდევ ჩვენი დიდებული ილია, რომ მისი სიტყვები ბაჯაღლო ოქროდ იქნეს მიღებული.

უსაქმოდ დარჩენილ მოხუცებულს გული გაუბოროტდა. ვის არ სწამებდა კომუნისტობას, აგენტობას. მარტვა „ქართული აზრის“ რედაქტორ მიტო სინჯიკაშვილთან მომხდარი უსიამოვნება კმარა მის დასახასიათებლად, რის გამოც ნიუ-იორკის ქ. სათვისტომოს გამგეობამ ის სათვისტომოდან გარიცხა; უბრეცენდენტო მაგალითი ქართული ეროვნული ემიგრაციის მთელს ისტორიაში!

გურამ ბაღრიძეს, რომ ცოტა თავი შეეწუხებია და სულხანიშვილის ნაცოდვილარს ჩაკვირვებოდა, ადვილად მიხვდებოდა, თუ ვისთან ქონდა საქმე, მაგრამ ბაღრიძეს სიმართლე როდი ესაჭიროება. მას უბრძანეს გიორგი წერეთლის „გასვრა“ და ამისთვის ყველა სიბინძურე მისაღებია.

გამიგონია: სულმნათ აკაკის უთქვამს ვარდენ ყიფიანისთვის: წერე-წერე, ჩემო ვარდენ, მტერს დაასვი ისარიო, თუ პოეტი ვერ გახდები, წერას მაინც ისწავლიო“. ასეთი წერით, გურამ ბაღრიძე, მისთვის სამწუხაროდ, ვერც სერიოზული ჟურნალისტი გახდება და ველარც წერას ისწავლის, „კოკობ სულს“ კი წაიწყმედს.

გურამ ბაღრიძისგან განწირული გიორგი წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

**სულ უკანასკნელი ახალი ამბავი**

როგორც ფრანგული პრესა იტყობინება, პარასკევს 25 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძემ გაეროს საერთო კრების ტრიბუნიდან განაცხადა, რომ მისი სურვილი იყო რუსეთის ჯარის დატოვება საქართველოს ტერიტორიაზე, სანამ არ მოხდება საქართველოს არმიის ფორმაცია.

\*\*\*

დაზავებისა და დემოკრატიული არჩევნებისათვის (წარმოებული აქციის მოკლე ანგარიში)

- განმარტება გიორგი წერეთელი გვ. 1 - 18
- შეცდომები თუ წინასწარგანზრახულობა — მამულს განშორებული 19
- ადამიანის უფლებების დარღვევები: ა) მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო, ბ) საზოგადოება „ეგრისის“ განცხადება, გ) პრეზ. ზ. გამსახურდიას განცხადებები, დ) საკანი № 3; მასალები თარგმნა და მოამზადა ეთერი წყოთელმა გვ. 25 - 33
- ზვიად გამსახურდიას მიმართვა აფხაზეთის მოსახლეობისათვის 34
- კ ა რ ი III რას გიქრობენ ადამიანები გვ. 36  
 „ძვირფასო თანამემამულენო, ძმებო, მეგობრებო!“  
 დიაკონი არჩილ დავრიშაშვილი გვ. 36 - 42
- ვის უნდა ვუმადლოდეთ ბერლინის კედლის ადებს? გვ. 43  
 მედეა თუშმალიშვილი
- „ძვირფასო პეტრე!“ — ოთარ ამილახვარი გვ. 48
- თბილისის ტრაგედიის ზოგიერთი საკითხისთვის გვ. 50  
 დოქტორ დავით ჯოხაძე
- „მანიფესტი“ გვ. 58
- „გუშაგის“ კითხვა: რას ფიქრობთ მანიფესტისა და 11 ოქტომბერს დანიშნულ არჩევნების შესახებ? პასუხები: გვ. 63 - 68  
 ჩარლზ ჩხოტუა რენო სირაძე, მედეა თუშმალიშვილი, გიორგი ივერიელი, გიორგი წერეთელი, დრ კარლო ინასარიძე
- კ ა რ ი IV „ნაირ-ნაირი მასალები“  
 აპოლონ ანთაძეს 100 წელი შეუსრულდა. გვ. 71
- ლენინი ისტორიის სამსჯავროს წინაშე—  
 ელენ კარერ დ'ანკოს საფრანგეთის აკადემიიდან გვ. 76 - 78
- ვინ და როდის იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა სამასამდე პოლიტატიმარი, წამებები, განუკითხაობა მასალები მოამზადა გიორგი კახელმა გვ. 79
- რენო სირაძის განცხადება გვ. 79
- განცხადება „იბერია სპექტრის“ დარბევასთან დაკავშირებით — 80
- აფხაზეთის კონფლიქტი, „სამახსოვრო ბარათი“ გვ. 81
- პრეზ. ზ. გამსახურდიას პროტესტი გვ. 86
- ქ-ნ მედეა თუშმალიშვილის განცხადება გვ. 87
- ვიდგეთ იქ, სადაც საქართველოა — გ. წ.
- ნეკროლოგები, „გუშაგის“ ფონდი და სხვა

\*\*\*\*\*



„ზარს ვგეგარ ნაიალარს, რქით მიწასა ვჩხერ, ვბუბუნებ.  
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლუღუნებ.“ (ვაჟა)

# თავისუფალი ჟურნალისტი

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო  
ზამთრის კასხისმგებელი : გიორგი წერეთელი.

**TAVISSOUPLEBIS TRIBOUNA**

Journal périodique en langue géorgienne

15  
01/20  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE  
( POLITIQUE - LITTERATURE - MEMOIRES )*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS  
75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE